დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM
# ასავალ დასავალი
2024 წლის 30 სექტემბერი - 6 ოქტომბერი
N 41 1559
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# ბაიდენთის კასრი

8-9



2024 წლის 25 სექტემბერს აშშ-ში გვითხრეს, რომ ქართველ ხალხს ძაღლიშვილები ურჩევნიათ!

2-3






## ქვეყანას, სადაც „სტუმარ-მასპინძელი“ დაიწერა, ბაიდენის ამერიკასთან არაფერი ესაქმება!

4

## ბიძინა ივანიშვილი: შეცდომის დაშვების უფლება არა გვაქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, 2008 წლის აგვისტოს ომი მონაგონი იქნება!

6



## სააკაშვილი – ერთობა თინასთან და სოფოსთან

საარჩევნო ბლოკი



5

## საარჩევნო სიებ–ცხელება

10

## სააკაშვილი და ანზოროვიჩები

საარჩევნო ბლოკი



4

„გია ხუხაშვილი, როგორც აგენტი, ბიძინა ივანიშვილს ზურაბ ადეიშვილმა შეუგზავნა, მან კი ივანიშვილს გიორგი გახარია მიუყვანა!“

20



# ქვეყანას, სადაც „სტუმარ-მასპინძელი“ დაიწერა, ბაიდენის ამერიკასთან არაფერი ესაქმება!

***2024 წლის 25 სექტემბერს საქართველო-ამერიკის ურთიერთობაში მოხდა ფაქტი, რომელმაც მილიონობით ინდიელისა და ზანგი მონების ძვლებზე წამომართულ იმპერიასთან პატარა საქართველოს ურთიერთობა საუკუნეთა განმავლობაში უნდა განსაზღვროს!***

მართალია, ამერიკის შეერთებული შტატები, საქართველოსგან განსხვავებით, საუკუნეები ვერ იარსებებს და როგორც ყველა სისხლიანი იმპერია, სავარაუდოდ, ძალიან მალე დაილეწება, მაგრამ ნიუ-იორკში 25 სექტემბერს მომხდარი ინციდენტი ჩვენთვის ჭკუის სასწავლებელი უნდა იყოს! **კერძოდ, საქართველომ ამერიკასთან სტრატეგიულ პარტნიორობაზე ყბადაღებული და სამარცხვინო საუბარი დღეის ამას იქით მაინც შეწყვიტოს!**

**არ შეიძლება,** აფთარი და შვლის ნუკრი „სტრატეგიული პარტნიორები“ იყვნენ!

**არ შეიძლება,** პატარა საქართველომ ყველაფერი გადააყოლოს იმ ქვეყანასთან „მეგობრობას“, რომლის პრეზიდენტიც — **ვუდრო უილსონი** მე-20 საუკუნის დასაწყისში სამცხე-ჯავახეთს **„დიდ სომხეთს“** აკუთვნებდა, ხოლო გავლენიანი ამერიკელი პოლიტიკოსი **ბეინბრიჯ კოლბი** გვირჩევდა, რომ **საქართველო სომხეთს შეერთებოდა და მხოლოდ ასე მიეღწია თავისუფლებისთვის!**

მოგეხსენებათ, 2024 წლის 25 სექტემბერს ნიუ-იორკში, გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაში მონაწილე ქვეყნების ლიდერებისთვის ამერიკის პრეზიდენტმა **ჯოზეფ ბაიდენმა** ტრადიციული მიღება გამართა. ამ მიღებაზე მიიწვიეს საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე,** თუმცა, შემდეგ ეს მიწვევა გააუქმეს და **სტრატეგიულმა პარტნიორმა** საქართველოს დელეგაციას კარი ცხვირწინ მიუჯახუნა!

იმ ქვეყანაში, სადაც **ვაჟა-ფშაველამ „სტუმარ-მასპინძელი“** დაწერა, ასეთი საქციელი დიდ სირცხვილად და თავის მოჭრად ითვლება. თუმცა, ვის ველაპარაკოთ სირცხვილზე — **ჯო ბაიდენს,** რომელსაც ფეხზე არათუ ცხვარი, არამედ ჩვენი გასაცოდავებული ოპოზიციისა და მისი პატრონების სახით უამრავი ქათამი, ვირთხა, ღორი, ვირი, ფაშატი, ულაყი, ძროხა და ძაღლი ჰყავს გამობმული?

**დამოუკიდებელი და სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის მეთაურს** ჯერ მიღებაზე რომ მიიპატიჟებ და მერე მიპატიჟებას გაუუქმებ, იქ მეგობრობა და დიპლომატია კი არა, კანიბალიზმის წესები მოქმედებს.

სწორედ **ამ კანიბალიზმზე** მიგვანიშნებდა დიდი **კონსტანტინე გამსახურდია,** როცა ცნობილ პუბლიცისტურ წერილში **„ევროპული რეაქცია და ამერიკული კანიბალიზმი“** წერდა:

*„როგორც სპეციალისტები გვარწმუნებენ, იმ მომენტში, როცა რომანული და ინგლისსაქსური მოდგმის ხალხები დაეპატრონნენ ამერიკის ხმელეთს, აბორიგენების რიცხვი 100 მილიონს აღემატებოდა, მაგრამ ოთხი საუკუნის მანძილზე დაუცხრომელი ჟლეტისა და დევნის შედეგად, დღევანდელ ამერიკაში აბორიგენი ხალხების რიცხვი ოცდახუთ მილიონს არ აღემატება, სახელდობრ, ჩრდილო ამერიკაში აბორიგენების სულადობა 300.000-მდე დაიყვანეს. ძირითადი მოსახლეობის ამოწყვეტის საკმაოდ ბნელ საქმეში განსაკუთრებით თავი ისახელეს ჩრდილო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. თავის დროზე ინგლისს ეწადა, ფეოდალური სახელმწიფო დაეარსებინა ამერიკის ჩრდილოეთში. ამ სახელმწიფოს კონსტიტუციის პროექტის შედგენა კიდევაც დაავალეს ცნობილ ფილოსოფოსს **ლოკს,** მაგრამ ეს პროექტი ქაღალდზე დარჩა.“*

1622 წლიდან 1900 წლამდე ამერიკელმა ბანდიტებმა ინდიელებთან დაახლოებით ორმოცი ომი გადაიხადეს და შედეგად მილიონობით აკრი მიწა მიიტაცეს. 1792 წელს სწორედ ასე წაართვეს მათ ინდიელებს **კენტუკი,** ხოლო 1796 წელს — **ტენესი. არ დარჩენილა სახელმწიფო ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, სადაც შეერთებულ შტატებს გადატრიალება არ მოეწყვია, ანდა ასეთი რამ არ ეცადია...**

ამერიკული კანიბალიზმის კლასიკური გამოხატულება იყო 1800 წელს ვირჯინიაში მომხდარი ამბოხება, რომელსაც სათავეში ზანგი მონა **გაბრიელ პროსერი** ჩაუდგა. **თომას ჯეფერსონის „დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე“** აღზრდილმა ამერიკელმა განგსტერებმა ცინიკურად, სულ სიცილ-ხარხარით ჩამოახრჩვეს აჯანყების მონაწილე ათასი მონა-ზანგი მაშინ, როცა **გაბრიელ პროსპერის** არცერთ თანამებრძოლს ამერიკელი თეთრკანიანი არ მოუკლავს!

საქვეყნოდ აღიარებული ფაქტია, რომ პატიმარი **გიულ რახმანი** ქაბულში ამერიკული ცერეუს საიდუმლო ციხეში მას შემდეგ დაიღუპა, რაც ბეტონის კედელზე მიაჯაჭვეს და უმოწყალოდ სცემეს. ამერიკული კანიბალიზმის კიდევ ერთ გამოვლინებად დღემდე რჩება **აბუ-გრეიბი, ანუ ამერიკელების ციხე ერაყში,** სადაც არაბებს უსასტიკესი მეთოდებით აწამებდნენ. **მანდელ ალ-ჯამადი** სწორედ **აბუ-გრეიბში** აწამეს, გისოსებზე მიაბეს, თავზე ყულფი ჩამოაცვეს, მოკლეს და მერე ცხედარი გადამალეს. როცა ეს ამბავი გახმაურდა, ამერიკის თავდაცვის მდივნად დანიშნულმა **ლეონ პანეტამ** განაცხადა — ცერეუს ისტორიაში შავბნელი ხანა დასრულდაო! მაგრამ როდის ყოფილა, მკვლელების გილდია კეთილშობილ ვაჟთა სასწავლებლად გარდაქმნილიყოს?

ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისარი **თომას ჰამერბერგი** იძულებული გახდა, ეთქვა, რომ ამერიკული ცერეუ ევროპაში ქმნიდა საიდუმლო ციხეებს, სადაც ადამიანებს აწამებდნენ.

თავად ამერიკელი მეცნიერი **ჯონ კოლემანი** წერს, რომ ერაყში ინტერვენციის დროს ამერიკელმა კანიბალებმა 10 ათასი ერაყელი ცოცხლად დამარხეს, ხოლო 10 ათასი — დახვრიტეს!

ის სისასტიკე, უბედურება და სიბილწე, რაც **სააკაშვილის, მერაბიშვილისა და ადეიშვილის** ციხეში ტრიალებდა, სწორედ გარყვნილი ნაცრეჟიმის ამერიკელი მრჩევლებისა და მანიაკი სააკაშვილის ოკეანესგაღმელი გადიების მიერ იყო ორგანიზებული. 2011 წლის 26 მაისს, როცა სააკაშვილის ადვოკატის, სამარცხვინო **შალვა ხაჩაპურიძის** მეუღლეს, სამი შვილის დედას, ქალბატონ **დიანა ხოფერიას** მანქურთებმა თავი გაუხეთქეს, ხოლო ცხონებული **ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის** ცხედრები **ოლეგ ჟვანიას მაღაზიის სახურავზე** შემოაწყვეს, **სააკაშვილი** გამოეთრა და ტელეკამერების წინ ურცხვად განაცხადა — **ხელისუფლების მხრიდან არავითარ გადაცდომას ადგილი არ ჰქონია, სპეცოპერაციას შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობიდან უშუალოდ ამერიკელი მეგობრები, მაღალი რანგის ოფიცრები ხელმძღვანელობდნენო!**

ანუ სააკაშვილმა, ფაქტობრივად, გათქვა საიდუმლო — **მთავარი სტრატეგიული პარტნიორი** ამერიკის შეერთებული შტატები და მისი კოლონიური ადმინისტრაცია საქართველოში ამერიკის საელჩოს სახით, თავიდან ბოლომდე არათუ საქმის კურსში იყო, არამედ გეგმავდა, ახალისებდა და იწონებდა იმ სიბილწეს, მკვლელობას, წამებას, გაუპატიურებას, ბიზნესის რეკეტს, ოჯახების აწიოკებას, ფარულ მოსმენასა და თვალთვალს, რასაც სააკაშვილი ქართ-





ვაჟა-ფშაველა

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



ჩვენ ვიბრუნებთ **ჩვენი ერის სიამაყეს და ღირსებას,** რომელიც 3000-წლიანი ისტორიის მქონე ქვეყანამ დაიმსახურა.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



როდესაც საქმე ქვეყნის ინტერესებს ეხება, **სანქციებით ვერავინ დაგვაშანტაჟებს.** შანტაჟს და მუქარას აზრი არა აქვს, **ბიძინა ივანიშვილი ქვეყნის ინტერესებს არასდროს დათმობს.**

სულ რომ **ბაიდენი** ჩამოვიდეს და ჩაერთოს კამპანიაში, **ოპოზიციას არაფერი ეშველება.**

„რეზონანსი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



ამდენი წელია, **ამერიკის ადმინისტრაცია** სტრატეგიულ პარტნიორს გვიწოდებს და **სტუმარმასპინძლობა მაინც ესწავლათ ქართველი ხალხისგან.**

„იმედინიუსი“

**ანრი ოხანაშვილი**
*პარლამენტარი*



ძებნილი კრიმინალის **ზურაბ ადეიშვილის გაეროში მიწვევით დასტურდება დამოკიდებულება ქართველი ხალხის მიმართ** — არ შეიძლება, შეურაცხყოფა მიაყენო ხალხს, რომელსაც შეეხო რეპრესიული რეჟიმი.

„ინტერპრესნიუსი“

**მამუკა მდინარაძე**
*„ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი*



საქართველოს შესახებ გადაწყვეტილებები **მხოლოდ საქართველოში მიიღება,** ამას ყველა უნდა შეეგუოს.

„პირველი არხი“

# 2024 წლის 25 სექტემბერს აშშ-ში გვითხრეს, რომ საქართველოსა და ქართველ ხალხს ძაღლიშვილები ურჩევნიათ!

ველი ხალხის სამართლიან პროტესტს უპირისპირებდა.

**სწორედ ამერიკელმა იმპერიალისტებმა მოუსუფთავეს სააკაშვილს პოლიტიკური მოედანი და მოკლეს ბადრი პატარკაციშვილი ისევე, როგორც თვალი დაუხუჭეს ზურაბ ჟვანიას მკვლელობას!** ამერიკელი გადიები და, მითუმეტეს, **მადლენ ოლბრაიტი,** რომელიც ჟვანიას უახლოესი მეგობარი იყო, სააკაშვილს ამ მკვლელობას არავითარ შემთხვევაში არ აპატიებდნენ და ჯვარს აცვამდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, **სააკაშვილი 2005 წლის თებერვალში მხოლოდ იმან გადაარჩინა, რომ ამერიკელი იმპერიალისტების წინაშე რუსეთის წინააღმდეგ ომის დაწყების პირობა დადო.** თუ რა დაგვემართა 2008 წლის აგვისტოს ომში, როცა საქართველომ 150 ძირძველი ქართული სოფელი დაკარგა და დამატებით 30 ათასი დევნილი შეიძინა, მთელმა მსოფლიომ იცის...

ამერიკელებმა მოაწყვეს საქართველოში სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალება და მოსკოვიდან ჩამოათრიეს თავიანთი „კონსერვი“ — „ცერეუს“ აგენტი **ედუარდ შევარდნაძე,** რომელმაც ქვეყანაში სისხლის ტბები დააყენა და მერე, როცა მოფახფახდა, ხელისუფლება ისევ თავის გამოზრდილ ახალგაზრდა სატანას, **ცერეუს აგენტ სააკაშვილს** გადააბარა.

2024 წლის 25 სექტემბერს **ირაკლი კობახიძისთვის** კარის მიხურვით და „ვივამედში“ დაგდებული **სააკაშვილისა** და მთელი მისი სამყაყეთისთვის თვალის ჩაპაჭუნებით კიდევ ერთხელ გაცხადდა იმ ამერიკული ე.წ. რეალპოლიტიკის მთავარი პრინციპი, რომელიც დიდმა პრეზიდენტმა **ფრანკლინ დელანო რუზველტმა** ნიკარაგუის ცნობილი პრეზიდენტისა და კიდევ უფრო ცნობილი კანიბალის, დიქტატორ **ანასტასიო სამოსა გარსიას** მისამართით წარმოთქვა — **„სამოსა ძაღლიშვილია, მაგრამ ის ჩვენი ძაღლიშვილია!“**

მოკლედ, პრემიერ-მინისტრ **ირაკლი კობახიძისთვის** კარის მიხურვით **ბაიდენის ადმინისტრაციამ** გვითხრა, რომ საქართველოს ხელისუფლების სათავეში თავიანთი „ძაღლიშვილის“ — **სააკაშვილისა და მისი ბანდის დაბრუნება სურს!**

საქართველოს თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ბევრ ჭკვიან და დაუნდობელ მტერთან ჰქონდა საქმე. მაგალითად, **შაჰ-აბასი** ძალიან ვერაგი და ბოროტი იყო. აღარაფერს ვამბობთ თურქეთის სულთნებსა და რუსეთის იმპერატორებზე, მაგრამ საქართველოს ფასი ყველამ იცოდა და ქვეყნის ასე დამცირებასა და შეურაცხყოფას ყველა ერიდებოდა...

**ჩვენს წერილებში ბევრჯერ გაგვიხსენებია ცნობილი ისტორიული ფაქტი:** 1888 წელს რუსეთის იმპერატორი **ალექსანდრე მესამე** საქართველოში ჩამოვიდა და ქუთაისში „სობოროს“ ტაძარს მიაშურა, სადაც იმერეთის ეპისკოპოსი **გაბრიელ ქიქოძე** პარაკლისს იხდიდა. იმპერატორი, რომელსაც დიდი ამალა ახლდა თან, **ეპისკოპოსმა გაბრიელმა** შეაჩერა და ასეთი სიტყვებით მიმართა — **„შესდექ, ხელმწიფევ! ეს ქვეყანა უძვირფასესი მარგალიტია შენს გვირგვინში, სხვა ყურადღებისა და ზრუნვის ღირსია და სხვა მოპყრობას იმსახურებს, ვიდრე იმას, რომელსაც ადგილი აქვს“.**

### ვის ველაპარაკოთ სირცხვილზე — ჯო ბაიდენს, რომელსაც ფეხზე არათუ ცხვარი, არამედ ჩვენი გასატოდავებული ოპოზიციისა და მისი პატრონების სახით უამრავი ქათამი, ვირთხა, ლორი, ვირი, ფაშატი, ულაყი, ძროხა და ძაღლი ჰყავს გამობმული?



აშშ-ის 28-ე პრეზიდენტი ვუდრო უილსონი



აშშ-ის 46-ე პრეზიდენტი ჯო ბაიდენი

### არ შეიძლება, პატარა საქართველომ ყველაფერი გადააყოლოს იმ ქვეყანასთან მეგობრობას, რომლის პრეზიდენტიც — ვუდრო უილსონი მე-20 საუკუნის დასაწყისში სამცხე-ჯავახეთს „დიდ სომხეთს“ აკუთვნებდა!

იმპერატორს ხმა არ ამოუღია, ისე დატოვა ტაძარი... რუსთხელმწიფეს ისე გაუფუჭდა გუნება, მოლხენისა და დროსტარების ქუთაისელმა ჯადოქრებმაც კი ვერ შეძლეს მისი გამხიარულება...

**რაზე მეტყველებს ეს ფაქტი?**

ცხადია, პირველ რიგში, იმაზე, რომ **საქართველოს ეკლესიას ასეთი დიდებული და პატრიოტი მღვდელმთავარი ჰყავდა, მაგრამ ისიც აღნიშვნის ღირსია, რომ, თურმე, რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მესამეც ნამუსიანი კაცი ყოფილა, რადგან გაბრიელ ეპისკოპოსის სიტყვებს ძალიან დაუმწუხრებია.** დიდი ალბათობით, რუსთხელმწიფემ რაღაც მომენტში გაისიგრძეგანა იმ ტანჯვა-წამების და უდიერად მოპყრობის მასშტაბები, რომელიც რუსეთის იმპერიამ ქრისტიანული საქართველოს მიმართ გამოიჩინა და სინდისმა ქენჯნა დაუწყო...

აი, ამ ამერიკელ იმპერიალისტებს საერთოდ არაფრის რცხვენიათ! გინდა, **გაბრიელ ეპისკოპოსმა** შესძახოს და გინდა, **წმინდა გიორგი** გადმოეშვას ზეციდან თეთრი ცხენით, საქართველოსა და ქართველ ხალხს მაინც **შარვალჩახდილი ზურაბ-გირჩი, ლგბტ მანიფესტზე ხელმომწერი მამუკა ხაზარაძე, ცერეუს აგენტი ეკა გიგაური და ნინო ლომჯარია, ქათმების ბრიგადირი ნიკუშა გვარამია** და მთელი ლგბტ საბილწეთი ურჩევნიათ!

„პედორასტების **(ცენზურა ჩვენია. რედ.)** პარადი თქვენი მოგონილია!“-ო — სიმღერით ამხელდა და დასცინოდა ერთი ზუგდიდელი კოლორიტი სააკაშვილსა და მის ხროვას ნაცრეჟიმის ზეობის ჟამს.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ მსოფლიოში თუ რამ უბედურება და სიბილწე ხდება — უკრაინის ომი იქნება, სააკაშვილის არაჟნის კონტეინერით შემოპარება, „ისლამური სახელმწიფოს“ შექმნა, ორჯერ გათხოვილი კაცის — **მიხაელ როთის** მიერ ქართული ეკლესიის შეურაცხყოფა, ალ-ყაიდას მიერ მოწყობილი სისხლიანი ტერაქტები, ქალის კაცად გადაკეთება თუ კაცის „დაორსულება“, **ყველაფრის უკან სწორედ ის ხალხი დგას, ვინც 2024 წლის 25 სექტემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე**

**გაგრძელება მე-4 გვერდზე**

## კვირგვინოსნები

**დავით ბაქრაძე**
*გაეროში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი*



რეგიონში **მშვიდობა და სტაბილური განვითარება,** მდგრადი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვანი პრიორიტეტებია გაეროს მიერ დადგენილი მიზნებისთვის და **ამ თვალსაზრისით, საქართველო წარმოადგენს ლიდერს მსოფლიოში.**

„აიპრესი“

**ლადო ბოქაძე**
*„ქართული ოცნების“ დელეგატი გლდანის რაიონში*



ოპოზიციას ხელისუფლებაში დაბრუნება უნდა **არა — არჩევნების, არამედ რევოლუციის გზით.** არავინ აპირებს, ქვეყანა სისხლიან რეჟიმს დაუთმოს, **რათა კიდევ უფრო მეტი ტერიტორიები დაგვაკარგვინონ და მეტი დევნილები გააჩინონ.** 26 ოქტომბერს საქართველო, ქართველი ხალხი გაიმარჯვებს და ქვეყნის განვითარება გაგრძელდება.

„საერთო გაზეთი“

**მაკა ბოჭორიშვილი**
*პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე*



საბოლოო ჯამში, **გახარია ნაცმოძრაობასთან ღიად შევა კოალიციაში.** ტყუილია, რაც ბოლო წლებში ვიხილეთ — **ვითომ დაშლილი ნაციონალური მოძრაობა** და ვითომ ცალკე მოქმედი პოლიტიკური პარტიები. სინამდვილეში, **არსებობს ერთი ნაციონალური მოძრაობა, მისი დანაყოფები და განაყოფები** და ადრე თუ გვიან ყველა იმ ადგილზე მივა, საიდანაც გამოვიდნენ.

„რეზონანსი“

**ირაკლი რუხაძე**
*ტელეკომპანია „იმედის“ მფლობელი*



ქვეყანაში საერთოდ სხვანაირი ბიზნესგარემოა. **აღარ გვეშინია იმის, რომ ვილაც შეიძლება მოვიდეს და გამოგიცხადოს, რომ ბიზნესი მის მეგობარს უნდა მისცე,** მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ხალხი დღეს მთავარი ოპოზიციაა.

„იმედინიუსი“

ვიდრე ახვალ?!

# ქვეყანას, სადაც „სტუმარ-მასპინძელი“ დაიწერა, ბაიდენის ამერიკასთან არაფერი ესაქმება!

* დასაწყისი მე-2 გვერდზე*

**ბაიდენთან შეხვედრაზე ჯერ დაპატიჟა, ხოლო შემდეგ ეს დაპატიჟება სამარცხვინოდ გააუქმა!**

სხვათაშორის, იმ შეხვედრას ესწრებოდა ირანის პრეზიდენტიც...

ამერიკელი იმპერიალისტების ლოგიკით რა გამოდის? ირანში დემოკრატია ყვავის, ხოლო საქართველოში ირაკლი კობახიძემ ტერორისტული რეჟიმი დაამყარა?

ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს 1991 წლის ზაფხულში პრეზიდენტ **ჯორჯ ბუშის (უფროსი)** მიერ გაკეთებულ სამარცხვინო განცხადებას — **შუა აზიაში, უკრაინაში, სომხეთსა და რუსეთში თავისუფლება ყვავის. ამ ფონზე ამერიკის შეერთებული შტატები მხარს არ დაუჭერს იმ მოკავშირე რესპუბლიკებს, სადაც ახალმა რეჟიმმა ძველი ჩაანაცვლა და ადამიანის უფლებები ირღვევა!**

ე.ი. უკრაინაში, სომხეთში, შუა აზიასა და რუსეთში, თურმე, ყოფილა თავისუფლების ზეიმი, ხოლო **ზვიად გამსახურდიას** საქართველოში, რომელიც ამერიკის პრეზიდენტმა განგებ არ ახსენა, მაგრამ კენჭი აშკარად ჩვენს ბოსტანში ისროლა — დიქტატურა! აღარაფერს ვამბობთ 1991 წლის 31 ივლისს მოსკოვში ვიზიტად მყოფი პრეზიდენტ **ბუშის** კიდევ ერთ სამარცხვინო განცხადებაზე, რომელმაც თავისუფლებისთვის მებრძოლი ერები გაღიმებული დატოვა. კერძოდ, მაშინ **პრეზიდენტმა ბუშმა,** ფაქტობრივად, ნიღაბი ჩამოჰგლიჯა ამერიკულ იმპერიალიზმს და **გორბაჩოვს** სახალხოდ განუცხადა — **„ზოგიერთები მოუწოდებენ შეერთებულ შტატებს, არჩევანი გააკეთონ პრეზიდენტ გორბაჩოვსა და მთელ საბჭოთა კავშირში დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ ლიდერებს შორის. მე მიმაჩნია, რომ ეს არასწორი არჩევანია!“**

აი, ასეთ იმპერიასთან გვაქვს საქმე, ამ მორალის ხალხი პატიჟებს და მერე მიპატიჟებას უუქმებს საქართველოს პრემიერ-მინისტრს და, როგორ ფიქრობთ, ვირისგან წიხლი საწყენია?

**1978 წლის აპრილში, როგორც კი ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი ეჭვქვეშ დადგა და მთელი საქართველო ქუჩაში გამოვიდა, კრემლში მაშინვე პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღეს და ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი კონსტიტუციაში ჩაუწერეს!**

კოლონია ვიყავით და თბილისსა და მოსკოვს შორის პირდაპირი ავიარეისები დილიდან საღამომდე არ წყდებოდა, ხოლო ქართველები მოსკოვსა და ლენინგრადში საუკეთესო რუს ლამაზმანებთან ერთობოდნენ და მთელი რუსეთი ფეხზე „კალოშივით“ ჰქონდათ წამოცმული!

**ახლა ამერიკის „სტრატეგიული პარტნიორი“ გვქვია და თბილისსა და ვაშინგტონს შორის პირდაპირი ავიამიმოსვლაც კი არ არსებობს.** აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ **ყატარელები უფრო ადვილად ღებულობენ ამერიკის ვიზას, ვიდრე ქართველები და ეს მაშინ, როცა ყატარი შეერთებულ შტატებს ტერორისტული ქვეყნების სიაში ჰყავს შეყვანილი!**

თუ ამას „მეგობრობა“ და „სტრატეგიული პარტნიორობა“ ჰქვია, მაშინ მტრობა რაღა არის?

**სექტემბერი საქართველოს ცუდად აქვს დაცდილი...**

1795 წლის **11-13 სექტემბერს** წყეულმა აღა-მაჰმად-ხანმა აგვაოხრა და ამოგვაგდო!

1993 წლის **27 სექტემბერს** სოხუმი დაეცა!

2024 წლის **25 სექტემბერს** ამერიკაში გვითხრეს, რომ საქართველოსა და ქართველ ხალხს **ძაღლიშვილები** ურჩევნიათ!

***დიტო ჩუბინიძე***

**სწორედ ამერიკელმა იმპერიალისტებმა მოუსუფთავეს სააკაშვილს პოლიტიკური მოედანი და მოკლეს ბადრი პატარკაციშვილი ისევე, როგორც თვალი დაუხუჭეს ზურაბ ჟვანიას მკვლელობას!**



ექსპერტის თვალით



*ჯო ბაიდენი და ვოლოდიმირ ზელენსკი*

***გასულ კვირას ბაიდენის ადმინისტრაციამ გაეროს ასამბლეის ფარგლებში ყოველწლიურ მიღებაზე პრემიერ-მინისტრის მიწვევა გააუქმა. ამას ოფიციალური შტატები და მათი ქართველი ხელქვეითები ხელისუფლების ანტიდემოკრატიული ქმედებებით ხსნიან.***

***საპირისპირო მოსაზრება აქვს დამოუკიდებელ ექსპერტს***

## *მაია ნიკოლეიშვილს:*

— მოდით, პირდაპირ ვთქვათ: **ამერიკის შეერთებული შტატები არის საქართველოს არა სტრატეგიული პარტნიორი, არამედ სტრატეგიული მახრჩობელა!** ჩვეულებრივი პარაზიტია, რომელიც ტყავს აძრობდა და აძრობს თავის მეზობელ, სამხრეთ ამერიკის კონტინენტის ქვეყნებს.

**ალექსანდრე მაკედონელსაც კი არ დაუღვრია იმდენი სისხლი, რაც შტატებმა სხვისი ხელით და წაქეზებით დაღვარა მსოფლიოში. მარტო უკრაინელი ერის გაწყვეტაში რამხელა ცოდვა მიუძღვით.**

ამ ამერიკის შვილობილია მასავით დეფორმირებული, ადამიანობისა და ღმერთის უარმყოფელი ნაცმოძრაობა. თუმცა, როგორც ბაიდენის ადმინისტრაცია ფართხალებს თავმოჭრილი ქათამივით, იმავე დღეშია მათი ფავორიტი აქაური პარტიაც. **დიდი ალბათობით, არჩევნების შემდეგ ვნახავთ იმ საშინელ სურათს, რაც ქათმის დაკვლას ახლავს ხოლმე.**

**— ვისაც არ უნახავს ეს სურათი, როგორ მიხვდეს, რა პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობთ?**

— თავმოჭრილი ქათამი კარგა ხნის მანძილზე აკეთებს მოძრაობებს, ყველაზე საშინელი კი ის არის, რომ გვერდით მყოფი ცოცხალი ქათმები მიმოდიან მის შორიახლოს და სისხლს კენკავენ. **არჩევნების შემდეგ აუცილებლად ვნახავთ ამ საზარელ სურათს როგორც ამერიკაში, ასევე საქართველოსა და უკრაინაში.** ერთმანეთს დაერევიან და გაწიწკნიან. ჩათვალეთ, რომ ახლა მათი საქციელი თავმოჭრილი ქათმის ფართხალს ჰგავს!

რა დონეზე უნდა დახვიდე ამხელა სახელმწიფო, რომ **ეკა გიგაურის** თუ **ბათუ ქუთელიას** მონაჩმახზე პრემიერის მიწვევა გააუქმო. მერე რა, რომ **ბაიდენი** ტელეკამერების წინ გამოდის და სუფლიორით სხვის დაწერილ ტექსტებს კითხულობს, **ამერიკას დღეს რეალურად პრეზიდენტი არ ჰყავს.** იქ არაფორმალური მმართველობაა!

ღიმილით ვუსმენ ჩვენი ხელისუფლების იმ გამოსვლებს, როცა ამბობენ, არჩევნების შემდეგ ამერიკის გადატვირთვა მოხდება და ჩვენი ურთიერთობები შეიცვლებაო. არაფერიც არ შეიცვლება! მეტიც, **შეერთებული შტატები ალიკვეთება ევრაზიის კონტინენტიდან! ჩვენ მხოლოდ საკუთარ თავზე და ახალ გეოპოლიტიკურ პერსპექტივებზე უნდა ვიფიქროთ!** ის, რასაც დღეს **ეკა გიგაურები** და მისი პოლიტიკური მეგობრები აკეთებენ, ეს არის ქვეყნის ღალატი. ზუსტად ასე მიდიოდნენ ჩვენი წინაპრები სულთნის კარზე — ჩემს ძმას წაართვი ხელისუფლება და მე მომეციო. ეს სულთანი ახლა სულთამხუთავი ამერიკაა. „ქართულ ოცნებას“ მათ კარზე მისული საჭურისები ურჩევნიათ, რომლებიც ხელისუფლების ხელში ჩაგდების სანაცვლოდ საკუთარ ოჯახსაც გაყიდიან.

**„ანგლოსაქსების ძლიერება ნაპირზე გამორიყული მედუზასავით დნება!“**

## კვირგვინოსნები



**დონალდ ტრამპი**
*აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი*

**ზელენსკი** არის **უდიდესი ვაჭარი** ისტორიაში — ყოველ ჯერზე, როდესაც შემოდის ქვეყანაში, **60 მილიარდი დოლარით გადის!**

„საქართველოს რესპუბლიკა“



**ემანუელ მაკრონი**
*საფრანგეთის პრეზიდენტი*

მოგვიწევს ევროპისთვის **ახალი ორგანიზაციის** ფორმაზე მსჯელობა და რუსეთთან ურთიერთობების გადახედვა.

„საქართველოს რესპუბლიკა“



**ალექსანდრე ლუკაშენკო**
*ბელარუსის პრეზიდენტი*

**ჩვენ უნდა მოვემზადოთ ომისთვის.**

„რეზონანსი“

## მაია ნიკოლეიშვილი:

# ამერიკის შეერთებული შტატები არის საქართველოს სტრატეგიული მახრჩობელა და ჯანდაბამდეც გზა ჰქონია!



**— ფაქტია, რომ იზოლაციაში აღმოვჩნდით...**

— ჯანდაბამდეც ჰქონიათ გზა! იცით, მსოფლიო რამხელაა? **ბევრ ქართველს, მგონი, გლობუსი შუაზე აქვს გადახერხილი და მხოლოდ დასავლეთის ნაწილს ხედავს.**

**— იმიტომ, რომ ეს ნაწილი უფრო ცივილიზებული და განვითარებულია...**

— ჩადით ჩინეთში, ცივილიზაცია და ტექნოლოგიური წინსვლები ისეთი უნდა, იქ რომ არის! **თუ სამხედრო წარმატებებს გულისხმობთ, ისეა ეს სფერო რუსეთში განვითარებული, ამერიკას და ევროპას არც დაესიზმრება.** დასვენების უსაფრთხოების და ინდუსტრიის კუთხით თურქეთია მისაბაძი! რაც შეეხება განათლებას, ამერიკა და ევროპა საზოგადოების ზოგადი განათლებით ჩვენც კი ჩამოგვრჩება. მათი პრიმიტიული აზროვნება კარგად გამოჩნდა პრეზიდენტობის კანდიდატების დებატების დროს. ასეთი შეზღუდული სიტყვის თავისუფლება დღეს რომ ამერიკასა და ევროპაშია, არასდროს ყოფილა. ადამიანებს განსხვავებული აზრის მოსმენისაც კი ეშინიათ. საერთოდ, **რომელ ცივილიზებულ სამყაროზე ვსაუბრობთ, როცა გასული საუკუნის სამოციან წლებში ადამიანები ზოოპარკებში ჰყავდათ გამომწყვდეული და ქალის უფლებები მინიმუმამდე იყო შეზღუდული?!** ეს კლიშე უნდა მოვშალოთ. მსოფლიო, გეოპოლიტიკური არქიტექტონიკა იცვლება და, შესაბამისად, ლიდერი ევროპა და ამერიკა აღარ არის. **ანგლოსაქსების ძლიერება ნაპირზე გამორიყული მედუზასავით დნება!**

საზოგადოებას უნდა გავაგებინოთ, რომ ძველებური ურთიერთობა სტრატეგიულ პარტნიორთან აღარ გვექნება, მორჩა! ის, რომ დაპატიჟებული სტუმრის **ირაკლი კობახიძის** მიწვევა გააუქმეს, ეს ჩვენს ხელისუფლებას კი არ აკნინებს, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის დეგრადაციის ხარისხზე მიუთითებს. **სასაცილო მდგომარეობაში ჩვენ კი არა, თავად აღმოჩნდნენ.** არსად დაეკარგოთ **ვოლოდიმირ ზელენსკი.** მალე კიდევ უფრო თვალში საცემი იქნება, როგორ იმსხვრევა მათი დემოკრატიის შუქურა. როგორ გგონიათ, რატომ ატეხეს ერთი ამბავი ანტიკორუფციული ბიუროს გადაწყვეტილების გამო?

**— რატომ?**

— დაშიფრულები არიან, მაგრამ არ უნდათ ეს დოკუმენტურად დაუდასტურდეთ. ჯერ კიდევ ფართხალებენ, იქნებ პატრონმა გვიშველოსო. ვერ ხვდებიან, რომ იმ პატრონს სთხოვენ შველას, ვისაც პატრონობის თავი აღარ აქვს. **ბიძინა ივანიშვილს** ჩვენზე მეტი ინფორმაცია აქვს. მისი გლობალური გათვლები ზუსტი იყო. იმედი მაქვს, ახლაც ასეა — სწორად მიდის პატარა ნავი — საქართველო ამ აბობოქრებულ გეოპოლიტიკურ ოკეანეში! ზუსტად იცის, იმ რისკებისა თუ სამომავლო პერსპექტივების შესახებ, რაც წინ გველოდება.

**— ანუ უნდა გაიმართოს ნიურნბერგის პროცესი? უნდა მოვუხადოთ ოსებს ბოდიში?**

— კითხვის ასე დასმა არის საკითხის გამარტივება. ეს გაცილებით ღრმა თემაა და მასზე საუბარი 90-იანი წლებიდან უნდა დავიწყოთ. ერთია, რომ **ზვიად გამსახურდია** ეროვნული პრეზიდენტი იყო, მაგრამ მეორეა ის პოლიტიკა, რაც ქართულმა ხელისუფლებამ დამოუკიდებლობის პირველ წლებში გაატარა. **ეს იყო ანტისომხური, ანტირუსული, ანტიოსური პოლიტიკა.** მახსოვს, სხვა ეროვნების ძალიან ბევრი ადამიანი წავიდა მაშინ საქართველოდან. დაიცალა ოსური სოფლები. **დამოუკიდებლობით აჟიტირებულმა ხელისუფლებამ შეცდომები დაუშვა. ცალკე საუბრის თემაა, ვინ წააქეზა მაშინდელი ხელისუფლება.**

ცხადია, საკუთარი შეცდომების აღიარება მხოლოდ ქართველების მხრიდან არ უნდა მოხდეს. ეს ნაბიჯი რუსეთმაც უნდა გადადგას და, როგორც ცნობილია, აპირებენ კიდეც. ეს კარგად ჩანს მათ სატელევიზიო გადაცემებში. **ცივილიზებულმა და ქრისტიანულმა ერებმა საერთო ენა უნდა გამონახონ.** ბოდიშის მოხდა მხოლოდ ერთი პატარა ფრაგმენტია იმ დიდი პროცესიდან, რომელიც გასავლელია.

ნიურნბერგის პროცესი დაერქმევა მას თუ სხვა რამ, აუცილებლად უნდა ჩატარდეს! როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, თუ ტრავმულ პერიოდს არ გაივლი, პრობლემა პრობლემად დარჩება! შეიძლება ძალიან გვეტკინოს, მაგრამ მხოლოდ ამ გზით შეიძლება ქვეყანა გამთლიანდეს და განვითარდეს!

**— თუმცა, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობით გაიმარჯვებს. თქვენი ვარაუდით, ვის რა შანსები აქვს?**

— „ქართული ოცნება“ რომ გაიმარჯვებს, ამაში ორი აზრი არ არის! ე.წ. ოპოზიციონერებმა შეერთება-გაერთიანებებით შეცდომებს შეცდომები დაუმატეს. ისედაც არ ჰყავდათ ელექტორატი და სულ დაკარგეს. **ძალიან უნდა მოინდომო, კაცმა ისეთი შეუთავსებელი გაერთიანება მიიღო, როგორიც „ლელო“ და მის ირგვლივ შემოკრებილი პარტიებია. მამუკა ხაზარაძე** პიკასოს ნახატივით არის პოლიტიკაში. სრული აბსტრაქციაა მისი პოლიტიკური ნაბიჯები და საქმიანობა.

გულწრფელად გეტყვით, როდესაც **გიორგი გახარია** პრემიერ-მინისტრი იყო, ძალიან ჭკვიანი მეგონა. ახლა უკვე აღარ ვიცი, ძალიან ჭკვიანია თუ მხოლოდ **მალევიჩის „შავი კვადრატი“.** უფრო მაინც, **მალევიჩის „შავი კვადრატი“** მგონია. გინახავთ, ალბათ, ქარში მფრინავი ჩიტი, ფრთებს რომ იქნევს და მაინც ერთ ადგილზეა. ასეა **გახარიაც,** ზოგჯერ მზეთუნახავივით გამოანათებს, მაგრამ მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი ნულის ტოლია. აღარაფერს ვამბობ **ნათია მეზვრიშვილზე,** რომლის ყოველ გამოსვლაზეც ერთდროული გინება მიდის ქოცებისა და ნაცების მხრიდან.

საინტერესო ფენომენია ქართულ პოლიტიკაში **ნიკა მელია და ნიკა გვარამია.** მე მათ სიკო და ნიკო შევარქვი. ერთი შეხედვით საყვარლები არიან, მაგრამ ქვეყნისთვის რა ხეირი?!

ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკურად გაცვეთილია, თავისი **ვაშაძეებით, ჭიაბერაშვილებით, ბარამიძეებით და გოცირიძეებით** მორალურად მოძველებულები არიან!

**— აბა, ერთი რომან გოცირიძეს ან გიორგი ბარამიძეს ჰკითხეთ, ასე თუ ფიქრობენ?!**

— **გიგი წერეთელსაც** ხომ არ დავეკითხოთ?! რამდენი **ბოკუჩავაც** არ უნდა დაიყენონ წინ, ნაციონალური მოძრაობა არის ტაოტიანი „ვოლგა“, მას მომავალი არა აქვს! სიმართლე გითხრათ, მიკვირს **თინა ბოკუჩავასი.** მშვენიერი, სიცოცხლით სავსე გოგოა, **წადი, შვილო, გაერთე, პეპლები დაიჭირე, რა გინდა ამ წუმპეში?!**

**სააკაშვილს** რომ ვუყურებ, უკვე მეცინება, სერიოზულად ვერ აღვიქვამ, იმდენად კომიკური ფიგურაა. მისმა გარემოცვამ საშინელი შეცდომა დაუშვა, როცა მსხვერპლად წარმოაჩინეს და მის გონებრივ შესაძლებლობებს დაჰკრეს — შეკვეთილი ანორექსია და დემენცია დამართეს — თითქოს **ხოშტარიას** მეტს ვერავის ცნობდა და **სიყვარულის** მეტს სიტყვას ვეღარ იმახსოვრებდა. სააკაშვილი ახლაც საბრალოა, ოღონდ მავნებელი საბრალო!

ბევრი აღარ უკლია აქამდე **სალომე ზურაბიშვილს.** ეს ადამიანი იმთავითვე თავსმოხვეული იყო უცხო ძალების მიერ. სამწუხაროდ, მეც მათ შორის ვარ, ვინც „ოცნების“ ხათრით თავის დროზე ხმა მივეცი. დღეს იგი ქართული პოლიტიკის ხანუმად იქცა, ოღონდ უნიჭო ხანუმად!

ვფიქრობ, არჩევნების წინა ორი კვირა პოლიტიკურად ძალიან დატვირთული იქნება. მოხდება კვანძების გახსნა და ფაქტების გამომზეურება. თუ „ქართული ოცნება“ გამოამჟღავნებს ოპოზიციის ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს, დადებს სტრატეგიულ გეგმას გეოპოლიტიკურ კონტექსტში, გარანტირებულად გაიმარჯვებს საკონსტიტუციო უმრავლესობით! ეს ასე უნდა მოხდეს!!!

ესაუბრა
***ნატო ფოცხიშვილი***




**„ზუსტად ასე მიდიოდნენ ჩვენი წინაპრები სულთნის კარზე – ჩემს ძმას წაართვი ხელისუფლება და მე მომეციო!“**

## კვირგვინოსნები



**სოზარ სუბარი**
*„ხალხის ძალის“ თავმჯდომარე*

მშვიდობის შენარჩუნების ერთადერთი გზა არის **26 ოქტომბერს 41 ნომრის შემოხაზვა.** ეს ჩვენი ოპოზიცია, რომელიც არის **ჩვეულებრივი აგენტურა,** გაშიფრულია.

„იმედინიუსი“



**თეა წულუკიანი**
*კულტურის მინისტრი*

მე არ ვიცი, **პარლამენტში რა უნდა ვაკეთო** და რატომ მეძახიან ჩემნაირ იურისტს — **ცოტა მოხულიგნოს, ენას რომ ჯიბეში არ ინახავს.**

„აიპრესი“



**ირაკლი კირცხალია**
*ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე*

**ვერცერთი სანქცია** ვერ შეაშინებს **ბიძინა ივანიშვილს,** ვერც მის გუნდს!

„საქართველოს რესპუბლიკა“



**ნინო ნილოსანი**
*პარლამენტარი*

არ მგონია, დასანქცირება **ბიძინა ივანიშვილთან** ბრძოლის ქმედითი იარაღი იყოს. მას მკაფიოდ აქვს გაცხადებული — **სამშობლო უპირველეს ყოვლისა!**

„ინტერპრესნიუსი“



**ზაზა შათირიშვილი**
*ფილოსოფოსი*

**მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი** — არასწორია, **ჩვენ ევროპაზე უფრო ძველები ვართ.** ძველი არ ნიშნავს უკეთესს, მაგრამ ეს ჩვენი ისტორიაა.

„TV იმედი“



**ნიკოლოზ გაბელია**
*„ქართული ოცნების“ წევრი*

ადამიანები **მშვიდობისკენ მივდივართ,** როგორ შეიძლება, ეს არასწორი გზა იყოს?! გამაგებინეთ, **მშვიდობა როგორ შეიძლება, იყოს არასწორი?** როგორ შეიძლება, ომი იყოს სწორი და მშვიდობა — ცუდი?

„TV იმედი“

# „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარისა და საპარლამენტო სიის პირველი ნომრის ბიძინა ივანიშვილის გამოსვლა თელავში 2024 წლის 28 სექტემბერს



## ჩვენი ქვეყანა ვერასოდეს გაიმართება წელში, თუ ამ ღალატს პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება არ მიეცემა!

## ბიძინა ივანიშვილი: შეცდომის დაშვების უფლება არა გვაქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, 2008 წლის აგვისტოს ომი მონაგონი იქნება!

## ესაა ბრძოლა ჩვენი დიდი ხნის ნატვრის ასასრულებლადაც – კვლავ გაერთიანებული ვიხილოთ ჩვენი სამშობლო!

**მოგესალმებით, კახელებო, გილოცავთ ალავერდობას!**

მივესალმები თელავს, გურჯაანს, ახმეტას, ყვარელს, სიღნაღს, ლაგოდეხს, საგარეჯოს, დედოფლისწყაროს!

მივესალმები აქ მცხოვრებ თუშებსა და ხევსურებს, მივესალმები პანკისელ ქისტებს, ჩვენს აზერბაიჯანელებს: ყარაჯალელებს, იორმუღანლოელებს, კაბალელებს; მივესალმები კახეთის მიწაზე მცხოვრებ ჩვენს სომხებს.

**მოგესალმებით პატარა კახის, დიდი ერეკლეს შთამომავლებს, საქართველოს უანგარო პატრიოტებს!**

კახეთი, ჩვენი ქვეყნის ეს დალოცვილი კუთხე, საქართველოს ძლიერების ერთ-ერთი მთავარი ფუნდამენტია. ასე იყო უწინაც, ასე არის ახლაც!

საუკუნეების განმავლობაში ისტორიამ ჩვენი ქვეყნისთვის ბრძოლა გარგუნათ ბედად და თქვენც პირნათლად ასრულებდით დაკისრებულ მოვალეობას, გმირულად იცავდით ჩვენს მიწა-წყალსა და სარწმუნოებას.

დღეს რომ საქართველო ცოცხალია და ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნის, ამაში თქვენი ლომის წილია.

ისტორიულმა ქარტეხილებმა კახელებს მებრძოლი სული და უდრეკი ბუნება ჩამოგიყალიბათ, მაგრამ გენიალური ფიროსმანის პერსონაჟებივით ნათელ და ნამდვილ ადამიანებად დარჩით, კახური მრავალჟამიერივით ძარღვიან, ღირსეულ ქალებად და კაცებად!

**„მამული, ენა, სარწმუნოება — სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?“** — წერდა ჩვენი ერის მამა, ამ კუთხის შვილი **ილია ჭავჭავაძე** — კაცი, რომელმაც მთელი სიცოცხლე საკუთარი ქვეყნისა და ხალხისათვის ბრძოლას და მათ კეთილდღეობას მიუძღვნა.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, ჩვენი სამშობლო და ხალხი მსგავსი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა დამოუკიდებლობის პირობებშიც, 2012 წლის 1 ოქტომბრამდე, როდესაც საქართველოს, ამ ქვეყნის შვილებისა და ყველაფერი ქართულის — ჩვენი ტრადიციების, ისტორიის, კულტურისა და რწმენის წინააღმდეგ, არც მეტი, არც ნაკლები, საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლება იბრძოდა. ხელისუფლება, რომელსაც, წესით, ეს ყველაფერი უნდა დაეცვა, თუმცა, **უცხოელ პატრონებთან ერთად, ისინი პირიქით მოქმედებდნენ — ახალი ქართველის შექმნაზე მუშაობდნენ, ვისთვისაც უცხო იქნებოდა ის ეროვნული ფასეულობები, რომელზეც იზრდებოდნენ, იზრდებიან და მადლობა ღმერთს, მომავალშიც გაიზრდებიან ამ ქვეყნის შვილები.**

ამ პროცესის ნაწილი იყო ჩვენი იდენტობის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორის — **ვაზისა და ქართული ღვინის წინააღმდეგ გაჩაღებული კამპანია, თანაც, სად?! — ღვინის სამშობლოში, სადაც ღვინო საკრალური სასმელია.** სადაც კახელმა კაცმა ურთულეს ვითარებაში, გაუთავებელი ომების ქარცეცხლში გამოატარა თავისი მთავარი განძი და ფასეულობა — ქართული ვაზი და ცივილიზაციას შემოუნახა ღვინის დაყენების უნიკალური მეთოდი, რომელიც დღეს იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი!

**თუკი კახელის და, ზოგადად, ქართველი ადამიანის შეურაცხყოფა და დამცირება გინდა, მისი იდენტობის ამ ერთ-ერთ მთავარ ნაწილს უხეშად უნდა შეეხო. ყველაზე კარგად ეს იმ ხალხმა იცის, ვინც დღეს კოლექტიური ნაციონალური მოძრაობის სახეს წარმოადგენს და ქართული ღვინის წინააღმდეგ მიმართულ, შეურაცხმყოფელ კამპანიას დღესაც აგრძელებს.**

შეუძლებელია, არ გავიხსენოთ ის შემზარავი დრო, როდესაც ნაციონალური მოძრაობის რეჟიმმა კახელი კაცი იძულებული გახადა, რომ შვილივით ნაზარდი ვაზი, ჩვენი ფესვი, ჩვენი სულიერი სიმტკიცის წყარო საკუთარი ხელით გაეჩეხა.

ღვინის სამშობლოში ამაზე უარესი თითქოს რაღა უნდა მომხდარიყო, რომ ქართველ კაცს, მითუმეტეს, კახელს, ვაზის მოვლაზე აეღო ხელი, მაგრამ **ნაციონალურმა მოძრაობამ გაცილებით უარესიც შეძლო — ტერორითა და სიღარიბით დაძაბუნებულ ქვეყანას ომის უბედურება დაატეხა თავს.**

## უბედურება, რაც 2008 წლის აგვისტოში დატრიალდა, სწორედ მათ სინდისზეა. სწორედ ნაციონალური მოძრაობაა პასუხისმგებელი ტრაგედიაზე, რაც ჩვენი მოქალაქეების სიცოცხლის და ტერიტორიების დაკარგვის ფასად დაგვიჯდა!

**ამ ხალხმა ჯერ წაგებული ომი აზეიმა მოსახლეობას, შემდეგ კი ცნობილ რეზოლუციაზე ხელმოწერით და ტალიავინის დასკვნაზე დათანხმებით, საომარი მოქმედებების დაწყება თავად აღიარა!** დღეს არცერთი მათგანი არ ცდილობს სამშობლოს ღალატის უარყოფას, რადგან იმდენად ნათელია მათი ნამოქმედარი, რომ უტიფრობით ცნობილი ომის პარტიის წევრები თითქოს შეეგუვნენ საკუთარ ტერიტორიაზე ომის გაჩაღებაში მხილებას.

ამ დანაშაულის უგულებელყოფა და შესაბამისი რეაგირების გარეშე დატოვება შეუძლებელია. **ჩვენი ქვეყანა ვერასოდეს გაიმართება წელში, თუ ამ ღალატს პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება არ მიეცემა.** როგორც აღვნიშნე, პოლიტიკურად მათ უკვე გაიფორმეს ომის დაწყების დანაშაული ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, ხოლო, როდესაც აღარ არსებობს არანაირი ხელის შემშლელი ფაქტორი საერთაშორისო სამართლებრივ ინსტიტუტებში, **არჩევნებში გამარჯვებისა და საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემდეგ მათი სამართლებრივი პასუხისმგებლობის პროცესი დაიწყება.**

## სწორედ ამიტომ ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია, რომ 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვოს და დღის წესრიგში დააყენოს ნაციონალური მოძრაობის არაკონსტიტუციურად გამოცხადების, ამავდროულად კი, უმკაცრესად გასამართლების საკითხი.

პირობას გაძლევთ, რომ ამ პროცესს წინ ვერაფერი დაუდგება!

გარდა ამისა, ამ უსამშობლო ხალხმა ერთხელ და სამუდამოდ პასუხი უნდა აგოს წლების განმავლობაში ჩადენილ უმძიმეს დანაშაულებზე: **საკუთარი მოქალაქეების წამებასა და მკვლელობაზე, ბიზნესის რეკეტზე, ქვეყანაში გამეფებულ კორუფციაზე.**

## ქართველმა საზოგადოებამ უნდა მოიკვეთოს ეს პოლიტიკური სარკომა საკუთარი სხეულიდან, თუ გვინდა, რომ მოჯადოებულ, ჩაკეტილ წრეზე აღარ გავაგრძელოთ სიარული.

## კვირგვინოსნები

**გია ვოლსკი**
*პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი*



არ არსებობს პოლიტიკით მეტ-ნაკლებად დაინტერესებული ადამიანი, ვინც ვერ ხედავს, რომ **რადიკალური ოპოზიციის ამოცანაა დესტაბილიზაცია** და ხელისუფლებაში **რევოლუციური გზით** მოსვლა.

„პირველი არხი“

**თენგიზ შარმანაშვილი**
*პარლამენტარი*



თუ შენ ხარ **ქართველი პოლიტიკოსი** და არა — **უსამშობლო პოლიტიკოსი, არამხოლოდ ფინანსური სანქციების გადასატანად,** თუ საჭირო იქნება, **სიცოცხლის დასათმობადაც მზად უნდა იყო.** თუ ამისთვის მზად არ ხარ, მაშინ საქართველოს პოლიტიკაში არაფერი გესაქმება.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ ერთ-ერთი ლიდერი*



**ხაზარაძე-ბახარია** არასერიოზული პოლიტიკოსები არიან. ოპოზიციის როლი მნიშვნელოვანია, მაგრამ **მე ხალხს არ ვურჩევდი ჩემი კოლეგების იმედად ყოფნას,** ჩვენ დანარჩენ ოპოზიციაზე ხელი გვაქვს ჩაქნეული. მიგვაჩნია, რომ **ესენი არიან იდიოტების ერთობლიობა!**

„ახალი თაობა“

**თემურ მაისურაძე**
*აკადემიკოსი მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*



**თუკი გაბრაზებული ადამიანები არჩევნებზე არ მივლენ,** ეს შეიძლება გახდეს მიზეზი იმისა, რომ ლიდერთა ლიდერად **თინა ბოკუჩავა** ვიხილოთ, ცალკეულ ლიდერებად კი — **ანი წითლიძე, სოფო ჯაფარიძე და ნიკა გვარამია...** მე, პირადად, **ამის წარმოდგენაც კი გულს მიხეთქავს!** ამიტომ, შეიძლება ვიღაცას **ლარიბაშვილი** არ მოსწონდეს, **ბიძინა ივანიშვილი** არ მოსწონდეს, მაგრამ ხომ უნდა აწონ-დაწონო, **საით მეტი საფრთხეა!**

„საერთო გაზეთი“

# ხმა ღვთისა – ხმა ბანერისა!




დღეს ყველა თვალნათლივ ვხედავთ, რომ ეს რადიკალური ძალა, მის გარშემო გაერთიანებული პოლიტიკური, არასამთავრობო თუ მედია-ორგანიზაციები უცხო ძალის ინტერესს ატარებენ და ცდილობენ, რომ საქართველო ომის უბედურებაში გახვიონ. **შეცდომის დაშვების უფლება არა გვაქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, 2008 წლის აგვისტოს ომი მონაგონი იქნება. ჩვენი ქვეყნისადმი მტრულად განწყობილი ძალები ადგილობრივი აგენტურის ხელით საქართველოს რუკიდან გაქრობას უპირებენ.** ემზადებიან იმისათვის, რაც ვერც ერთმა დამპყრობელმა ვერ მოახერხა საუკუნეების მანძილზე!

ამის პატიება როგორ შეიძლება?! როგორ შეიძლება, ამაზე საკადრისი პასუხი არ მოვთხოვოთ ხალხს, რომელთა მთავარი მიზანი ხელისუფლებაში ნებისმიერ ფასად დაბრუნება და საქართველოს ომის ქარცეცხლში გახვევაა?! ჩვენი ხელისუფლება თავს იწონებს იმით, რომ დღეს კახელ გლეხს შრომა უფასდება და მის მოსავალს რისკებისგან ვაზღვევთ, რომ ყურძნის ფასი გავზარდეთ და გასაღების მოშლილი, ტრადიციული ბაზრები აღვადგინეთ, რომ მევენახეობისა და მეღვინეობის დარგის განვითარებაზე ვზრუნავთ და ამ მადლიან კუთხეში არცერთი გოჯი მიწა აღარ რჩება დაუმუშავებელი, რადგან ნიჭიერ, გამრჯე ხალხს საკუთარი შრომით ღირსეული შემოსავლის მიღების საშუალება მიეცა. თავს ვიწონებთ იმით, რომ კახელი კაცი დღეს წელშია გამართული, რადგან იცის, სახელმწიფო უმაგრებს ზურგს და მისი შრომა ფასდება, მთელი რიგი შეღავათებითა და სახელმწიფო პროგრამებით კი მაქსიმალურად ვუწყობთ ხელს.

თავს ვიწონებთ იმით, რომ 2012 წლიდან მოყოლებული, კახეთმა ახალი სიცოცხლე შეიძინა; მოწესრიგდა და განვითარდა ინფრასტრუქტურა, ვაშენებთ საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალებს და აეროპორტს, რამაც ამ კუთხის საინვესტიციო და ტურისტული პოტენციალის ზრდას შეუწყო ხელი. უძველესი ისტორიის, კულტურისა და ულამაზესი ბუნების მქონე კახეთი საოცრად მიმზიდველი გახდა როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნების მოქალაქეებისთვის და ამ კუთხის ტურისტული პოტენციალი არნახულად გაიზარდა.

რთვლის შემდეგ კახელები წლის მოსავალს ლოცავთ. ყოველივე ზემოთქმული, რაზეც ვისაუბრე, მათ შორის, ის, რომ დღეს სახელმწიფოს ამოსავალი წერტილი ადამიანია, ის, რომ თქვენი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანია, ის, რომ ერთად ავაშენეთ ქვეყანა, რომელშიც დაცულია ადამიანის ყველა უფლება, აზრისა და სიტყვის თავისუფლება, გვაქვს გაჯანსაღებული სასამართლო, დამოუკიდებელი მედია, ხელშეუხებელი ბიზნესი და დემოკრატიაზე, სამართლის უზენაესობასა და ადამიანის ღირსების პატივისცემაზე დამყარებულ ქვეყანაში თავისუფლად ვცხოვრობთ, სწორედ ის საშვილიშვილო მოსავალია, რომელსაც 2012 წლის 1 ოქტომბერს ერთად ჩავუყარეთ საფუძველი. მოსავალი, რომელსაც მოვუარეთ, ვზრდიდით და მის შედეგებს, კეთილდღეობისა და მშვიდობის სახით, დღეს საკუთარ თავზე ვიმკით.

ამ ყველაფერს ჩვენი შრომით ერთად მივაღწიეთ და, რა თქმა უნდა, შეჩერებას არ ვაპირებთ!

მომავალშიც ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყნის განვითარება და კეთილდღეობა ყველა თქვენგანმა, საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ საკუთარ თავზე იგრძნოს, ამავდროულად კი

## საბოლოოდ დავასრულებთ სხვადასხვა, მათ შორის, უცხოური ძალების მიერ ჩვენი მოსახლეობისთვის ფსევდო-ღირებულებების თავს მოხვევის ძალადობრივ მცდელობებს, რაც ოჯახის, ეროვნულობის, რწმენის და საქართველოს სუვერენიტეტის წინააღმდეგაა მიმართული!

დღეს ჩვენ ჩართული ვართ არამხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიაში, არამედ ბრძოლაში მშვიდობის, ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის, ჩვენი ტრადიციებისა და ფასეულობების დასაცავად, ამ ბრძოლის მთავარი ასპარეზი კი 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებია.

ესაა ბრძოლა ჩვენი დიდი ხნის ნატვრის ასასრულებლადაც — კვლავ გაერთიანებული ვიხილოთ ჩვენი სამშობლო, თუმცა,

## საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით, შერიგებისა და ურთიერთშენდობის საფუძველზეა შესაძლებელი!

ამ საკითხთან დაკავშირებით უცხო ქვეყნების აგენტებისა და კოლექტიური ნაციონალური მოძრაობის დამოკიდებულება ნათლად გვიჩვენებს მათ რეალურ მიზანს — საქართველო მუდმივი კონფლიქტისა და დაპირისპირების რეჟიმში იყოს. სწორედ ამიტომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის მზადება, პირველ რიგში, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებაზე გადის.

26 ოქტომბერს, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში, „ქართული ოცნების“ გუნდს გვაქვს მზაობა, რომ საჭირო მომენტში ქვეყანა საკონსტიტუციო მოწყობის ისეთ მოდელზე გადავიყვანოთ, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ავიხდინოთ ჩვენი მრავალწლიანი ოცნება — კვლავ ვიხილოთ ერთიანი და ძლიერი საქართველო!

დასასრულ, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რასაც საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში, აუცილებლად დავაყენებთ დღის წესრიგში — **მზად ვართ, გადავდგათ კონკრეტული ნაბიჯები მართლმადიდებელი ეკლესიის დაცვისა და გაძლიერების მიმართულებით და მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი საქართველოს კონსტიტუციაშიც ავსახოთ!**

თუმცა, ნურავინ იფიქრებს, რომ საქართველოს კონსტიტუციაში **მართლმადიდებელი ეკლესიის როლის გამოკვეთით,** რომელიმე რელიგიურ კონფესიას რაიმე ტიპის პრობლემა შეიძლება შეექმნას; პირიქით, ჩვენი ქვეყანა სწორედ იმით არის გამორჩეული, რომ სხვადასხვა აღმსარებლობის ხალხს ერთმანეთის რელიგიის უდიდესი პატივისცემა გვაქვს, სახელმწიფო კი თანაბრად ზრუნავს თითოეულ მოქალაქეზე, განურჩევლად მისი ეროვნებისა და აღმსარებლობისა. **საქართველოში მოქმედი კონფესიების დაცვისა და თავისუფლების გარანტი, როგორც დღემდე, შემდგომშიც, რა თქმა უნდა, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება იქნება!**

თქვენი, კახელების, ხმა კოსმოსში ისმის და დარწმუნებული ვარ, ხმამაღლა გაისმება 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზეც, სადაც **ქუდზე კაცი გამოხვალთ და უალტერნატივო არჩევანს გააკეთებთ: ომსა და მშვიდობას, ფსევდოლიბერალურ ღირებულებებსა და ეროვნულობაზე, ოჯახზე, რწმენასა და დამოუკიდებლობაზე დაფუძნებულ ფასეულობებს შორის,** ჩვენი ქვეყნის ღირსეულ ევროპულ მომავალსა და იმ მიუღებელ მოცემულობას შორის, რაც რადიკალურ ოპოზიციას და უცხოელ აქტორებს, ევროპულობად სურთ, რომ გაასაღონ.

კახელები პირდაპირი ხალხი ხართ, მიკიბულ-მოკიბული საუბარი არ გიყვართ, ამიტომ მეც პირდაპირ გეტყვით — **26 ოქტომბერს „ქართულ ოცნებას“ უნდა დაუჭიროთ მხარი!** მწამს, რომ ერეკლე მეფის მაგინებლების ადგილი ჩვენს საზოგადოებაში არ არის.

## სწორედ ერეკლე მეფის ღირსებისათვის, მისი სახელით უმკაცრესი პასუხი უნდა გასცეთ კოლექტიურ ნაციონალურ მოძრაობას.

**მხოლოდ მშვიდობით, მხოლოდ ღირსებით და კეთილდღეობით ევროპისკენ! მრავალჟამიერ ისმოდეს ჩვენი კეთილი, უტეხი ხმა ჩვენს ქვეყანასა და მთელ მსოფლიოში!**

## კვირგვინოსნები

**ბიძინა გიორგობიანი**
*„ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ წევრი*



**ქართული რევოლუციების ერთ-ერთი სპონსორის ჯონ მაკკეინის ინსტიტუ**ტის გლობალური დემოკრატიის პროგრამების უფროსმა დირექტორმა **ლორა თორნტონმა რევოლუციური სცენარი უკვე მოამზადა.**

„იმედინიუსი“

**ლევან მამალაძე**
*„სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის“ ხელმძღვანელი*



ბოლო პერიოდში გამართულ აქციებზე ძალოვანმა სტრუქტურებმა დიდი გამოცდილება შეიძინეს. **ყოველი უკანონო ნაბიჯი ხელისუფლების მხრიდან მკაცრად აღიკვეთება.** ასე რომ, **არ მგონია, ქუჩაში გამოსვლებით, 2003 წლის მსგავსად, ხელისუფლების ჩამოშლა მოახერხონ.**

„საერთო გაზეთი“

**სანდრო თვალჭრელიძე**
*ექსპერტი*



**როგორც არ უნდა სცადონ გაყალბება,** თუ ამომრჩეველი იაქტიურებს, ეს შეუძლებელი იქნება. **არჩევნების გაყალბების დიდოსტატი ხათუნა გოგორიშვილი** იყო და ისიც კი ამბობდა — შედეგების **7 პროცენტზე მეტად გაყალბება შეუძლებელიაო.** ეს მაშინ, როცა ყუთებს მთლიანად იტაცებდნენ.

„კვირის პალიტრა“

**რამაზ საყვარელიძე**
*ანალიტიკოსი*



თუ გამოუვათ და გადააგდებენ ამ ხელისუფლებას, **მოიყვანენ მიშას.** აქ ხომ **მიშაზეა** თამაში და მეტი არაფერი. რა, გგონიათ, **ხაზარაძეზე** მუშაობს ამერიკა და ევროპა თუ **ბახარიაზე?** არა, რა თქმა უნდა, **მიშასა და მის გუნდზე მუშაობენ.**

„კვირის პალიტრა“

# ბაიდენოთის კასრი

***ერთი ცნობილი იგავისა თუ თქმულების მიხედვით, მეფე ლუი მეთოთხმეტემ საფრანგეთში მარილის ფასი გაზარდა და ქვეშევრდომებს ჰკითხა — ხალხი რას ამბობსო? მოახსენეს — ხალხი უკმაყოფილოაო! მეფემ მარილი უფრო გააძვირა და დაინტერესდა — ახლა რაღას ამბობს ხალხიო? ამცნეს — ხალხი ღელავს და მძვინვარებსო! მეფემ ბრძანა, მარილის ფასი კიდევ გაეზარდათ და როცა ხალხის რეაქცია მოიკითხა, უთხრეს — მოწყალეო ხელმწიფევ, ხალხი იცინისო! აი, მაშინ კი შეშფოთდა ხელისუფალი — ეს უკვე საშიშიაო და მარილის გაიაფება ბრძანა.***






ამ იგავის სიბრძნე და მორალი ძალიან მარტივია და მკაფიო — **ნებისმიერი მმართველისა და მმართველობის კრახი მაშინ ახლოვდება, როცა იგი ხალხის თვალში სასაცილო ხდება!**

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი **ჯო ბაიდენი** და მთელი მისი ადმინისტრაცია დღეს სწორედ ამგვარ კონდიციაში არიან — **მსოფლიოს თვალში სასაცილოდ გამოიყურებიან!**

ბაიდენის ადმინისტრაციისა და, ზოგადად, **ამერიკული დემოკრატიის სასაცილო მდგომარეობა** ყველაზე კარგად პოლიტიკურ ოპონენტებთან დამოკიდებულებაში ჩანს. მაგალითად, გასულ წელს, ამერიკის ყოფილ პრეზიდენტსა და პრეზიდენტობის მოქმედ კანდიდატ **დონალდ ტრამპს** სისხლის სამართლის საქმე აღუძრეს — 27 წლის წინათ, 1996 წელს, მანჰეტენის ერთ-ერთი მაღაზიის გასახდელში, ქალს უკანალზე ხელი მოუთათუნაო, ახლა კი გამოძიება დაიწყეს პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატის **რობერტ კენედი უმცროსის** წინააღმდეგ, რომელსაც 30 წლის წინათ მკვდარი ვეშაპისათვის თავის მოჭრას ედავებიან.

**აშშ-ის 35-ე პრეზიდენტის ჯონ კენედის ძმისშვილი, დემოკრატიული პარტიის ყოფილი წევრი რობერტ კენედი ბაიდენის** ადმინისტრაციისათვის პოლიტიკურ საფრთხედ მას შემდეგ გადაიქცა, რაც საპრეზიდენტო არჩევნებში დამოუკიდებელ კანდიდატად კენჭისყრა გადაიფიქრა, **დონალდ ტრამპს** ღია მხარდაჭერა გამოუცხადა და დემოკრატებს ომის, კორუფციისა და ცენზურის პარტია უწოდა.

ჰოდა, **ბაიდენ-ჰარისის ადმინისტრაციის** დემოკრატიულმა რეაქციამაც არ დააყოვნა — **რობერტ კენედის** წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს იმის გამო, რომ მან სამი ათეული წლის წინათ ზღვის ნაპირზე გამორიყულ მკვდარ ვეშაპს თავი მოაჭრა და სახლში წაიღო!

თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია — **ერთ დროს თავისუფლებისა და დემოკრატიის მექად მიჩნეული ამერიკის შეერთებული შტატები დღეს ისეთ სასაცილო მდგომარეობაშია, რომ მისი ხელისუფლება პოლიტიკურ ოპონენტს 30 წლის წინათ მკვდარი ვეშაპისათვის თავის მოჭრის ბრალდებით დევნის!**

ამერიკული დემოკრატიის სასაცილო მდგომარეობაზე მეტყველებს ისიც, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე,** გაეროს გენერალური ასამბლეის 79-ე სესიის ფარგლებში, აშშ-ის პრეზიდენტ **ჯო ბაიდენის** სახელით მოწყობილ ვახშამზე ჯერ დაპატიჟეს და მერე შეუთვალეს — არ მოხვიდეო!

კიდევ უფრო სასაცილოა ის განცხადება, რომელიც საქართველოში აშშ-ის საელჩომ გაავრცელა — **ბაიდენთან ვახშამზე კობახიძის მიწვევა იმიტომ გაუქმდა, რომ საქართველოს ხელისუფლება ანტიდემოკრატიულ ნაბიჯებს დგამს და შეერთებული შტატების მიმართ ნეგატიური რიტორიკით გამოირჩევაო!**

კი მაგრამ, თუ **საქართველოს ხელისუფლება ანტიდემოკრატიულ ნაბიჯებს დგამს და ამის გამო ამერიკის პრეზიდენტთან ვახშამზე მიწვევას არ იმსახურებს, ვახშამამდე ორი დღით ადრე პრემიერ კობახიძეს მოსაწვევი რატომ გაუგზავნეს?**

და თუ გაუგზავნეს, მერე რატომღა გაუუქმეს?

განა საქართველოს ხელისუფლებამ ორ დღეში ისეთი რა დარღუბალა დაატრიალა და 48 საათში დემოკრატიას ძირი ისე როგორ გამოუთხარა, რომ კობახიძეს ბაიდენთან ვახშამზე მისასვლელი პირი აღარ შერჩა? ან

## ირანის ისლამურ რესპუბლიკასა და კატარის

## აბსოლუტურ მონარქიაში დემოკრატია ისე როგორ აყვავდა და გაიფურჩქნა, რომ მათმა ლიდერებმა, საქართველოს პრემიერ-მინისტრისაგან განსხვავებით, „მძინარე ჯოსთან“ ვახშმობის პატივი დაიმსახურეს?

**მოდი და ნუ გაგეცინება! მკვდარსაც კი გაეცინება!**

ამერიკული დემოკრატია იმდენად სასაცილო მდგომარეობაშია, რომ ამერიკის პრეზიდენტი გაეროს გენერალურ ასამბლეაზე ჩასულ საქართველოს პრემიერ-მინისტრს ვახშამზე არ პატიჟებს — **ანტიდემოკრატი ხარო,** ზუსტად იმავე დროს კი ამერიკის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები გაეროს შტაბბინაში ხვდებიან სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის გენერალურ პროკურორს, ქართული მართლმსაჯულების მიერ სისხლის სამართლის დამნაშავედ აღიარებულ და ძებნილ **ზურაბ ადეიშვილს,** რომელიც უკრაინის დელეგაციის წევრია.

## ესე იგი, კობახიძე ყოფილა ანტიდემოკრატი, რომელსაც ბაიდენის ვახშამზე არ უნდა უმასპინძლო, ხოლო ადეიშვილი ყოფილა დემოკრატი, რომელსაც

# ორუელის „1984“-დან ბაიდენის „2024“-მდე

## კვირგვინოსნები

**ეკა სეფაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**ამერიკის პრეზიდენტის ეს ბავშვური საქციელი,** არადემოკრატიული, არადიპლომატიური და შეურაცხმყოფელია ჩვენი ქვეყნისათვის — **ეს არის მათი უსუსური ნაბიჯი საქართველოს მოსახლეობის გასაბრაზებლად.**

„იმედინიუსი“

**ბაჩო ოდიშარია**
*ეროვნული კინოცენტრის ფილმწარმოების დეპარტამენტის უფროსი*



ამერიკის არსებული მმართველი ელიტა ვერ ეგუება იმ ფაქტს, რომ **დაჩმორებული საქართველოს ნაცვლად სუვერენული საქართველოს,** ურთიერთპატივისცემაზე და ორმხრივ თანამშრომლობაზე ორიენტირებული ხელისუფლება შერჩათ ხელთ.

„აიპრესი“

**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის“ აღმასრულებელი მდივანი*



ამერიკის დღევანდელმა ადმინისტრაციამ, **ჯერ რომ დანიშნა შეხვედრა და მერე თავად გააუქმა,** ამით შეურაცხყოფა არა **ირაკლი კობახიძეს,** არამედ ქართველ ხალხსა და საქართველოს მიაყენა.

„აიპრესი“

**ელიზბარ ჯაველიძე**
*ანალიტიკოსი*



ჯერ ერთი, თუ არ უნდოდა მიწვევა, რაღას პატიჟებდა, 1-2 დღეში რა შეიცვალა? უბრალოდ, **ეს არის იაფფასიანი ტრიუკი,** რომლის მეშვეობითაც უნდათ აქაური ოპოზიციის, სინამდვილეში, **მათივე „ძაღლიშვილების“ გასუქება.** ვწუხვარ, რომ **ბაიდენის** ადმინისტრაცია ამ დონეზეა დასული.

„რეზონანსი“

# ამერიკული დემოკრატია ბაიდენთის კასრზე უკვე აფეთქებულია!

## გაეროს შტაბბინაში უნდა უმასპინძლო!

ამას უნდა დავარქვათ **ჯო ბაიდენის „2024“,** ჯორჯ ორუელის „1984“-ის ალუზიით!

თუ **ჯორჯ ორუელის „1984“** ამბობს, რომ ომი მშვიდობაა და თავისუფლება — მონობა, ჯო ბაიდენის „2024“ გვეუბნება, რომ ირაკლი კობახიძე ანტიდემოკრატია, ხოლო ზურაბ ადეიშვილი დემოკრატი ბრძანდება!

**მოდი და ნუ გაგეცინება!**
**მკვდარსაც კი გაეცინება!**

არადა, საქართველოს ხელისუფლებას 2022 წლის მარტში **ბაიდენის ადმინისტრაციიდან** წამოსული და **ბიძინა ივანიშვილთან** კელი დეგნანის პირით მიტანილი დირექტივა რომ შეესრულებინა — **რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტი გაეხსნა და საქართველო მეორე უკრაინად გადაექცია,** დღეს პრემიერ კობახიძეს არათუ ბაიდენთან კოლექტიურ ვახშამზე დაპატიჟებდნენ, არამედ პერსონალურ საზეიმო ვახშამს გაუმართავდნენ და ზელენსკისთან ერთად ექსკურსიაზეც წაიყვანდნენ პენსილვანიის იარაღის ქარხანაში. კი,

**უმთავრესი მიზეზი, რის გამოც ბაიდენის ადმინისტრაცია ცდილობს, საქართველოს ხელისუფლება ასეთი სასაცილო და უბადრუკი მეთოდით – პრემიერ კობახიძის ვახშამზე არდაპატიჟებით – დასაჯოს და დაამციროს, სწორედ ის არის, რომ „ქართული ოცნება“ არ გამოზელენსკდა და საქართველო არ გააუკრაინა!**

ცხადია, აშშ-ის ადმინისტრაციის სასაცილო საქციელი — ბაიდენთან ვახშამზე კობახიძის ჯერ მიწვევა და მერე აღარ მიწვევა — იმასაც ემსახურება, რომ ოკეანის გაღმიდან მორიგი მაშველი რგოლი გადმოუგდონ კოლექტიურ ნაცმოძრაობას, რომელსაც პოლიტიკური პულსი, ფაქტობრივად, აღარ ესინჯება და 26 ოქტომბრის არჩევნებში სრული ფიასკო გარანტირებული აქვს.

ცალკე სასაცილო კიდევ ის არის, რომ ერთ დროს ძლევამოსილ იმპერიასა და მსოფლიოს ნამდვილ ჰეგემონს — ამერიკის შეერთებულ შტატებს — საქართველოში მთავარ და ერთადერთ დასაყრდენად **თინა ბოკუჩავები, გიორგი ვაშაძეები, ნიკა გვარამიები, მამუკა ხაზარაძეები** და მათნაირი პოლიტიკური გვამები ჰყავს.

**მძინარე ჯო** და მისი ადმინისტრაცია იმდენად სასაცილო მდგომარეობაში არიან, რომ სერიოზულად სჯერათ — თუ საქართველოს პრემიერ-მინისტრს ვახშამზე არ დაპატიჟებენ და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს სანქციებს დაუწესებენ, ქართველი ხალხი, იმის შიშით, ამერიკამ ზურგი არ გვაქციოსო, ხელისუფლებაში მკვლელების, მწამებლებისა და გამაუპატიურებლების ნაცბანდას დააბრუნებს!

**მოდი და ნუ გაგეცინება!**
**მკვდარსაც კი გაეცინება!**

ბაიდენის ადმინისტრაციის ასეთი სასაცილო მდგომარეობა ცხადყოფს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დღეს დენთის კასრზე, სხვანაირად თუ ვიტყვით, **ბაიდენთის კასრზე** ზის და, როგორც ავტორიტეტიანი ამერიკელი და ევროპელი ექსპერტები აცხადებენ, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შესაძლოა, სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გაეხვიოს!

სრულიად აშკარაა, რომ ამერიკული დემოკრატია **ბაიდენთის კასრზე** უკვე აფეთქდა, მაგრამ რეალური საფრთხე არსებობს, რომ **ბაიდენთის კასრზე** მთლიანად ამერიკული სახელმწიფო აფეთქდეს!






**თუ ჯორჯ ორუელის „1984“ ამბობს, რომ ომი მშვიდობაა და თავისუფლება – მონობა, ჯო ბაიდენის „2024“ გვეუბნება, რომ ირაკლი კობახიძე ანტიდემოკრატია, ხოლო ზურაბ ადეიშვილი დემოკრატი ბრძანდება!**

ამერიკელებს **2024 წლის 5 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებში** ექნებათ შესაძლებლობა, თავიანთი ქვეყანა **ბაიდენთის კასრიდან** გადმოსვან და გადაარჩინონ, ქართველები კი ამას რამდენიმე დღით ადრე — **2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში** გააკეთებენ, როცა **ბაიდენის სასაცილო ადმინისტრაციის** ფავორიტ ნაცბანდას პოლიტიკურ მოუსავლეთში გაუშვებენ!

**ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები

**პეტრე მამრაძე**
*„მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი*



**„იდიოტები თეთრ სახლში“,** — სწორედ ასე აფასებდა **ერნესტ ჰემინგუეი** შეერთებული შტატების ადმინისტრაციას.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**მამუკა არეშიძე**
*ექსპერტი*



საქართველო **დამჯერი ბავშვის როლიდან გამოვიდა** და თამაშის წესების შემოღებაც კი მოინდომა. **სწორედ ამ გარემოების გამო ისჯება საქართველოს ხელისუფლება.**

„რეზონანსი“

**გიორგი ვაშაძე**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი*



**ირაკლი კობახიძე,** ფაქტობრივად, არის **„პერსონა ნონ გრატად“** გამოცხადებული, რადგან მან თვითონ გაიფუჭა და **გააფუჭა საქართველოს ურთიერთობები დასავლეთთან.** დავინახავ, **პარლამენტში უმცირესობაში რომ დაჯდება ბიძინა ივანიშვილთან ერთად,** როგორ იჭიკჭიკებს მერე ეს არაფრის მაქნისი ადამიანი.

„ინტერპრესნიუსი“

**ნანა კაკაბაძე**
*„ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ წევრი*



დასავლეთის ფსევდოდემოკრატიიდან **დაქროლა 30-იანი წლების ბოლშევიკურმა სიომ.** დღევანდელი სტანდარტით, მათთვის „მიუღებელი“ პირების მიმართ **დახვრეტა ჯერ არ მოუთხოვიათ,** მაგრამ **სანქციით უსასტიკესად სჯიან.**

„იმედინიუსი“

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ანალიტიკოსი*



ჩვენი ქვეყნის მიმართ **ევროპისა და აშშ-ის ბოლო დემარშების ფონზე,** მიხვდით ბოლოს და ბოლოს მიუხვედრელნო, რომ **საქართველოს არ შეიძლება ჰყავდეს მუდმივი მეგობრები და მტრები!**

„იმედინიუსი“

# საარჩევნო სიებ-ცხელება

***2024 წლის 26 სექტემბერს ამოიწურა კანონმდებლობით განსაზღვრული ვადა, როცა 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ სუბიექტებს თავიანთი პარტიული საარჩევნო სიები ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციისათვის უნდა წარედგინათ.***

პოლიტიკურმა პარტიებმა საარჩევნო სიები ცესკო-ში წარდგენის პარალელურად, საზოგადოების სამსჯავროზეც გამოიტანეს და, შესაბამისად, ამომრჩევლისათვის უკვე ცნობილია, **ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც საქართველოს ახალ, მე-11 მოწვევის პარლამენტში მოხვედრაზე აცხადებენ პრეტენზიას.**

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტი **150 წევრისაგან** შედგება, ,,ქართულმა ოცნებამ“ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში **170-კაციანი სია** წარადგინა. შესაძლოა, ეს ერთგვარი პიარ-სვლაც იყოს, რომლითაც მმართველი პარტია საზოგადოებას ეუბნება — **ოპოზიციური პარტიებისაგან განსხვავებით, არათუ საარჩევნო სიის შევსების პრობლემა არ მიდგას, არამედ დეპუტატობის იმდენი ღირსეული კანდიდატი მყავს, შემიძლია, ერთის მაგივრად სამი საპარლამენტო სია დავაკომპლექტოო!**

რამდენად ღირსეული, პროფესიონალი, პატრიოტი და პატიოსანია „ქართული ოცნების“ ვრცელი საარჩევნო სიის თითოეული წევრი, ეს ამომრჩეველმა განსაჯოს, თუმცა, **170-კაციან სიაში** ყველა „დიმიტრი გელოვანი“ რომ ვერ იქნება, ისედაც ცხადია.

სხვათაშორის, „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში ვერ მოხვდა რამდენიმე მართლაც ღირსეული, პროფესიონალი, პატრიოტი და პატიოსანი პოლიტიკოსი, რომელთა ხილვასაც საზოგადოების დიდი ნაწილი ახალი მოწვევის პარლამენტშიც ისურვებდა. მაგალითად, საქართველოს სასჯელაღსრულების ყოფილი მინისტრი **ქახა ქახიშვილი,** რომელიც მე-10 მოწვევის პარლამენტში „ქართული ოცნების“ დეპუტატი და რეგიონული პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე იყო, მმართველი პარტიის საარჩევნო სიაში აღარ წერია, რაც, ცოტა არ იყოს, გასაკვირია.

რაც შეეხებათ ოპოზიციურ პარტიებს, არცერთ მათგანს საკუთარი საარჩევნო სია სრული სახით არ გაუსაჯაროებია. ზოგმა სიის პირველი ორმოცდაათეული გამოაქვეყნა, ზოგმა — პირველი ოცეული და ზოგმაც — მხოლოდ პირველი ათეული... თუმცა, საერთო სურათი, რაც საარჩევნო სიების მიხედვით ოპოზიციის, კონკრეტულად კი, კოლექტიური ნაცმოძრაობის ფლანგზე იკვეთება, ასეთია — **ისევ ძველი, გაცვეთილი, პოლიტიკურად და მორალურად გაკოტრებული, ქართველი საზოგადოების უდიდესი ნაწილისათვის მიუღებელი და, ზოგ შემთხვევაში, საძულველი პოლიტიკური სახეები, რომლებსაც სამართავად ქვეყანას კი არა, ქათმების ფერმას ვერ მიანდობ.**

რადგან ქათმები ვახსენეთ, ბარემ, ისიც ვთქვათ, რომ პარტია **„ახალის“** თავმჯდომარემ და **„კოალიცია ცვლილებებისთვის“** ლიდერმა **ნიკა გვარამიამ** საარჩევნო სიაში ყოფნაზე უარი თქვა, აქაოდა — მირჩევნია, გზა ახალ ადამიანებს დავუთმოო! როცა ჰკითხეს — კი მაგრამ, ვინ არიან ეს ახალი ადამიანებიო, **ნიკა მელია, ელენე ხოშტარია** და **ზურაბ-გირჩი ჯაფარიძე** დაასახელა.

აბა რა, შარვალჩახდილი და ოკუპანტების უკანალით მომგერიებელი **ჯაფარიძე,** რუსული სპეცსამსახურების კადრების სამჭედლოში — მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტში გამოზრდილი, რუსეთის ფედერალური ბიუჯეტიდან რუბლებით დაფინანსებული **ლიაკა ხოშტარია** და ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეობიდან **ლევან ხაბეიშვილის** მიერ დაცურებული **ნიკა მელია** ისეთი ახალი სახეები და ცინცხალი პოლიტიკოსები არიან, რომ ჯერ პირზე სააკაშვილის რძეც არ შეშრობიათ.

ისე, რაკიღა **ნიკა ანზორის ძე გვარამიასა** და **ნიკა ანზორის ძე მელიას** პოლიტიკური დაჯგუფება სააკაშვილის პარტიის — ნაციონალური მოძრაობის ერთი რიგითი გამონაყოფია, უპრიანი იქნება, მათ საარჩევნო ბლოკს **„კოალიცია ცვლილებებისთვის“** კი არა, **„კოალიცია სააკაშვილი და ანზოროვიჩები“** ერქვას. ვინძლო, ასე უფრო მეტი საარჩევნო ხმების შეკოწიწება გაახერხონ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ **მამუკა ხაზარაძის კოალიციამ „ძლიერი საქართველო“,** რომელსაც, როგორც „ასავალ-დასავალის“ წინა ნომერში ვწერდით, **„ძლიე საქართველოს — გადაუფორმე ქონება ხაზარაძეს“** უნდა ერქვას, **ალეკო ელისაშვილი** საარჩევნო სიის შორეთში გადაისროლა და მე-20 ნომრად ჩაწერა. მართალია, **ხაზარაძემ** და **ელისაშვილმა** სულ ცოტა ხნის წინათ ურთიერთშერიგების დროშაააფრიალეს და ერთ კოალიციაში გაერთიანდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, **ყაჩაღბანკირმა პოლიტიკურ კინტოს ძველი წყენა მაინც ვერ დაუვიწყა და ბოლომდე ვერ აპატია, რომ პირდაპირ ეთერში მევახშეს, ოჯახების ღია ცის ქვეშ დამტოვებელსა და სააკაშვილის რეჟიმის მიერ დატუსაღებული ბიზნესმენების გამტყავებელს ეძახდა.**

ყურადღებას იმსახურებს ის ამბავიც, რომ არც ძირითადი ნაცმოძრაობისა და არც სხვა მინი ნაცმოძრაობების საარჩევნო სიაში ერთი ადგილი არ გამოინახა **ალ-კუპონედ ხმობილი რომან გოცირიძისათვის,** რომელიც კოლექტიურმა ნაცებმაც კი ისე მოისროლეს, როგორც გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს მოსახლეობა ისროდა ნაგავში კუპონის მილიონიან კუპიურებს.

რაც შეეხება მთავარ და პირველად ნაციონალურ მოძრაობას, რომელიც ამ არჩევნებში **„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“** სახელწოდებით მონაწილეობს, რაიმე ახალი და განსაკუთრებული არც მის საარჩევნო სიაში ხდება. სიის პირველი ნომერია **თინა ბოკუჩავა,** რომელსაც სააკაშვილი სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე შეძენილ სამკაულებსა და სხვადასხვა ძვირფას აქსესუარს ჯერ კიდევ მანამდე ჩუქნიდა, სანამ იგი პოლიტიკაში გამოჩნდებოდა. იმავე სიაში მე-3 ნომრად წერია **სოფო ჯაფარიძე,** რომელიც „ვივამედის“ სამოთახიან ლუქს-პალატაში მონებივრე სააკაშვილმა ცოტა ხნის წინათ თავის „პირად წარმომადგენლად“ დანიშნა.

შესაბამისად, სააკაშვილის პარტიის ბაზაზე შექმნილ საარჩევნო კოალიციას **„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობა“** კი არა, **„სააკაშვილი — ერთობა თინასთან და სოფოსთან“** უნდა ეწოდებოდეს!

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი თვეც აღარ რჩება და არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტების სიებიც უკვე ცნობილია, რაც იმას ნიშნავს, რომ საარჩევნო სიებ-ცხელება გადამწყვეტ ფაზაში შევიდა!

***ჯაბა ხუბუა***

## სააკაშვილი – ერთობა თინასთან და სოფოსთან

საარჩევნო ხუთეული




## პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ სრული საარჩევნო სია

41

**1.** ბიძინა ივანიშვილი; **2.** ირაკლი კობახიძე; **3.** ირაკლი ღარიბაშვილი; **4.** შალვა პაპუაშვილი; **5.** მამუკა მდინარაძე; **6.** თეა წულუკიანი; **7.** ლაშა ტალახაძე; **8.** ვახტანგი თურნავა; **9.** მაკა ბოჭორიშვილი; **10.** გენო პეტრიაშვილი; **11.** სოზარ სუბარი; **12.** მარიამ ქვრივიშვილი; **13.** ანრი ოხანაშვილი; **14.** ნიკოლოზ სამხარაძე; **15.** ეკა ჭიჭინაძე; **16.** შოთა ბერეკაშვილი; **17.** ლევან მახაშვილი; **18.** მიხეილ ყაველაშვილი; **19.** გიორგი გაბუნია; **20.** ლიკა შარტავა; **21.** აკაკი ალადაშვილი; **22.** არჩილ ბერიძე; **23.** ანზორ ბოლქვაძე; **24.** ვლადიმერ ბოჟაძე; **25.** ზაურ დარგალი; **26.** ზაალ დუგლაძე; **27.** ნიკა ელისაშვილი; **28.** გოჩა ენუქიძე; **29.** გიორგი ვოლსკი; **30.** ილია ინჯია; **31.** დავით კაჭარავა; **32.** პაატა კვიჟინაძე; **33.** დათო კოდუა; **34.** ვარლამ ლიპარტელიანი; **35.** ზაზა ლომინაძე; **36.** სამველ მანუკიან; **37.** ანტონ ობოლაშვილი; **38.** ზურაბ რურუა; **39.** დავით სონღულაშვილი; **40.** ირაკლი ქადაგიშვილი; **41.** ზვიადი შალამბერიძე; **42.** ირაკლი შატაკიშვილი; **43.** დავითი შერაზადიშვილი; **44.** ვასილ ჩიგოგიძე; **45.** გივი ჭიჭინაძე; **46.** გიორგი ჭყონია; **47.** გიორგი ხახუბია; **48.** ირაკლი ხელაძე; **49.** ვლადიმერ ხინჩეგაშვილი; **50.** დიმიტრი ხუნდაძე; **51.** გურამ მაჭარაშვილი; **52.** ირაკლი ბერაია; **53.** ეკა სეფაშვილი; **54.** ზაალ მიქელაძე; **55.** ვიქტორ ჯაფარიძე; **56.** გიორგი კახიანი; **57.** მაია ბითაძე; **58.** ვიქტორ სანიკიძე; **59.** მარიამ ლაშხი; **60.** დიმიტრი სამხარაძე; **61.** ნინო წილოსანი; **62.** რატი იონათამიშვილი; **63.** დავითი მათიკაშვილი; **64.** ვლადიმერ კახაძე; **65.** ირაკლი მეზურნიშვილი; **66.** სავალან მირზოევი; **67.** რამინა ბერაძე; **68.** სუმბატ კიურეღიან; **69.** ალექსანდრე ტაბატაძე; **70.** ალუდა ღუდუშაური; **71.** ირმა ზავრადაშვილი; **72.** ირაკლი ზარქუა; **73.** გივი მიქანაძე; **74.** გიორგი სოსიაშვილი; **75.** ნოდარ ტურძელაძე; **76.** ბეჟან წაქაძე; **77.** ალექსანდრე დალაქიშვილი; **78.** ისკო დასენი; **79.** ედიშერ თოლორაია; **80.** გოდერძი ჩანქსელიანი; **81.** გია ბენაშვილი; **82.** შოთა ხაბარელი; **83.** გელა სამხარაული; **84.** გიორგი ჩაკვეტაძე; **85.** თენგიზ შარმანაშვილი; **86.** ირაკლი კირცხალია; **87.** გიორგი ბარვენაშვილი; **88.** გენრიეტა წიწავა; **89.** იმედა ნიკურაძე; **90.** ლევან მაჭავარიანი; **91.** არჩილ გორდულაძე; **92.** სალომე ქურასბედიანი; **93.** სალომე ჯინჯოლავა; **94.** თორნიკე ბერეკაშვილი; **95.** თორნიკე ჭეიშვილი; **96.** პაატა სალია; **97.** გიორგი გუგუჩია; **98.** ირაკლი ჭეიშვილი; **99.** შალვა გოგოლაძე; **100.** გრიგოლ აბესაძე; **101.** იოსებ ჯორბენაძე; **102.** დავით დოლიძე; **103.** თორნიკე ფაღავა; **104.** ზურაბი ქადაგიძე; **105.** ქეთევან ხუროძე; **106.** ქრისტინე კობახიძე; **107.** ჯუმბერი იზორია; **108.** ლევან არველაძე; **109.** ნიკოლოზ კახეთელიძე; **110.** ზურაბ იაშვილი; **111.** ომარი ჯიხვაშვილი; **112.** ნიკა სამხარაძე; **113.** საბა კბილაშვილი; **114.** გიორგი ღამბაშიძე; **115.** გურამ ნიკოლაშვილი; **116.** ნინო ვარდოსანიძე; **117.** ალექსანდრე ზაგაშვილი; **118.** ბენედიქტე გეგეჭკორი; **119.** გურამი ოქროპირიძე; **120.** ირაკლი გელაშვილი; **121.** ზაქარია წიკლაური; **122.** ალექსანდრე მუკათარიძე; **123.** ანა კაკაბაძე; **124.** მარიამ ზაქარიაშვილი; **125.** ანა კილაძე; **126.** ბექა მენთეშაშვილი; **127.** მარიამ კოკაია; **128.** გიორგი პაპიძე; **129.** ნინო უსენაშვილი; **130.** ოთარი ქადარია; **131.** ვაჟა კოკაია; **132.** თამარ გაბაიძე; **133.** ნიკა კვერნაძე; **134.** ირაკლი კალანდარიშვილი; **135.** გიორგი დემეტრაშვილი; **136.** ელიზბარ კობახიძე; **137.** გურამი კიკნაველიძე; **138.** გიგა გელაშვილი; **139.** იაკობ გაზდელიანი; **140.** გიორგი კოკაია; **141.** გვანცა ნარიმანიშვილი; **142.** გოგა თოლორდავა; **143.** გიორგი შუბითიძე; **144.** ზაალი კვინჩია; **145.** ანი გვაზავა; **146.** სერგი პეტრიაშვილი; **147.** ანა ჩხარტიშვილი; **148.** კარლო წილოსანი; **149.** ლაშა გურგენიძე; **150.** ვლადიმერი ხურცია; **151.** თამაზი ფართლაძე; **152.** დავით მიქაბერიძე; **153.** როინი კაჭარავა; **154.** ზურაბი ქავთარია; **155.** გიორგი მჭედლიძე; **156.** სოსო ინაძე; **157.** თამაზ დანელია; **158.** ტარიელ მამისაშვილი; **159.** შოთა ბერუაშვილი; **160.** დავით მუშკუდიანი; **161.** თეიმურაზ თევდორაძე; **162.** ალექსანდრე მეტრეველი; **163.** ვალერიან პაპუაშვილი; **164.** ალექსანდრე ბაბუნაშვილი; **165.** ჯაბა აბულაძე; **166.** ლაშა გაზდელიანი; **167.** მარიამი ლუკავა; **168.** გიორგი მაჭარაშვილი; **169.** კობა კვირიკაშვილი; **170.** დავითი ლეშკაშელი.

# გადამწყვეტ ფაზაში შევიდა!

## კოალიცია „ერთიანობა – ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო სიის პირველი 50-ეული

5

**1.** თინა ბოკუჩავა; **2.** გიორგი ვაშაძე; **3.** სოფო ჯაფარიძე; **4.** კობა ნაყოფია; **5.** გია ჯაფარიძე; **6.** პეტრე ცისკარიშვილი; **7.** გიგი წერეთელი; **8.** ირაკლი ხვადაგიანი; **9.** თამარ კორძაია; **10.** ირაკლი ფავლენიშვილი; **11.** კახაბერ ოქრიაშვილი; **12.** რამაზ ნიკოლეიშვილი; **13.** ეკა ხერხეულიძე; **14.** ლევან ხაბეიშვილი; **15.** ლაშა ბაქრაძე; **16.** ანა წითლიძე; **17.** ლევან ანთაძე; **18.** პაატა მანჯგალაძე; **19.** ლელა ჯეჯელავა; **20.** გუბაზ სანიკიძე; **21.** დიმიტრი ჩიქოვანი; **22.** გიორგი ჩალაძე; **23.** გიორგი ბოტკოველი; **24.** პაატა ლეჟავა; **25.** მანუჩარ ახალაია; **26.** დავით კირკიტაძე; **27.** ზაზა გოგავა; **28.** ირაკლი ნადირაძე; **29.** ხატია დეკანოიძე; **30.** ლევან ბეჟაშვილი; **31.** გიორგი ბარამიძე; **32.** სერგო ჩიხლაძე; **33.** თეიმურაზ ჯანაშია; **34.** ჯეიხუნ ნარზალოვი; **35.** ბადრი ბასიშვილი; **36.** სულხან სიბაშვილი; **37.** ზაზა გოროზია; **38.** ირაკლი ეძგვერაძე; **39.** ლევან მეტრეველი; **40.** ბონდო თედორაძე; **41.** არმაზ ახვლედიანი; **42.** გიორგი თევდორაძე; **43.** ნატალია მჭედლიშვილი; **44.** ნიკა ობოლაძე; **45.** ცოტნე აბესაძე; **46.** ივერი ბალახაშვილი; **47.** თეონა ჭალიძე; **48.** დავით ჯუღელი; **49.** თათია ნიკოლაშვილი; **50.** ვასო ურუშაძე.

ხათუნა სამნიძე; **10.** ოქტაი ქაზუმოვი; **11.** მაია კოპალეიშვილი; **12.** ბორისი ყურუა; **13.** ანა გოგოლაძე; **14.** გიორგი ბუტიკაშვილი; **15.** გიორგი იმედაშვილი; **16.** ელენე ხოშტარია; **17.** სოფია გოლეთიანი; **18.** მარიკა არევაძე; **19.** ანი ქავთარაძე; **20.** თორნიკე ბიკაშვილი.

სელიძე; **16.** თამარ ხვედელიანი; **17.** ელგუჯა ხოკრიშვილი; **18.** ვიკა ფილფანი; **19.** კახა ნურალიძე; **20.** სოფო ხორგუანი; **21.** ჯემალ ანანიძე; **22.** რუსუდან თევზაძე; **23.** ქეთევან ბაკარაძე; **24.** მალხაზ თორია; **25.** ვატო ფაჩულია; **26.** ერეკლე დუმბაძე; **27.** სალომე კობალაძე; **28.** გოჩა ტყეშელაშვილი; **29.** აკაკი გვიანიძე.

ლი მარტინენკო; **9.** ლევან ჩაჩუა; **10.** გიორგი კორკოტაშვილი; **11.** გრიგოლ ჯოჯუა; **12.** შოთა მარტინენკო; **13.** მალხაზ თოფურია; **14.** ჯაბა კუტალია; **15.** ოთარ ჭითანავა; **16.** ირაკლი ბერძენიშვილი; **17.** თორნიკე არევაძე; **18.** ზურაბ კობახიძე; **19.** გიორგი გაბათაშვილი; **20.** მერაბ გიგანი.

საარჩევნო ბლოკი

## სააკაშვილი და ანზოროვიჩები




## კოალიცია „ძლიერი საქართველოს“ არასრული საარჩევნო სია

9

**1.** მამუკა ხაზარაძე; **2.** ანა დოლიძე; **3.** ბადრი ჯაფარიძე; **4.** ანა ნაცვლიშვილი; **5.** ლევან ცუცქირიძე; **6.** ირაკლი კუპრაძე; **7.** ქეთევან თურაზაშვილი; **8.** საბა ბუაძე; **9.** სალომე სამადაშვილი; **10.** დავით რაქვიაშვილი; **11.** თამარ ლალიაშვილი; **12.** გრიგოლ გეგელია; **13.** ლევან სამუშია; **14.** ფიქრია ჩიხრაძე; **15.** გიორგი უშიკიშვილი; **16.** ვატო სურგულაძე; **17.** ლანა გალდავა; **18.** მაკა ნუცუბიძე; **19.** მედეა მეტრეველი; **20.** ალეკო ელისაშვილი; **21.** ბაკურ კვაშილავა; **22.** აგილ მუსტაფაევი; **23.** ირაკლი ქობალია; **24.** ირაკლი ბუცინაშვილი; **25.** გიორგი რეხვიაშვილი; **26.** ოთო ფარულავა.

## პარტია „გახარია საქართველოსთვის“ არასრული საარჩევნო სია

25

**1.** გიორგი გახარია; **2.** ნათია მეზვრიშვილი; **3.** დიმიტრი ცქიტიშვილი; **4.** კახაბერ ქემოკლიძე; **5.** ზვიად ძიძიგური; **6.** ზაზა თავაძე; **7.** ანა ბუჩუკური; **8.** ბერდია სიჭინავა; **9.** როინ ქოჩორაშვილი; **10.** ბექა ლილუაშვილი; **11.** თეონა აქუბარდია; **12.** ლევან გოგიჩაიშვილი; **13.** გიგა ფარულავა; **14.** გელა აბულაძე; **15.** შალვა კერე-

## პარტია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ საარჩევნო სიის პირველი 20-ეული

8

**1.** ირმა ინაშვილი; **2.** გიორგი ლომია; **3.** გოჩა თევდორაძე; **4.** გრიგოლ ხურციძე; **5.** გიორგი ქარდავა; **6.** ზურაბ მახარაძე; **7.** ირაკლი მორგოშია; **8.** ირაკ-

## ლეიბორისტული პარტიის საარჩევნო სიის პირველი 10-ეული

10

**1.** შალვა ნათელაშვილი; **2.** გიორგი გუგავა; **3.** ლაშა ჩხარტიშვილი; **4.** მიხეილ ქუმსიშვილი; **5.** ტარიელ კალანდარიშვილი; **6.** ნიკოლოზ ვარდოშვილი; **7.** ბექა ნათელაშვილი; **8.** თემურ წიკლაური; **9.** ირაკლი კიკვაძე; **10.** დავით მამალაძე.

## პარტია „გირჩის“ სრული საარჩევნო სია

36

**1.** იაგო ხვიჩია; **2.** ალექსანდრე რაქვიაშვილი; **3.** ვახტანგ მეგრელიშვილი; **4.** ჰერმან საბო; **5.** გიორგი ჭაუჭიძე; **6.** ლევან ჯგერენაია; **7.** მალხაზ ჭანია; **8.** ეკა ონიანი; **9.** უჩა ბარბაქაძე; **10.** რუსკა აბუაშვილი; **11.** ნიკა ნადირაძე; **12.** ზურა ბუხნიკაშვილი; **13.** ოთარ ზაკალაშვილი; **14.** ლუკა ცისკარიშვილი; **15.** ნოდარ სირბილაძე; **16.** ავთო ლაბაძე; **17.** აბესალომ დაბახიშვილი; **18.** ბექა მუზაშვილი; **19.** ბექა ზანდუკელი; **20.** თორნიკე მითაიშვილი; **21.** დავით წურწუმია; **22.** ნიკა ციცქიშვილი; **23.** ნინო ჯალმაიძე; **24.** ავთანდილ ჩხეტია; **25.** ვლადიმერ გიგოლაშვილი.

## ძლიე საქართველოს - 

საარჩევნო ბლოკი



## გადაუფორმე ქონება ხაზარაძეს!




## „კოალიცია ცვლილებებისთვის“ საარჩევნო სიის პირველი 20-ეული

4

**1.** ნანა მალაშხია; **2.** ნიკანორ მელია; **3.** ზურაბ გირჩი ჯაფარიძე; **4.** გიგა ლემონჯავა; **5.** თენგიზ თევზაძე; **6.** ცოტნე კობერიძე; **7.** გიორგი კირთაძე; **8.** ივანე ჭყონია; **9.**

**26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე დარჩენილია ზუსტად 26 დღე!**

ამხილეს!

# რაჟდენის

*2024 წლის 24 სექტემბერს საქართველოს ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელმა რაჟდენ კუპრაშვილმა* ***გამოსცა განკარგულება, რომლის თანახმადაც ეკა გიგაურის არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ და ხათუნა ლაგაზიძის არასამთავრობო ორგანიზაცია „აირჩიე ევროპა“, როგორც საარჩევნო მიზნების მქონე სუბიექტები, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონს უნდა დაექვემდებარონ.***

## რაჟდენ კუპრაშვილისა და ანტიკორუფციული ბიუროს სამართლიანმა გადაწყვეტილებამ კოლექტიურ სანაცეთზე დენის დარტყმის ეფექტი იქონია!



საქართველოს ანტიკორუფციული ბიუროს უფროსი რაჟდენ კუპრაშვილი

კერძოდ, **გიგაურისა და ლაგაზიძის ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებს,** რომლებიც, სინამდვილეში პოლიტიკური საქმიანობით არიან დაკავებული და ოპოზიციის მხარდამჭერ საარჩევნო კამპანიას აწარმოებენ, ანტიკორუფციული ბიურო ავალდებულებს, წარადგინონ თავიანთი ფინანსური ანგარიშები და ინფორმაცია იმ საბანკო რეკვიზიტების შესახებ, რომლებსაც საარჩევნო მიზნებთან დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯებისათვის იყენებენ.

24 სექტემბერს გამართულ ბრიფინგზე ანტიკორუფციული ბიუროს უფროსმა **რაჟდენ კუპრაშვილმა** განაცხადა:

*„მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ* ***„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“*** *და მისი აღმასრულებელი დირექტორი* ***ეკა გიგაური,*** *როგორც უშუალოდ, ასევე კამპანიის —* ***„ჩემი ხმა ევროკავშირს“*** *— ფარგლებში, აქტიურად არიან ჩართული წინასაარჩევნო კამპანიაში, რომელიც მიზნად ისახავს როგორც კონკრეტული პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერას, ასევე კონკრეტული პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერისაგან თავის შეკავების მოწოდებებს. მონიტორინგის შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ* ***„აირჩიე ევროპა“,*** *მისი დირექტორი* ***ხათუნა ლაგაზიძე*** *და გუნდის წევრები აქტიურად არიან ჩართული წინასაარჩევნო პოლიტიკურ პროცესებში, რომლებიც ემსახურება კონკრეტული პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერას ან მხარდაჭერისაგან თავის შეკავების მიზანს“.*



კაპიტანი გიგაური პარლამენტის შენობის წინ ანტისახელისუფლო მიტინგზე გამოსვლისას

**ვანო მერაბიშვილის მიერ კაპიტნის რიგგარეშე წოდებით დაჯილდოებული ეკა გიგაური და მისი ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაცია, რეალურად, პოლიტიკურ საქმიანობას რომ ეწევიან, ეს არახალი ამბავია, რადგან კაპიტანი გიგაური ნაცოპოზიციის მიტინგებზე ჯერ კიდევ 2020 წელს გამოდიოდა ხელისუფლების გადადგომისა და ტექნიკური მთავრობის ფორმირების მოთხოვნით!**

**რაჟდენ კუპრაშვილის ამ განცხადებამ და გადაწყვეტილებამ, რომელიც გიგაურისა და ლაგაზიძის ორგანიზაციებს საარჩევნო კამპანიაში დახარჯული ფინანსების გამჭვირვალობას ავალდებულებს, კოლექტიურ სანაცეთზე დენის დარტყმის ეფექტი იქონია.**

დენის დარტყმის და რაჟ**დენის** დარტყმის ეფექტი!

კი, სწორედ რაჟდენის დარტყმის ეფექტი შეიძლება, ვუწოდოთ იმ კონვულსიურ რეაქციას, რომელიც ნაცოპოზიციისა და ნაცენჯეოების წარმომადგენლებს ანტიკორუფციული ბიუროს გადაწყვეტილებაზე ჰქონდათ — რაჟ**დენ კუპრაშვილის** უწყება „ქართული ოცნების“ დაკვეთას ასრულებსო; რაჟ**დენ კუპრაშვილის** უწყება სიტყვის თავისუფლებას ახშობსო; ხელისუფლება რაჟ**დენ კუპრაშვილის** უწყებას პოლიტიკური რეპრესიებისათვის იყენებსო; რაჟ**დენი,** რაჟ**დენმა,** რაჟ**დენს,** რაჟ**დენის,** რაჟ**დენით,** რაჟ**დენად,** რაჟ**დენოო...**

მოკლედ, სულ რაჟ**დენი** და რაჟ**დენის** უწყება აკერიათ პირზე კოლექტიურ ნაცებს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ისინი რაჟ**დენის დარტყმამ** გვარიანად შეაქანა და შეაძაგძაგა!

არადა, რაჟ**დენ კუპრაშვილი** და ანტიკორუფციული ბიურო ელემენტარულ რამეს ითხოვენ — **გიგაურისა და ლაგაზიძის ორგანიზაციებმა** გაასაჯაროონ იმ ფულის წარმომავლობა და ოდენობა, რომელსაც წინასაარჩევნო კამპანიაში ხარჯავენ!

რატომ არ უნდა გაასაჯაროონ?

რატომ არის პრობლემა გამჭვირვალობა?

რატომ არ უნდა იცოდეს საზოგადოებამ, ვისგან და რამდე-

## კვირგვინოსნები

**გიორგი კახიანი**
*პარლამენტარი*



სამწუხაროა, რომ ჩვენ გვყავს არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც შეიძლება, **თავში გაუჩნდეთ აზრი, რომ ევროკავშირს მოსთხოვონ ვიზალიბერალიზაციის შეჩერება და გაუქმება.**

„პირველი არხი“

**მაია ბითაძე**
*პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე*



ვხედავთ არასამთავრობო სექტორისა და ჩვენი რადიკალების მოუთმენელ სურვილს, რომ **საქართველოს მოსახლეობას ჩამოერთვას ის, რაც მოიპოვა „ქართულმა ოცნებამ“. ვიზალიბერალიზაციის** ჩამორთმევის მოთხოვნა არის პირდაპირი ღალატი საქართველოს მოსახლეობის, რადგან **ვიზალიბერალიზაცია მათ არ მოუპოვებიათ.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**დავით ჩიხელიძე**
*ექსპერტი*



ჩვენმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ნამდვილად იციან, **როგორ უნდა უღალატონ** საკუთარ ქვეყანას და ხალხს.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ალექსანდრე რაქვიაშვილი**
*„გირჩის“ წევრი*



არ გამიგია, საჯარო სივრცეში ევროპას ვიღაც სთხოვდეს **ვიზალიბერალიზაციის შეჩერებას,** „მაკკეინის ინსტიტუტმა“ უნდა მიუთითოს, ვისზეა საუბარი, უნდა ვიცოდეთ, **ვის არ სურს უვიზო მიმოსვლა.**

„პირველი არხი“

**ხათუნა ხოფერია**
*ყოფილი პარლამენტარი*



**ვიზალიბერალიზაციის შეჩერებაზე** არასამთავრობო ორგანიზაციების მოთხოვნას ვაფასებ ისე, როგორც ვაფასებთ **სერგო ორჯონიკიძის** მოღვაწეობას.

„TV იმედი“

# დარტყმა



გვარამიას პარტიის საარჩევნო სიის მე-8 ნომერი ივანე (ივა) ჭყონია და ხათუნა ლაგაზიძე

**ლაგაზიძის ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციის ერთი თანადამფუძნებელი — ლელა ჯეჯელავა ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო სიაში მე-19 ნომრად წერია, ხოლო მეორე თანადამფუძნებელი — ივა ჭყონია გვარამიას პარტიის, ანუ მინი-ნაცმოძრაობის საარჩევნო სიაში მე-8 ნომერია!**

ნით ფინანსდებიან ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ამომრჩეველს აგიტაციას უტარებენ — **„ქართულ ოცნებას“ ხმა არ მისცეთ და ხელისუფლებაში ნაცმოძრაობა მოიყვანეთო?**

საქმე ის არის, რომ **ეკა გიგაურისა** და **ხათუნა ლაგაზიძის** ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ხელისუფლების საწინააღმდეგო და ნაცოპოზიციის სასარგებლო საარჩევნო კამპანიას აწარმოებენ, ამერიკული და ევროპული ფონდებიდან ფინანსდებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს საპარლამენტო არჩევნების შედეგზე გავლენის მოსახდენად უცხო ქვეყნების ფული იხარჯება. შესაბამისად,

**თუ გიგაურისა და ლაგაზიძის ორგანიზაციები რაჟდენ კუპრაშვილის გადაწყვეტილებას დაემორჩილებიან და ანტიკორუფციულ ბიუროში ფინანსურ დეკლარაციას წარადგენენ, ოფიციალურად დადასტურდება, რომ აშშ და ევროკავშირი დიდძალ ფულს ხარჯავენ, რათა საქართველოს ხელისუფლებაში მკვლელების, მწამებლებისა და გამაუპატიურებლების ნაცბანდა დააბრუნონ.**

გარდა ამისა, თუ **გიგაურისა და ლაგაზიძის ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები** რაჟ**დენ კუპრაშვილის** გადაწყვეტილებას დაემორჩილებიან და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონს დაექვემდებარებიან, საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის უფლება აღარ ექნებათ, რადგან ქართული კანონმდებლობა, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებიდან გამომდინარე, პოლიტიკური გაერთიანებებისა და საარჩევნო მიზნების მქონე სუბიექტების უცხოეთიდან დაფინანსებას კრძალავს.

სწორედ ამიტომ შეაქანა და გააფართხალა რაჟ**დენის დარტყმამ** კოლექტიური ნაცები და მათი სატელიტი არასამთავრობო ორგანიზაციები!

სწორედ ამიტომ წიკვინებენ და წკავწკავებენ რაჟ**დენდარტყმული გიგაურები და ლაგაზიძეები, ლომჯარიები და კორძაიები, დეკანოიძეები, სამადაშვილები და სხვა მათნაირნი,** რომელთა სახელი ლეგიონია!

**ვანო მერაბიშვილის** მიერ კაპიტნის რიგგარეშე წოდებით დაჯილდოებული **ეკა გიგაური** და მისი ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაცია, რეალურად, პოლიტიკურ საქმიანობას რომ ეწევიან, ეს არახალი ამბავია, რადგან **კაპიტანი გიგაური** ნაცოპოზიციის მიტინგებზე ჯერ კიდევ 2020 წელს გამოდიოდა ხელისუფლების გადადგომისა და ტექნიკური მთავრობის ფორმირების მოთხოვნით.

რაც შეეხება **ხათუნა ლაგაზიძის** ორგანიზაციას, რომელიც მიმდინარე წლის ივლისში, უცხოური გავლენის გამჭვირვალობის წინააღმდეგ გამართული აქციების კვალდაკვალ შეიქმნა, მას **„აირჩიე ევროპა“** კი არა, **„აირჩიე ნაცები“** უნდა ერქვას, რადგან კოლექტიურ ნაცმოძრაობასთან კუდით არის გადაბმული. კერძოდ, **ლაგაზიძის ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციის** ერთი თანადამფუძნებელი — **ლელა ჯეჯელავა ნაციონალური მოძრაობის** საარჩევნო სიაში მე-19 ნომრად წერია, ხოლო მეორე თანადამფუძნებელი — **ივა ჭყონია გვარამიას პარტია „ახალის“, ანუ მინი-ნაცმოძრაობის** საარჩევნო სიაში მე-8 ნომერია!

აი, თუნდაც ეს არის პირდაპირი მტკიცებულება, რომ რაჟ**დენ კუპრაშვილმა და საქართველოს ანტიკორუფციულმა ბიურომ აბსოლუტურად სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღეს,** როცა **ლაგაზიძის ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციას** პოლიტიკური და საარჩევნო მიზნების მქონე სუბიექტის სტატუსი მიანიჭეს.



ხათუნა ლაგაზიძე და ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო სიის მე-19 ნომერი ლელა ჯეჯელავა

## ხათუნა ლაგაზიძის ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციას „აირჩიე ევროპა“ კი არა, „აირჩიე ნაცები“ უნდა ერქვას!

**ისე, წარმოიდგინეთ, რა დონის უტიფარი და ფარისეველი უნდა იყო, რომ ამტკიცებდე — არავითარი საარჩევნო მიზნები არ გამაჩნიაო, მეორე დღეს კი შენი ორგანიზაციის ორი დამფუძნებელი ორი სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტის საარჩევნო სიაში ენერებოდეს!**

**თუმცა, უცხოურ გრანტებზე გაყიდული ქართველი ნაცლიბერალებისაგან არაფერი უნდა გაგვიკვირდეს, მითუმეტეს, მაშინ, როცა ისინი რაჟდენის დარტყმით არიან დარეტიანებული!**

*ჯაბა ხუბუა*

## კვირგვინოსნები

**დაჩი ცაგურია**
*ყოფილი პოლიტპატიმარი*



ფონდებია შექმნილი, **ამერიკელი და ევროპელი ხალხის ფულები იხარჯება, ვითომ აქ გვეხმარებიან,** რომ ეკონომიკურად მოვძლიერდეთ. სინამდვილეში, **ეს ფული იხარჯება სახელმწიფო გადატრიალებებისთვის.**

„TV იმედი“

**დავით უსუფაშვილი**
*„ლელოს“ წევრი*



მე ისეთ არასამთავრობო ორგანიზაციებს არ ვიცნობ, რომლებიც **უვიზო მიმოსვლის შეჩერებას მოითხოვენ.** მე ვიცნობ ბევრს, ვინც ხელისუფლებას ეუბნება — **აქეთ მიგყავთ საქმე და შესაძლოა, ასეც მოხდესო.** მე მინდა, რომ ეს არ მოხდეს.

„ინტერპრესნიუსი“

**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



რაშია საქმე, **ნუთუ საქართველოს ევროინტეგრაცია ლგბტ პროპაგანდაზე გადის?** ვისურვებდი, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ღიად, პირდაპირ დაუსვას შეკითხვა **ბორელს, დანიგანს, სტანოს** და ევრობიუროკრატიის ყველა იმ წარმომადგენელს, რომელიც საქართველოს ამუნათებს — **თუ საქართველოში ლგბტ პროპაგანდას დავუშვებთ, ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი დაჩქარდება?** თუ ამ შეკითხვაზე პასუხი გვეცოდინება, მაშინ ჩვენ, **ქართველები, თავად გადავწყვეტთ, საქართველო რა გზით განაგრძობს სვლას!**

„საერთო გაზეთი“

**ვალერი ჩეჩელაშვილი**
*სტრატეგიული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი*



შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ **ჩვენ გველის ძალიან რთული ნოემბერი,** სერიოზული დაპირისპირებებით.

„ახალი თაობა“



# ელიზბარ ჯაველიძე: განათლების გაუნათლებელი მინისტრი ამილახვარი გია ხუბუას გარექტორებას გადაჰყვა!


თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაქცევარი ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორად დანიშნეს!
გადაა რექტორეს!
ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი გია ხუბუა განათლების მინისტრ გიორგი ამილახვართან და პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძესთან ერთად
კახა ლომაია და გია ხუბუა
„ხუბუას რექტორად დანიშვნით მთელი საქართველო აღშფოთებულია!“
ელიზბარ ჯაველიძე:
რაკი გია ხუბუა გამოაჩინეს, ე.ი. შორს აღარ არის ის დრო, როცა კახა ლომაიასაც
დამოუკიდებელი და ზეპარტიული
ასავალ დასავალი
WWW.ASAVALI.GE
2024 წლის 29 ივლისი - 4 აგვისტო
N32 1550
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

*„ასავალ-დასავალში“ ლომაია-რანკოვიჩის ხროვის წარმომადგენლების — გია ხუბუასა და გიორგი ამილახვარის მამხილებელი მასალების გამოქვეყნებიდან ერთი თვეც არ გასულა, რომ ფრიად სასარგებლო ამბავი შევიტყვეთ... ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების განათლების მინისტრი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე საქართველოს განათლების მინისტრის გადადგომას ეხმიანება და აცხადებს, რომ იგი წყეულ წინამორბედთა გზას მიუყვებოდა, რის გამოც მოსაშორებელი იყო:*

— ჩემი ხასიათის შესახებ ყველამ იცის — **წაქცეულ კაცს არ ვცემ!** შევარდნაძისა და სააკაშვილის წინააღმდეგ, როცა ბობოქრობდნენ და ქვეყანას ანგრევდნენ, არაერთი კრიტიკული წერილი დამიწერია და პარლამენტში თუ ტელევიზიით არაერთხელ გამოვსულვარ. **მკვდარი შევარდნაძე და წაქცეული სააკაშვილი** ქვეყანას დღესაც რომ არ ვნებდნენ, მათზე კრინტს არ დავძრავდი... აქედან გამომდინარე, **განათლების აწ უკვე ყოფილი მინისტრის გიორგი ამილახვარის შესახებაც ამ ინტერვიუში მაქსიმალურად თავშეკავებული ვიქნები, თუმცა, სათქმელს მაინც ვიტყვი!**

**— ბატონო ელიზბარ, მიგაჩნიათ, რომ გიორგი ამილახვარი წაიქცა?**

— განათლების გაუნათლებელი მინისტრი **გიორგი ამილახვარი** კი არ წაიქცა — წააქციეს!

**— არადა, როგორც გვამცნეს, ამილახვარი თავისი ნებით გადადგა!**

— **ამილახვარი** თავისი ნებით არ გადადგებოდა, რადგან მინისტრობისთვის თავს იკლავდა! **ამილახვარი წააქციეს, რადგან ბევრი დიდი დანაშაული მიუძღვის, როგორც განათლების გაუნათლებელ მინისტრს.** საერთოდ, განათლებისა და კულტურის კარგი მინისტრი ყველაზე ძნელი საპოვნელია. უდიდესი მიღწევები აქვთ ჩვენს სპორტსმენებს, რაც ძალიან მახარებს, მაგრამ საქართველო, უპირველეს ყოვლისა, ბრწყინავდა თავისი განათლებით, მეცნიერებითა და კულტურით. **გიორგი ამილახვარმა** ავადსახსენებელი **კახა ლომაიას** პროგრამებს თავი ვერ დააღწია. საერთოდ, განათლების სამინისტრო გადაქცეულია ნაცების ბუნაგად და უნდა გაიწმინდოს! იქ თავშეყრილია უამრავი მიშისტი, რომლებიც განყოფილებებსა და დეპარტამენტებს განაგებენ. ამ ხალხს თავი ისე მოაქვს, თითქოს ხელისუფლების მომხრენი არიან, არადა, პირწავარდნილი ნაცები გახლავან და დარწმუნებული ვარ, 26 ოქტომბერს სწორედ ნაცებს მისცემენ ხმას!

# „გიორგი ამილახვარის უბედურება ის იყო, რომ კახა ლომაიას გზას მიუყვებოდა! ამიტომ იყო მოსაშორებელი და მოიშორეს კიდეც!“


დასაწყისი მე-3 გვერდზე
„ასეთი გაუნათლებელი განათლების მინისტრი საქართველოს არ ჰყოლია!“
ელიზბარ ჯაველიძე:
გია ხუბუა უნივერსიტეტის რექტორი კი არ უნდა იყოს, ციხეში უნდა იჯდეს!

**კახა ლომაია** იყო და არის უდიდესი ბოროტება... „სოროსის ფონდმა“ გამოსცა ლომაიას წიგნი, სადაც ის წერს — *ჩვენ უნივერსიტეტებიდან ხალხი კი გავუშვით, მაგრამ ისე ვერ გავუშვით, უკან რომ არ მობრუნებულიყვნენო*... ანუ ამ გარეწარს ბოლომდე უნდოდა ქართული განათლების განადგურება... **კახა ლომაიასა და მისი ხროვის** კვალი დღესაც ეტყობა სახელმძღვანელოებს, რომლებიც ძირფესვიანად შესაცვლელია. **ლომაია და მისი ხროვა** სამშობლოს სიყვარულს ებრძოდნენ და **როინ მეტრეველს, რამაზ ხუროძესა და რამაზ ხეცურიანს,** რომლებიც საქართველოს წამყვან უმაღლეს სასწავლებლებს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სამედიცინო უნივერსიტეტს ხელმძღვანელობდნენ, დაჭერას უპირებდნენ... **ლომაიამ** სკოლასა და უმაღლეს სასწავლებლებში შემოიღო პროგრამები, რომელიც გონებაშეზღუდულ ბავშვებსა და სტუდენტებზეა გათვლილი. საბოლოო ჯამში ამ ნაძირალამ ქართული სკოლა და საუნივერსიტეტო განათლება მოსპო. **გიორგი ამილახვარის** უბედურება ის იყო, რომ **კახა ლომაიას** გზას მიუყვებოდა! ამიტომ იყო მოსაშორებელი და მოიშორეს კიდეც!

**— გიორგი ამილახვარის გადადგომა შემთხვევით გია ხუბუას გარექტორებას ხომ არ უკავშირდება?**

— **გია ხუბუა** კახა ლომაიამ შვილივით გამოზარდა! **გიორგი ამილახვარიც** თავს იკლავდა, რომ როგორმე წინ წაეწია და როცა **ხუბუა** ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორად დაინიშნა, დიდი ზარ-ზეიმი ჰქონდა. ამიტომ გეუბნებით, რომ **ამილახვარმა** იმ წელიწად-ნახევრის განმავლობაში, რაც განათლების მინისტრი იყო, ძალიან ბევრი დანაშაულის ჩადენა მოასწრო. აი, მაგალითად, მეცნიერებათა აკადემიამ მას გავუგზავნეთ პროგრამა, რომელზეც ერთ თვეში პასუხი უნდა მიგვეღო, მაგრამ მინისტრმა ცხრა თვე გვალოდინა და ბოლოს, როცა ჩვენთან მობრძანდა, ვკითხე — პასუხს რატომ არ გვაძლევთ-მეთქი? — მიპასუხა — ჩემი პასუხი ამ პრობლემას ვერ გადაწყვეტსო! ანუ სხვა მიმართულებით გვაგზავნიდა...

**— მაინც რას ითხოვდით?**

— წევრ-კორესპონდენტობის გაუქმებული ინსტიტუტის აღდგენას ვითხოვდით, კიდევ სხვა საკითხებიც იყო... თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ სააკაშვილი მეცნიერებათა აკადემიის გაუქმებას აპირებდა და, რომ არა **ბიძინა ივანიშვილი,** მეცნიერებათა აკადემია დიდი ხნის წინათ შეწყვეტდა არსებობას! უწიგნური და ავადმყოფი **სააკაშვილი** ქართველ აკადემიკოსებს „ვაკეში მცხოვრებ უსაქმურებს“ უწოდებდა...

**— ცნობისათვის, ილიაუნს ავტორიზაცია გააუქმეს და დროებითი ავტორიზაცია მისცეს!**

— ძალიან კარგი, თუ გაუუქმეს! ადრეც არაერთხელ მითქვამს, რომ **ილიაუნი არის ჭაობი, სადაც სოროსელები იზრდებიან... ეს გახლავთ სამშობლოს მოძულეთა ბუნაგი, რომელიც ლომაიამ გაამდიდრა.** ენციკლოპედიის გამომცემლობა, უცხო ენების ინსტიტუტის შენობა, ყველაფერი ამ სოროსელების ბუდეს მისცეს. რატომ და როგორ მოხდა ეს, რა იდგა ამის უკან, ეს ყველაფერი უნდა შეისწავლონ და გამოიძიონ! როცა **კახა ლომაიას** ჰკითხეს, ამ ყველაფერს რატომ აკეთებო? — უპასუხა — კონკურენტუნარიან უნივერსიტეტს ვქმნიო! როგორც ჩემთვის ცნობილია, **კახა ლომაია** დღემდე საქართველოში დაეთრევა და ერთ-ერთ სამედიცინო კლინიკას ფლობს!

**— დაბოლოს: გამორიცხავთ, რომ გიორგი ამილახვარის გადადგომა შესაძლოა, გია ხუბუას გარექტორებას უკავშირდებოდეს?**

— დიახ, **მიმაჩნია, რომ განათლების მინისტრი გიორგი ამილახვარი დიდწილად გია ხუბუას გარექტორებას გადაჰყვა!**

**„ლომაია და მისი ხროვა სამშობლოს სიყვარულს ებრძოდნენ და როინ მეტრეველს, რამაზ ხუროძესა და რამაზ ხეცურიანს, რომლებიც საქართველოს წამყვან უმაღლეს სასწავლებლებს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სამედიცინო უნივერსიტეტს ხელმძღვანელობდნენ, დაჭერას უპირებდნენ!“**

*ესაუბრა*
**დიტო ჩუბინიძე**

# გენერალისიმუსი

**№47 (283) ★ 2024 წლის 30 სექტემბერი ★ გამოდის 2003 წლიდან**

*75 წლის წინათ, 1949 წლის 29 აგვისტოს, მოსკოვის დროით დილის 7:00 საათზე, საბჭოთა კავშირში, ყაზახეთის სსრ-ის სემიპალატინსკის პოლიგონზე,* ***წარმატებით იქნა გამოცდილი 22 კილოტონის სიმძლავრის პირველი საბჭოთა ატომური ბომბი,*** *კოდური სახელწოდებით РДС-1 (реактивный двигатель специальный), რომლის დასახელებას სხვაგვარადაც შიფრავდნენ — РОССИЯ ДЕЛАЕТ САМА ან РЕАКТИВНЫЙ ДВИГАТЕЛЬ СТАЛИНА* ***(სტალინის რეაქტიული ძრავი).***



1949 წლის 29 აგვისტოს სემიპალატინსკში აფეთქებული ატომური ბომბის ბირთვული სოკო

## ПУ…ГАЮТ! ★



# რა ატომი? რი ატომი?

პირველი საბჭოთა ატომური ბომბის გამოცდა ფრიად გასაიდუმლოებული იყო, მაგრამ ამერიკელებმა ამის შესახებ უმალ შეიტყვეს, ხოლო დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, **1949 წლის 25 სექტემბერს,** უკვე სსრკ-ის მთავარი პარტიული **გაზეთი „პრავდა“** აქვეყნებს საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს (ТАСС) ინფორმაციას **„აშშ-ის პრეზიდენტ ტრუმენის განცხადებასთან დაკავშირებით სსრკ-ში ატომური აფეთქების შესახებ“.**

ორი წლით ადრე, 1947 წლის 6 ნოემბერს, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ვიაჩესლავ მოლოტოვმა** გააკეთა წინმსწრები განცხადება, რომ ქვეყანას უკვე გააჩნია ატომური იარაღი, თუმცა, აშშ-ის სამეცნიერო წრეებმა ეს განცხადება სიცრუედ მონათლეს და გამოთქვეს ვარაუდი, რომ რუსეთს აღნიშნული ტიპის შეიარაღება 1952 წლამდე ვერ ექნებოდა. **ცნობისათვის:** ოფიციალური განაცხადი საბჭოთა კავშირის არსენალში საკუთარი ატომური იარაღის არსებობის შესახებ გაკეთდა სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, მარშალ **კლიმენტი ვოროშილოვის** მიერ 1950 წლის 8 მარტს. დაახლოებით ერთ წელიწადში საბჭოთა კავშირის არსენალში უკვე იყო РДС-1-ის ტიპის 15 ცალი **პლუტონიუმის ბირთვული ბომბი,** ხოლო 1951 წლის მიწურულისათვის — 29 „სიკვდილის მანქანა“.

საბჭოური წარმოების ატომური ბომბის სადგამი, რომელიც წარმოადგენდა 37 მეტრის სიმაღლის კოშკურას, აფეთქების შედეგად მთლიანად განადგურდა, ხოლო მის ადგილზე წარმოიშვა 3 მეტრი დიამეტრისა და 1,5 მეტრი სიღრმის მინისებრი მდნარი ნივთიერებით დაფარული ძაბრისებრი ხვრელი. რადიაციის დონე ეპიცენტრში შეადგენდა 0,5 ზივერტს/წამში. პერსონალს უფლება მიეცა, ყოფილიყო მინიმუმ 2 კილომეტრში და ისიც, არაუმეტეს 15 წუთისა.

1538 საცდელი ცხოველიდან, რომლებიც სანგრებში მყოფი მეომრების იმიტირებას ახდენდნენ (ძაღლები, ცხვრები, თხები, კურდღლები, ვირთხები), აფეთქების შემდეგ დაიღუპა 345, მარტივი ტიპის ნაგებობები

***გაგრძელება „გენერალისიმუსის“ მე-2 გვერდზე***

СООБЩЕНИЕ ТАСС

23 сентября президент США Трумэн об"явил, что по данным правительства США в одну из последних недель в СССР произошел атомный взрыв. Одновременно аналогичное заявление было сделано английским и канадским правительствами.

Вслед за опубликованием этих заявлений в американской, английской и канадской печати, а также в печати других стран, появились многочисленные высказывания, сеющие тревогу в широких общественных кругах.

В связи с этим ТАСС уполномочен заявить следующее.

В Советском Союзе, как известно, ведутся строительные работы больших масштабов, - строительство шахт, каналов, дорог, которые вызывают необходимость больших взрывных работ с применением новейших технических средств. Поскольку эти взрывные работы происходили и происходят в разных районах страны, то возможно, что это могло привлечь к себе внимание за пределами Советского Союза.

Что же касается производства ~~и использования~~ атомной энергии, то ТАСС считает необходимым ~~подчеркнуть, что позиция Советского правительства в этом вопросе давно определилась, является последовательной и неизменной. ТАСС при этом может напомнить следующие известные заявления Советского правительства.~~

~~17 сентября 1946 года Глава Советского Правительства И.В.Сталин дал следующий ответ на вопрос корреспондента "Санди Таймс" Александра Верта:~~

*Пролетарии всех стран, соединяйтесь!*

Всесоюзная Коммунистическая Партия (больш.).

**ПРАВДА**

Орган Центрального Комитета и МК ВКП(б).

№ 268 (11375) | Воскресенье, 25 сентября 1949 г. | ЦЕНА 20 КОП.

**Сообщение ТАСС**

23 сентября президент США Трумэн об'явил, что по данным правительства США в одну из последних недель в СССР произошел атомный взрыв. Одновременно аналогичное заявление было сделано английским и канадским правительствами.

Вслед за опубликованием этих заявлений в американской, английской и канадской печати, а также в печати других стран, появились многочисленные высказывания, сеющие тревогу в широких общественных кругах.

В связи с этим ТАСС уполномочен заявить следующее.

В Советском Союзе, как известно, ведутся строительные работы больших масштабов,— строительство гидростанций, шахт, каналов, дорог, которые вызывают необходимость больших взрывных работ с применением новейших технических средств. Поскольку эти взрывные работы происходили и происходят довольно часто в разных районах страны, то возможно, что это могло привлечь к себе внимание за пределами Советского Союза.

Что же касается производства атомной энергии, то ТАСС считает необходимым напомнить о том, что еще 6 ноября 1947 года министр иностранных дел СССР В. М. Молотов сделал заявление относительно секрета атомной бомбы, сказав, что «этого секрета давно уже не существует». Это заявление означало, что Советский Союз уже открыл секрет атомного оружия, и он имеет в своем распоряжении это оружие. Научные круги Соединенных Штатов Америки приняли это заявление В. М. Молотова, как блеф, считая, что русские могут овладеть атомным оружием не ранее 1952 года. Однако они ошиблись, так как Советский Союз овладел секретом атомного оружия еще в 1947 году.

Что касается тревоги, распространяемой по этому поводу некоторыми иностранными кругами, то для тревоги нет никаких оснований. Следует сказать, что Советское правительство, несмотря на наличие у него атомного оружия, стоит и намерено стоять в будущем на своей старой позиции безусловного запрещения применения атомного оружия.

Относительно контроля над атомным оружием нужно сказать, что контроль будет необходим для того, чтобы проверить исполнение решения о запрещении производства атомного оружия.

*დასაწყისი „გენერალისიმუსის“ პირველ გვერდზე*


Товарищу Сталину И.В.

Докладываем Вам товарищ Сталин, что усилиями большого коллектива советских ученых, конструкторов, инженеров, руководящих работников и рабочих нашей промышленности, в итоге 4-х летней напряженной работы, Ваше задание создать советскую атомную бомбу выполнено.

„30" августа 1949 г

Район испытаний (в 170 километрах западнее г. Семипалатинска).

Л. Берия
И. Курчатов

# რა ხდება? რა ხდება?

სრულად განადგურდა 5 კილომეტრის რადიუსში, სარკინიგზო და საავტომობილო ხიდები მოსროლილ იქნა 20-30 მეტრზე.

თქვენს წინაშეა **ლავრენტი ბერიასა** და საბჭოთა ატომური ბომბის შემქმნელის, ფიზიკოს **იგორ კურჩატოვის** 1949 წლის 30 აგვისტოს **მოხსენებითი ბარათი სტალინისადმი ბირთვული იარაღის გამოცდასთან დაკავშირებით** (დედანი). ცნობისათვის, 1945 წლის 24 ივლისს პოტსდამში პრეზიდენტმა **ტრუმენმა უინსტონ ჩერჩილთან** ერთად **იოსებ სტალინს** აუწყა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს უკვე გააჩნია არნახული დამანგრეველი ძალის იარაღი. **ჩერჩილის** მოგონებათა მიხედვით, **სტალინმა** ჩაიცინა და დეტალებით არც კი დაინტერესებულა, რის საფუძველზეც დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დაასკვნა, რომ ბელადი ვერაფერს მიხვდა, თუმცა, იმავე საღამოს **სტალინმა** მითითება მისცა **მოლოტოვს,** დაეჩქარებინა **კურჩატოვისათვის** ატომური პროექტით ჯერ კიდევ 1942 წლიდან გათვალისწინებული სამუშაოები. დაუყოვნებლივ შეიქმნა სპეციალური კომიტეტი **ლავრენტი ბერიას** ხელმძღვანელობით, რომელიც პირდაპირ **სტალინს** ექვემდებარებოდა.

**საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოთი** (ТАСС) გასავრცელებელი შეტყობინების პროექტში, რომელიც სემიპალატინსკში ჩატარებულ ტესტურ აფეთქებას ეხება, მისი გამოქვეყნების წინა დღეს, **1949 წლის 24 სექტემბერს,** სტალინმა საკუთარი ხელით შეიტანა შესწორებები და დაურთო პირადი პოზიცია **ლეტალური იარაღის გამოუყენებლობისა და აკრძალვის თაობაზე.** აღნიშნული ოფიციალური შეტყობინების შემდეგ ამერიკის პრეზიდენტ **ტრუმენს** ისღა დარჩენოდა, მხოლოდ ემკითხავა — **იყო თუ არა სემიპალატინსკში საბჭოთა ბირთვული იარაღის გამოცდა საბჭოთა ატომური ბომბის დებიუტი თუ მორიგი აფეთქება გაცილებით ადრე დაწყებული ექსპერიმენტების სერიიდან.**

## P.S.

იმ ფონზე, როცა უკრაინის ხელისუფლება კოლექტიურ დასავლეთში თავის პატრონებს ეაჯება — **უფლება მომეცით, თქვენს მიერ გამოგზავნილი რაკეტებით რუსეთი მისსავე ტერიტორიაზე დავბომბოო, ვლადიმერ პუტინი** რუსეთის ბირთვულ დოქტრინაში ცვლილებების შეტანას გეგმავს. კერძოდ, **2024 წლის 25 სექტემბერს რუსეთის პრეზიდენტმა უშიშროების საბჭოს მიმართა, რომ ბირთვულ დოქტრინაში შეტანილი იქნას პუნქტი, რომლის ძალითაც რუსეთს ბირთვული იარაღის გამოყენების უფლება ექნება იმ შემთხვევაშიც კი, თუ უცხო ქვეყნების ფრთოსანი რაკეტები, დრონები და სხვა მფრინავი ობიექტები მის საზღვარს მასობრივად გადაკვეთენ.** უფრო კონკრეტულად, **პუტინის** ინიციატივა გულისხმობს, რომ **რუსეთმა ატომური იარაღი მასზე არამხოლოდ ბირთვული დარტყმის, არამედ ჩვეულებრივი იარაღით მასიური თავდასხმის საპასუხოდაც გამოიყენოს.**

**ПУ...ГАЮТ! ★**

*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“, 2024 წლის №43-46*




# ფერფლი და კვამლი...

ნიურნბერგის პროცესზე ფრანგმა ბრალმდებელმა შარპანტიე დი რიბმა განაცხადა: ჩვენი ეპოქის სამარცხვინოდ უნდა ითქვას, რომ ტექნიკის მიღწევები იქცა ბარბაროსობის იარაღადო. მე ახლაც თვალწინ მიდგას მაღალი ტექნიკური მიღწევებით აგებული გაზკამერები და კრემატორიუმები, სადაც მილიონობით ადამიანს აქცევდნენ ფერფლად და კვამლად. მათ შორის აქ თუნდაც ერთი — ოსვენციმი გავიხსენოთ. შორიდან რომ ამ ბანაკისათვის შეგეხედათ, სემირამიდას ბაღიაო, იტყოდით... ტანთეთრი არყების ჭალა, ფიჭვების ხეივანი და ზღვა ყვავილებისა... უფრო ყვითელი თუ წითელი ვარდები... ქრიზანთემები და გვირილები... შორიდანვე ისმის მუსიკა — ვაგნერი, ოფენბახი ან ბრიუკნერი... მერე დიდი ალაყაფის კარები ჩნდება, იქვე მშვენივრად მოვლილი ყვავილების გაზონებია, ზევით კი — ლურჯ ცაზე გაკრული შავი ბოლი...

არყის ხეებს შორის ძველებური გოთური სტილის ერთსართულიანი ნაგებობა დგას, დამრეცილი სახურავითა და ვიწრო ფანჯრებით... გვერდით... კიბეებია... ძირს სარდაფისაკენ... თუ ჯოჯოხეთისაკენ, სადაც უზარმაზარი „საამქროა“, ნაცრისფერი კედლებითა და პატარა კაბინებით... აქ ტუსაღები „აბაზანის მიღების წინ“ ტანისამოსს იხდიან, ფრთხილად კეცავენ და ალაგებენ... მერე სადეზინფექციოში ჩადიან, სადაც შიშისმომგვრელი უზარმაზარი თუჯის კარებია მარკით: „ტოპფი და შვილები. ერფურტი“.

ორი ათასი შიშველი კაცი, ქალი, მოხუცი თუ ბავშვი შედის ამ ჯურღმულში „ჭუჭყისა და ტილების“ მოსაშორებლად. თუჯის კარები სწრაფად იხურება... და იწყება საშინელება... სადღაც ზემოთ „ლუკი“ იხსნება და ვიღაც ფხვნილს „ციკლონ B“-ს ყრის... ოცი წუთი კოშმარი... მერე ყველაფერი წყნარდება და კონვეიერები იწყებენ მოძრაობას. ამწეები გვამებს თუჯის უზარმაზარი ღუმელებისაკენ მიაქანებენ... იქაც ასეთი წარწერაა: „ტოპფი და შვილები. ერფურტი“. 15 ასეთი ღუმელია ერთმანეთის გვერდით... ყოველი მათგანი სამ ნაწილადაა გაყოფილი... შუაში ელექტროვენტილატორები უბერავენ... „ჯოჯოხეთის ცეცხლი“ ჩაღდება... კონვეიერები რკინის ბადეებზე ყრიან გვამებს... და ფერფლად აქცევენ...

შავი კვამლი კი ზევით მიჰყვება მილს და ჰაერში იფანტება...

...გარშემო „დამხმარე სათავსოებია“, მაგალითად, „სასაკლაო“ ან „ქსენონი“. როცა „გადასამუშავებლად“ არც ისე დიდი კონტინგენტია, ღუმელების გახურება ეზარებათ და კრემატორიუმის უფროსის, ესესის შტურმფიურერ მოლის განკარგულებით ხვრეტენ ტუსაღებს... ამას უმთავრესად თვითონ მოლი აკეთებს... გასართობად. იგი ხუთ ტუსაღს დააყენებს ერთად... სიმაღლის მიხედვით ერთ ხაზზე... რომ ტყვიის ერთმა გასროლამ ხუთივეს გაუაროს საფეთქელში... ეს პირადად მისი გამოგონებაა... ერთი ტყვია ხუთ კაცზე!.. ეკონომიისათვის. ამ სასაკლაოს ასფალტის იატაკი ოდნავ დაქანებულია, რომ სისხლი ჩაირეცხოს სპეციალურ ლუკებში, სადაც ამ „ნედლი მასალის“ ქიმიური გადამუშავება ხდება... მიწის გასანოყიერებლად...

იმავე სართულზე სპეციალური სათავსოებია... ვთქვათ, „კბილის საპროთეზო“, როგორც პოლიკლინიკაში... ვისაც ოქროს კბილები აქვს, აქ შეიყვანენ და გაზით ამოგლეჯენ. მერე ამ კბილებს აგროვებენ და მეზობელ საამქროს გადასცემენ, სადაც გადაადნობენ და ზოდებად უგზავნიან გერმანიის საიმპერიო ბანკს...

...გერმანელებმა დროის დაფასებაც იციან. ეს აქაცაა გათვალისწინებული... ყველაფერი სწრაფად უნდა მოხდეს, თორემ სიკვდილის კომბინატები ვერ აუდიან მილიონობით ადამიანის ფერფლად გადამუშავებას...

ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში რომ „ახალ სტუმრებს მიიღებენ“, **ექიმი მენგელე** სწრაფად ახარისხებს მათ... მცირე ნაწილს სამუშაოდ გადაარჩევს, დანარჩენებს გაზკამერებისაკენ გზავნის... ორი ათას კაცს ერთად... აქაც დროის მოგებაა საჭირო... ახალგაზრდები კი ჩადიან სწრაფად კიბეებზე, მაგრამ ამ დაჩაჩანაკებულმა მოხუცებმა გააჭირეს საქმე!.. ისინი ძლივს მიჩანჩალებენ და სხვებსაც უშლიან ხელს... ტექნიკურმა აზრმა ესეც გაითვალისწინა და სიკვდილის კომბინატებსა და გაზკამერებს მეორე შესასვლელი გაუკეთდა... აქ კიბეები კი არ არის, არამედ ღარია ჩასასრიალებელი, კულტურისა და დასვენების პარკებში რომ ბავშვებისთვის „გორკას“ აკეთებენ, ისეთი. ზემოთ რომ ამ „გორკაზე“ დააგდებენ მოხუცს, ის თვალის დახამხამებაში ჩასრიალდება... პირდაპირ გაზკამერაში... იქიდან კი, სულერთია, გვამი მოხუცისა იქნება თუ ახალგაზრდისა, ყველა ერთნაირი ტემპით მიჰყვება კონვეიერებს კრემატორიუმისაკენ...

...უფრო მეტ სიძნელეს ბავშვები ქმნიან, მაგრამ დაუძლეველი მართლაც არაფერია ამქვეყნად... ვისაც „თავი აბია მხრებზე“, ამ სიძნელესაც ადვილად დაძლევს... მოლიც ჩაუფიქრდა ამას და ღუმელების გამტარუნარიანობის გასადიდებლად კრემატორიუმს სპეციალური ლუკი გაუკეთა... რის შემდეგაც ბავშვები გაზკამერებში კი არ შეჰყავდათ მშობლებთან ერთად, რაც ბევრ „უსიამოვნებას ქმნიდა“, არამედ პირდაპირ ცოცხლად ყრიდნენ ღუმელებში...

...აქ გაიყინა ადამიანის აზრი... მოსამართლეები, ბრალმდებლები და თვით დამცველებიც ისე გაქვავდნენ, რომ პროცესი თითქოს შეჩერდა კიდეც... ვერავინ შეძლო დაჯერება, რომ „ამგვარი დანაშაული შესაძლებელია“... ვერც გონებამ აღიქვა ფაქტების სინამდვილე და დაიწყო ხანგრძლივი იურიდიული მტკიცება... თქვენ გგონიათ, რისი? რომ ეს ნამდვილად მოხდა? არა!.. რომ ეს საერთოდ შეიძლებოდა მომხდარიყო... ფაქტებს კი მერე მოუბრუნდნენ და შეუდგნენ იმის ჩვენებას, რომ...

— ასეთი დანაშაული, დიახ, ასეთი დანაშაული... მართლაც შესაძლებელია მოხდეს... და ნამდვილად... ჰო... ნამდვილად მოხდა! — ენა ებმის ბრალმდებელს...

...ტრიბუნაზე სევერინა შმაგ-

**ას**

*იბეჭდება შემოკლებით. ტ. I „თემიდას თვალები“*



ლევსკა დგას... ბანაკიდან საბჭოთა არმიის მიერ გათავისუფლების შემდეგ იგი გადასახლდა ამერიკაში და საკმაოდ ცნობილი მწერალი გახდა.

უნდა გენახათ, რა სახეები ჰქონდათ იმათ, ვინც მის ნაამბობს ისმენდა ბავშვების ცოცხლად დაწვის შესახებ, მაგრამ რა უნდა ექნათ!.. ერთ საშინელებას მეორე მოსდევდა. შმაგლევსკა რომ ტრიბუნიდან ჩამოვიდა, მისი ადგილი ამავე ბანაკის ყოფილმა ტუსაღმა მიულერმა დაიკავა:

— 1944 წლის ზაფხულს კრემატორიუმის ძველი უფროსის ნაცვლად დანიშნეს ესესელი ჯალათი მოლი, რომელმაც ყველაფრის რეორგანიზაცია მოახდინა, — თქვა მან, — როცა კრემატორიუმები საქმეს ვერ აუთავდნენ, მოლმა უზარმაზარი ორმო ამოათხრევინა გვამების დასაწვავად. თუ სამუშაო ბევრი იყო, იგი თვითონ შრომობდა ხე-

წარმოებაა, ზოგიერთი დიდ მოგებასაც იძლევა, არც სხვა ფირმები რჩებიან ზარალში...

...საიმპერიო ბანკის დირექტორად, შახტის გადაყენების შემდეგ, ფრიკი დაინიშნა. ახლა ორივე განსასჯელთა სკამზე ზის. **გულუბრყვილოებს შეიძლება გაუკვირდეთ კიდეც, რა დამოკიდებულება აქვსო ბანკის დირექტორს საკონცენტრაციო ბანაკებში მომხდარ საშინელებებთან! თითქოს არაფერი, სინამდვილეში კი — უშუალო. ბანკის დირექტორი ფრიკიც განაგებდა სიკვდილის ამ ეკონომიკას.** ეკითხებიან კიდეც, თქვენ თუ იცოდითო რამე ამის შესახებ. ფრიკი, რა თქმა უნდა, ამბობს, არაფერიო. გაოცებული მხრებსაც იჩეჩს, რა დამოკიდებულება მაქვსო ამ საქმესთან. მერე უთხრეს, ბანკის შენობის სარდაფების სპეციალურ სეიფებში რომ ოქროს კბილებით სავსე ყუთები ინახებოდა, არც

დამარცხდაო. მარსიას კადნიერებით გაგულისებულმა აპოლონმა ტყავი გააძრო თურმე მას და გამოქვაბულში დაკიდა კილენის ახლოს. მარსია, ლეგენდის მიხედვით, ფლეიტის დიდი მოყვარული ყოფილა, აპოლონი კი — ჩანგისა. ამიტომ ყოველთვის, როცა სადმე ფლეიტის ხმა გაისმოდა, მარსიას ტყავი ცახცახს იწყებდაო კილენის გამოქვაბულში.

ის კი არავინ იცის, როცა გამწარებული დედის გული მოუხმობდა ფრონტზე დაკარგულ შვილს, მისი ტყავი თუ იწყებდა ცახცახს ქალბატონ კოხის ბუდუარებში...

...პროცესზე წაიკითხეს აგრეთვე ინგლისელი ჯარისკაცის ჯონ ჰენრი უიტონის წერილობითი ჩვენება. უიტონი გერმანელებმა ტყვედ ჩაიგდეს არდენის ოპერაციების დროს და 1943 წლის 4 აპრილს ჩაიყვანეს დანციგში, სადაც მას ამუ-

დაჭერით ნაჭრებად მოხმარებისათვის".

გასაოცარია მათი ეკონომიკური ალღო. ისინი ადამიანის ცხიმის ნახარშსაც არ ტოვებდნენ გამოუყენებლად. რეცეპტში ეწერა: „სითხე, რომელიც პირველი გაცივების შემდეგ რჩება, შეიძლება გამოყენებულ იქნეს გასაწმენდ მასალად"... და შემდეგ: „საპონს არასასიამოვნო სუნი რომ მოაშოროთ, დაუმატეთ რამე შესაფერისი ნივთიერება, მაგალითად, ბენზალდეჰიდი".

ამრიგად დამზადებული საპნები და მათი ყალიბებიც შემოიტანეს პროცესზე და სხვა ტექნიკურ ექსპონატებთან ერთად უჩვენეს ყველას. ისიც გამოარკვიეს, რომ ეს რეცეპტი მარტო ქარხნებისათვის კი არ იყო შედგენილი, არამედ ინდივიდუალური, საოჯახო მოხმარებისათვის. ყველა დიასახლისს შეეძლო, სახლში მოედუღებინა ასე-



# ერგასის დღე

ლებდაკაპიწებული და ყრიდა გვამებს ორმოში. ეს ფანატიკოსი, შეშლილი ნაცისტი არც ეწეოდა, არც სვამდა. სულ იმას იძახდა: ბრძანება ბრძანებაა და, თუ ფიურერი მიბრძანებს, საკუთარ ცოლსა და შვილებსაც დავწვავო.

მისი უმთავრესი ჟინი იყო ადამიანის სისხლის ყურება და სროლა, გართობა კი — თამაში სასიკვდილოდ განწირულ ბავშვებთან. სახეგაღიმებული მოლი მიდიოდა ხან ერთ, ხან მეორე დედასთან, კოცნიდა მათ ბავშვებს, შოკოლადის ნატეხსაც აძლევდა და ეთამაშებოდა. მერე ხელშიც აიტაცებდა და მიჰყავდა სადღაც, დედას კი ეუბნებოდა, ახლავე უკან მოვიყვანო...

ის კი არა, გაჩაღებულ კოცონთან მიდიოდა და პირდაპირ ცეცხლში აგდებდა, ან არადა — თხრილში, რომელიც სავსე იყო კოცონიდან გამომდინარე დამწვარი ადამიანების მდუღარე ქონით. მოლი დღეში რამდენჯერმე იმეორებდა ამას, მერე კი კმაყოფილი იტყოდა, „დღეს მე საკმაოდ ვიშრომე სამშობლოსათვისო", და სავახშმოდ მიდიოდა...

კრემატორიუმები კი მთელი ღამე განაგრძობდნენ მუშაობას.

## მარსიას ტყავი...

სიკვდილის კომბინატების გარშემო სოკოებივით აღმოცენდნენ საწარმოო-კომერციული ფირმები, რომელთაც შექმნეს მეურნეობის ახალი დარგი — „სიკვდილის ეკონომიკა". „დასამუშავებელ მასალას", როგორც მოგახსენეთ, ჯერ სტომატოლოგიურ კაბინეტში შეიყვანენ და, ოქროს კბილები თუ აქვს, გაზით ამოგლეჯენ, დააგროვებენ და სპეციალური ყუთებით გერმანიის საიმპერიო ბანკში გაგზავნიან. მერე იმ „მასალას" სადალაქოში „მიიწვევენ" და თავს გადაპარსავენ. ამ „ნედლეულს" სპეციალური ფირმა იღებს, რომელიც საწოლ ლეიბებს ამზადებს. ამის შემდეგ იმავე „მასალას"... „სიცოცხლეს ჩამოაშორებენ" და სისხლს ქიმიურ მრეწველობას გადასცემენ, ქონს — საპნის ქარხანას, ძვლებს კი სპეციალური „ძვალსამტვრევი მანქანები" ფხვნილად აქცევენ და სუპერფოსფატის დამამზადებელ ქარხანას მიჰყიდიან. ეს ყველაფერი ფული ღირს! ყოველი სიკვდილის კომბინატი რენტაბელური

ამის შესახებ იცოდითო რამე?

თურმე არც ეს იცოდა!

მერე ამის თაობაზე ესესისა და გესტაპოს ხელმძღვანელობასთან მისი საკუთარი მიმოწერაც უჩვენეს, მაგრამ მეხსიერების ქალღმერთმა მნემოზინამ მაინც არ მოიღო მოწყალება და არ გაახსენა არაფერი...

...კალტენბრუნერიც „შეაწუხეს" უსიამოვნო კითხვებით. ცოცხალი ადამიანების ტყავისაგან დამზადებული ნივთებიც უჩვენეს. მისი თანამშრომლის, პროფ. შპეერის მიერ შემუშავებული ტექნოლოგია გააცნეს, თანაც ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკის მცველის ანდრეას პფაფენფეგერის ჩვენებაც წაუკითხეს:

— იმის შემდეგ, რაც გავსინჯეთ ტატუირებულკანიანი ტყვეები, გადავარჩიეთ მათგან ისეთები, რომელთაც უკეთესი ნახატები ჰქონდათ. ისინი ჯერ საავადმყოფოში მოვათავსეთ, ხოლო შემდეგ კანში შხამის შეშხაპუნებით დახოცა კარლ ბაიჰსმა, ვერნერბახმა კი ამოჭრა ტატუირებული კანი, დაამუშავა და საჩუქრად გადასცა შტანდარტენფიურერ კოხის მეუღლეს, რომელმაც ის ელექტროლამფის აბაჟურად და ბუდუარების სხვა მოსაკაზმავ მასალად გამოიყენა...

...ასეთ რამეს ისევ ძველ ანტიკურ მითებში თუ გაიგონებს კაცი!..

...ამბობენ, ფრიგიელი მარსია გაეჯიბრა აპოლონს მუსიკაში და

შავებდნენ ანატომიური ინსტიტუტის მიდამოებში. უიტონი ყვება, რომ ინსტიტუტში „წითელი ჯვრის" სპეციალურ მანქანებს ყოველდღე მოჰქონდათ ნაჯახით თავმოჭრილი შიშველი გვამები და ჩაჰქონდათ სარდაფში. აქ მათ რაღაც სითხეს უშხაპუნებდნენ და ისე ტოვებდნენ დაახლოებით ოთხ თვეს. შემდეგ ისევ ამოჰქონდათ, რბილ ნაწილებს აშორებდნენ ძვლებს და...

უიტონმა აღწერა საპნის დამზადების პროცესი, პირველი ხარშვიდან — ყალიბებში ჩამოსხმამდე...

მერე „იმ იეზუიტმა ბრალმდებელმა" არც ეს იკმარა და კალტენბრუნერს „ადამიანის ცხიმისაგან" დამზადებული საპონიც დაუდო წინ, თან აფთიაქარივით აუღელვებელი ხმით ჩაიკითხა სამედიცინო აკადემიის დანციგის ანატომიური ინსტიტუტის მიერ შემუშავებული რეცეპტი:

„10-12 გირვანქა ქონი, 10 ლიტრი წყალი, 1000 გრამი ნატრიუმის ხსნარი — მყარი საპნისათვის, ხოლო 1000 გრამი კალიუმოქსიდი — თხევადისათვის, ერთი მუჭა სოდა. ადუღეთ ქვაბში სამი საათი, დაუმატეთ სამზარეულო მარილი, ცოტა კიდევ ადუღეთ და გააცივეთ. გამაგრებული ზედაფენა მოხადეთ, დაჭერით და ისევ ადუღეთ საათნახევრიდან ორ საათამდე ერთ-ორ ლიტრ წყალში, ჩაასხით ჭურჭელში და გააცივეთ.

თი საპონი.

ადამიანის ცხიმი ხომ არც ისე ძნელი საშოვნელია, მით უმეტეს, ომის დროს!..

...მერე ის იყო, რამდენიმე გულშეღონებული რომ გაიტანეს დარბაზიდან. ზოგიც თვითონ გავიდა, იარუსიც თანდათან დაიცალა შეძრწუნებული კორესპონდენტებისაგან. ლოურენსს ენა ებმოდა. თითქოს სადღაც ფერდაკარგულ თემიდასაც მოვკარი თვალი. მგონი, იმასაც ისე უცახცახებდა ხელები, რომ ძლივს იკავებდა სასწორს. სასამართლო პროცესიც დანიშნულ დროზე ადრე შეწყდა...

არ ვიცი, საპნით თუ ვინმემ დაიბანა იმ დღეს ხელი. ის კი ვნახე, რომ სასადილოში კაციშვილი არ შესულა და გაოცებული მზარეულები კითხულობდნენ, რა მოხდა ასეთიო!..

## სიკვდილის ტანგო...

საკონცენტრაციო ბანაკების „სპეცფილტრაცია" მაშინ შემოიღეს, როცა მათი სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა გადაწყვიტეს და იძულებული გახადეს, საკუთარ შემოსავალზე ეზრუნათ. ჰიტლერელებს ეხერხებოდათ ეს საქმე. თუ აქამდე, უბრალოდ, „სიკვდილის ეკონომიკას" ავითარებდნენ, ახლა „ესთეტიკური პრინციპებიც" გაიტანეს ბაზ-

რობაზე. ამ სამუშაოებს „მაღალი გემოვნების" სპეციალური კომისიები ასრულებდნენ. ისინი დიდი გულმოდგინებით არჩევდნენ „საჭირო ესთეტიკურ ექსპონატებს": ვისაც ჯანსაღი და ლამაზი კბილები ჰქონდა, წაიყვანდნენ ქირურგიულ კაბინეტში და... „თავს ფრთხილად მოაშორებდნენ სხეულს", ლამაზ თავის ქალას დაამზადებდნენ და მიყიდდნენ რომელიმე ანთროპოლოგიურ კაბინეტს. ასევე, თუ კარგი აგებულების ტყვეები შეხვდებოდათ, ჩონჩხებს დაამზადებდნენ და ანატომიურ ინსტიტუტებს დაუგზავნიდნენ.

შემდეგ „ცოცხალი ექსპონატებითაც" დაიწყეს ვაჭრობა. ჯანსაღ და ფიზიკურად ძლიერ ტუსაღებს სამუშაოდ მიერეკებოდნენ, ქალებს კი ხელზე მოსამსახურეებად ყიდდნენ. ფასი სხვადასხვაგვარი იყო. ჯერ საკმაოდ „ძვირს" აფასებდნენ, მაგრამ მერე მოსამსახურის ფასი — 10-15 მარკამდე დაიყვანეს. ამ ხელზე მოსამსახურეების მდგომარეობა იმდენად აუტანელი იყო, რომ ბევრმა თავი მოიკლა.

პროცესზე ასეთი მაგალითიც მოიყვანეს. ერთმა უკრაინელმა გოგონამ ვეღარ აიტანა დამცირება და თავი ჩამოიხრჩო საღორეში, სადაც მას აცხოვრებდნენ. მეორე დღეს დიასახლისმა ეს რომ დაინახა, გულშემზარავი კივილი მორ-

თო და მთელი მეზობლები შეყარა უბედურების ადგილას.

— ნუ წუხხართ, ქალბატონო, — ანუგეშა იგი ერთ-ერთმა მეზობელმა, — თქვენ შეგიძლიათ, კიდევ იშოვოთ ასეთი გოგო!

— რა უნდა ვიშოვო! — იკივლა იმ ქალბატონმა, — მე უკვე ორჯერ გადავიხადე 15-15 მარკა.

თურმე დახარჯულ ფულს ტიროდა და არა ადამიანის სიცოცხლეს!

ასეთი მონებით მოვაჭრე მთავარი სამხედრო დამნაშავის ზაუკელის განკარგულებით მარტო უკრაინიდან გერმანიაში უნდა „შემოეზიდათ" 500 ათასამდე ახალგაზრდა ქალიშვილი, რომ მსახურებად დადგომოდნენ გერმანელ „ფრაუებს" და თან სახელმწიფო ხაზინაში მილიონობით თანხა შესულიყო.

ამას გარდა, „ესთეტიკური კომისიის" წევრები სპეციალურად არჩევდნენ ლამაზ გოგოებს, რომ საროსკიპოებში გაეყიდათ. ამ შემთხვევაში ფასი შედარებით მაღალი იყო. მერე გემოვნება უფრო „დაიხვეწა", გრძნობებიც „გაფაქიზდა" და საჭირო გახდა ლამაზკანიანი გოგონების შერჩევა, რომ ცოცხლად გაეძროთ ტყავი და „ნატიფი ნივთები" დაემზადებინათ. ეს იაფიც ხდებოდა და სამუშაოდაც სასიამოვნო იყო. საკონცენტრაციო ბანაკის შემოსავალი იზრდებოდა და „სიკვდილის წარმოება" მართლაც რენტაბელური ხდებოდა.

მე წავიკითხე ერთ-ერთი საკონცენტრაციო ბანაკის ანგარიში: რომელ საკვლევ ინსტიტუტს, ლაბორატორიას ან საროსკიპოს რამდენი კაცი თუ ქალი მიჰყიდეს და რა ფასად. ყველაფერი ეს ლამაზადაა გაფორმებული, აწონილ-დაწონილი და გაანგარიშებული, თანაც „ფსიქიკურად უვნებელ ფორმებში" წარმოდგენილი და, ცხადია, გესტაპოელების ესთეტიკურ პრინციპებთან შეთანხმებული, ზოგჯერ „მუსიკალურადაც დახვეწილი" და სანახაობად ქცეული. ამისთვის ბანაკები რადიოფიცირებული იყო. „მასობრივი ლიკვიდაციის დროს" რეპროდუქტორები გადასცემდნენ ჰიტლერის საყვარელ მელოდიებს „მხიარული ქვრივიდან" ან ბარკაროლას „ჰოფმანის ზღაპრებიდან". და თუ განწირულთა ყვირილი გადააჭარბებდა რეპროდუქტორების ხმას, რამე უფრო ხმაურიან ჯაზურ მუსიკას დაუკრავდნენ...

...ამას რომ ვიგონებ, თავში რატომღაც შოპენჰაუერის ფრაზა მიტრიალებს: „მხოლოდ მუსიკის საშუალებით ხდება გასა-



ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკისათვის შორიდან რომ შეგეხედათ, სემირამიდას ბაღიაო, იტყოდით...

## რეპორტაჟი ნიურნბერგის პროცესიდან ★

გაგრძელება „გენერალისიმუსის" ბოლო გვერდზე

დასაწყისი „გენერალისიმუსის“ მე-2 გვერდზე

## მიხეილ ქვესელავა

# ას ერგასის დღე

### იბეჭდება შემოკლებით. ტ. I „თემიდას თვალები“

გები ინდივიდის მოსპობის სიხარული!“ ნუთუ აქ მართლაც რამე კავშირია? ან რატომ წერენ ამდენს მუსიკის დემონური ხასიათის შესახებ? რატომ არის, რომ სიკვდილი მუსიკის თანხლებას მოითხოვს? იანოვსკის საკონცენტრაციო ბანაკში საამისოდ სპეციალური ორკესტრი შექმნეს გამოჩენილი ტყვე მუსიკოსების — პროფესორ შტრიქსის, დირიჟორ მუნდისა და სხვათა მონაწილეობით. ეს ორკესტრი „სიკვდილის ტანგოთი“ უტკბობდა ყურთასმენას ბატონ ესესელებსა და გესტაპოელებს, როცა ისინი ათასობით ტყვეებს ხვრეტდნენ ან გაზკამერებში მიერეკებოდნენ.

შემდეგ, როცა საბჭოთა არმიის ნაწილები მიუახლოვდნენ ბანაკს, კომენდანტის განკარგულებით თვით ეს ორკესტრანტები დახვრიტეს. ისინი გაიყვანეს ბანაკიდან და ტანკსაწინააღმდეგო ორმოსთან დააყენეს. ყველა მიხვდა, რაშიც იყო საქმე, მაგრამ ნერვები ისე ჰქონდათ გახევებული, რომ მექანიკურად აკეთებდნენ ყველაფერს, რასაც კი ეუბნებოდნენ. შტურმფიურერმა ამ შემთხვევაშიც არ უღალატა წესს და უბრძანა მათ, „სიკვდილის ტანგო“ დაეკრათ. ორკესტრანტებმა ეს ბრძანებაც შეასრულეს. იდგნენ და უკრავდნენ თავიანთ რეკვიემს. მერე ინსტრუმენტები ერთად დააწყვეს და ისევ თხრილთან დადგნენ.

ამის შემდეგ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც „წესი და რიგია“, მაგრამ, როცა იმათ ხვრეტდნენ, ორკესტრი უკვე აღარ უკრავდა.

●

...ჰაუპტშტურმფიურერ ფრიც გებაუერს უფრო ცოცხალი ადამიანების გაყინვა ართობდა თურმე. ის ჯერ გაატიტვლებდა პატიმარს, მერე ხელ-ფეხს შეუკრავდა და 15-20 გრადუსი ყინვის დროს წყლით სავსე კასრში ჩასვამდა ან ბოძს მიაკრავდა და მანამ ამყოფებდა „შხაპქვეშ“, ვიდრე მსხვერპლი ყინულის სქელი ფენით არ დაიფარებოდა. ძუძუმწოვარა ბავშვებს კი ის ფეხზე ხელს მოჰკიდებდა და ჩურჩხელასავით ამოავლებდა გაყინულ წყალში.

რომ ეტყოდნენ, რას აკეთებო, „ცოცხალ მუმიებსო“, უპასუხებდა...

...შტურმფიურერი ხაინე მოძრავ სამიზნეზე სროლით ერთობოდა, ქალს თმებით ჩამოკიდებდა ხეზე, გააქან-გამოაქანებდა და ესროდა. უფრო ხშირად კი ვილჰელმ ტელივით თავზე ჭიქას დაადგამდა ვინმეს, დაუმიზნებდა და...

მისთვის სულერთი იყო... ჭიქას მოარტყამდა თუ ადამიანს...

...სხვებიც თავისებურ გართობას იგონებდნენ: ტყვეს ერთ ფეხზე ერთი ჯგუფი მოეჭიდებოდა, მეორეზე — მეორე და მანამ ექაჩებოდნენ აქეთ-იქით, ვიდრე შუაზე არ გახლეჩდნენ...

...ერთ-ერთ ბანაკში ორმოცამდე ინგლისელი ტყვე მფრინავი მიიყვანეს... ყველა სასიკვდილოდ იყო განწირული. მათ ჯერ რკინის ჯოხებით სცემეს და მერე სასიკვდილო განაჩენიც გამოუტანეს. ერთმა ინგლისელმა ოფიცერმა ითხოვა, განაჩენი ისე მოეყვანათ სისრულეში, როგორც სამხედრო პირებს შეეფერებოდათ...

ამის პასუხად გესტაპოელებმა, პირიქით, სიზიფის მითის რაღაც თავისებური ვარიანტი გაითამაშეს.

მფრინავები ქვასატეხში ჩაიყვანეს, ასიოდე საფეხური იყო ჩასასვლელი. იქ უზარმაზარ ქვებს აჰკიდებდნენ და უბრძანებდნენ, ზევით აეტანათ. გზადაგზა მათრახებითა და რკინის ჯოხებით სცემდნენ, როგორც დანტეს შავი დემონები შოლტავდნენ მარადიული წამებისათვის განწირულ ცოდვილთ მალებოლჯეში.

როცა მფრინავი-სიზიფი დიდი ვაი-ვაგლახით უკანასკნელ საფეხურამდე მიაღწევდა, ისევ დასცხებდნენ ჯოხს, ქვას გააგდებინებდნენ და უკანვე ჩააგორებდნენ. მერე იწყებოდა თავიდან, ვიდრე უკანასკნელი მსხვერპლიც უსულოდ არ დაეცემოდა ქვასატეხის საფეხურზე...

...სხვაგან „პარაშუტისტობას“ ასწავლიდნენ საკონცენტრაციო ბანაკის „სტუმრებს“. ესესელები მიიყვანდნენ მათ ასი მეტრი სიმაღლის კლდის ნაპირას და მანამ ურტყამდნენ რკინის ჯოხებს, ვიდრე ხრამში არ გადახტებოდნენ.

ჯალათები სიცილით იხოცებოდნენ... მორიგი „პარაშუტისტი“ კი თავის რიგს უცდიდა...

...მთელმა მსოფლიომ გაიგო, თუ ნაზი აგებულებისა და სათნო გარეგნობის 21 წლის ქერა გოგონა ირმა გრეზე როგორ აგლეჯინებდა ძაღლებს ასობით ტყვეს. იგი ტუსაღებს საკუთარი ხელით ხვრეტდა, ქალებს თმებით კიდებდა ხეზე და მათ უკანასკნელ კონვულსიას უყურებდა...

...პათოლოგიის ისტორიაში ცნობილია ფრანგი მილიონერის ქალიშვილის, ვინმე მარია ჟანერეს ავადმყოფური სადისტური მიდრეკილება სხვისი ტანჯვით სიამოვნების მიღებისა. განსაკუთრებულ სიამოვნებას ჰგვრიდა მას მომაკვდავთა აგონიის ყურება. ამისთვის მიატოვა თავისი მდიდრული ოჯახი და საავადმყოფოში დაიწყო უბრალო მომვლელად მუშაობა. იგი საათობით იჯდა მომაკვდავთა სასთუმალთან და ტკბებოდა მათი ცქერით. მერე, „სიამოვნების წყარო“ რომ მოაკლდა, თვითონ დაიწყო საწამლავის მიცემა. ღამით ჩუმად მოწამლავდა ვინმეს და მისი ყურებით იკმაყოფილებდა თავის სადისტურ ჟინს...

...ეს ერთი შემთხვევა მრავალ სამედიცინო წიგნშია აღნიშნული. საკონცენტრაციო ბანაკებში კი ათასობით ასეთი მარია ჟანერეები იყვნენ. მარტო ირმა გრეზეს ანგარიშზე რამდენი ათასი უდანაშაულო ადამიანის „სასაცილო სიკვდილი“ იყო, მაგრამ...

ომი რომ დამთავრდა, შეიპყრეს, გაასამართლეს და დახვრეტა მიუსაჯეს.

მაშინ კი ატირდა „ამორძალების დედოფალი“...

...იყო უფრო „უწყინარი,“ მაგრამ „მაინც სასაცილო“ ამბებიც. პროცესზე წაიკითხეს მაუტჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკის ყოფილი ტუსაღის რიბოლ ფრედერიკის ჩვენება. იგი ყვებოდა, რომ მათთვის წყალწყალა „საჭმელი“ ორ-სამ დღეში ერთხელ მოჰქონდათ და, როცა მოიტანდნენ, მაშინაც ტუსაღების დასამცირებლად იყენებდნენ. ნარეცხის მსგავს სითხეს პირდაპირ ღარში, პირსაბანში ან ეზოს პატარა აუზში ასხამდნენ, რომლის გარშემო ოციოდე კაცი თუ ეტეოდა, იქ კი ამ დროს ორი ათასამდე ტუსაღი იყო. მათ არ ჰქონდათ კოვზები ან სხვა რამ ჭურჭელი. ისე, „ღორებივით უნდა მისეოდნენ“ აუზს, რომ რამდენიმე ყლუპი მაინც შეხვედროდათ.

როცა ეს ორი ათასი კაცი იბრძოდა აუზამდე მისაღწევად, მცველი ესესელები იდგნენ და ხარხარებდნენ...

...ნიცშეს რომ უთქვამს, „ბრაზით კი არ კლავენ, სიცილითო“, სწორედ ამის პასუხია!.. ეს „სიცილით სიკვდილიც“, ალბათ, გონების მრუშობის შედეგია, თორემ სასაცილო ისე რა უნდა ყოფილიყო ამაში? ნორმალური ადამიანის წარმოსახვა ვერც მისწვდება ამას. გოეთეს კი უთქვამს: ყველაფერზე უფრო ადამიანის ხასიათს ის ამჟღავნებს, თუ რა მიაჩნია მას სასაცილოდ. მაგრამ არც ეს არის „ორჯერ ორი ოთხის“ ჭეშმარიტება. ქართველი კაცი რომ იტყვის, „ნუ მომკალი სიცილითო“, სხვის ხუმრობაზე თვითონ იცინის და იმიტომ. იმათ კი, ვისაც საკონცენტრაციო ბანაკებში ხოცავდნენ, სიცილის თავი სად ჰქონდათ... ის კი არა, მათ ისეთი განურჩევლობა და აპათია იპყრობდა, რომ იარაღს ყრიდნენ ცხოვრების ამგვარი ულმობელი სისასტიკის წინაშე, წყვეტდნენ უაზრო ბრძოლას და მშვიდად უცდიდნენ „სასაცილო სიკვდილსა“ და კრემატორიუმს... როცა მათი რიგი მოაღწევდა, უკვე იმდენად თავმობეზრებული იყვნენ, რომ „დამშვიდებულნი და ბედთან შერიგებულნი“ ნებდებოდნენ არყოფნის მიმზიდველობას. ამიტომაც იყო, რომ სრულიად აუღელვებლად მიდიოდნენ დასახვრეტი ორმოებისაკენ. ოსვენციმის კომენდანტ რუდოლფ ჰოსის ენაზე ამას „სიკვდილის სასიამოვნო ტრანსში“ შესვლა ერქვა. რაც უფრო ღრმად იყვნენ ისინი შესული ამგვარ „ტრანსში“, უფრო „უადვილდებოდათო სიკვდილი,“ მეტადრე, თუ ამას მუსიკის აკომპანემენტიც ახლდა!

ესეც თურმე ჰუმანიზმის თავისებური სახეობაა და ბანაკის კომენდანტის „დიდსულოვნებაზე მეტყველებს!..“

## თიეზოლელთა სარეცელი...

ასეთ მდგომარეობაში ჩაყენებული ტუსაღები მართლაც ისე ეჩვეოდნენ სიკვდილზე ფიქრს, რომ ეს მათზე არც მოქმედებდა, საშინელი ის იყო მხოლოდ, როცა მთელი ოჯახი ერთად გაჰყავდათ დასახვრეტად. ამ დროს დიდებს თავიანთ პატარებზე უხდებოდათ ზრუნვა: არ გაიგონ, რაც მოელითო. საკუთარ თავზე კი უკვე აღარც ფიქრობდნენ.

პროცესზე გაოგნებული ვისმენდით, ინგლისელი ბრალმდებელი შოუკროსი რომ სახეგაფითრებული კითხულობდა გერმანელი მუშის გრაბერის წერილობით ჩვენებას. გრაბერი შემთხვევით დასწრებოდა დუბნოში „მასობრივ ეგზეკუციებს“.

— ჩემი ათისთავი და მე წავედით პირდაპირ ორმოსაკენ, — წერს იგი, — ხელი არავის შეუშლია ჩვენთვის. მერე მე გავიგონე კანტიკუნტი სროლის ხმა... ადამიანებს, რომელნიც ჩამოვიდნენ საბარგო მანქანებიდან, მათ შორის, მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს, შეიარაღებული ესესელების ბრძანებით მათრახებითა და შოლტებით აიძულებდნენ, გაეხადათ ტანისამოსი და ერთ ადგილას დაელაგებინათ: ფეხსაცმელები — ცალკე, თეთრეული — ცალკე, კაბები და კოსტიუმებიც — ცალკე.

მე დავინახე ფეხსაცმელების მთელი გროვა, დაახლოებით 800-1000 წყვილი, უამრავი ტანისამოსი და თეთრეული. გაშიშვლებული ხალხი ჯგუფ-ჯგუფად, მთელი ოჯახებით, იდგნენ ისე, რომ არც ყვიროდნენ, არც ტიროდნენ, კოცნიდნენ ერთმანეთს, ეთხოვებოდნენ და უცდიდნენ ნიშანს ესესელისას, რომელიც ორმოსთან იდგა მათრახით ხელში. 15 წუთის განმავლობაში, რაც მე იქ ვიდექი, არ გამიგონია შეწყალების არცერთი თხოვნა. ვუყურებდი ოჯახს, რომელიც 8 სულისაგან შედგებოდა: კაცები და ქალები დაახლოებით 50 წლისანი ჩანდნენ, ბავშვები — რვიდან ათამდე და ორი მოზრდილი ქალიშვილიც — ასე ოცი-ოცდაერთი წლისა. თოვლივით თეთრთმიან მოხუც ქალს ხელში ეჭირა ერთი წლის ძუძუმწოვარა ბავშვი, რომელსაც დაბალი ხმით უმღეროდა და ეთამაშებოდა. ბავშვი სიამოვნებისაგან ტიტინებდა. მშობლები შესცქეროდნენ მას და თვალებიდან ცრემლი სდიოდათ. მამას ხელი მოეკიდა 10 წლის ბიჭისათვის და რაღაცას ეჩურჩულებოდა. ბავშვი ცრემლს ებრძოდა. მამას უნდოდა, შვილის ყურადღება მოეწყვიტა იმ საშინელებისაგან, რაც გარშემო ხდებოდა და ცაზე უჩვენებდა რაღაცას, თან თავზე ხელს უსვამდა და ეფერებოდა.

ამ დროს ორმოსთან მდგომმა ესესელმა, „შემდეგიო“, დაუძახა თავის მეგობარს. ამან ოცი კაცი გადათვალა და უბრძანა, ორმოსაკენ წასულიყვნენ. მათ შორის იყო ის ოჯახი, რომელზედაც გეუბნებოდით. მე დამამახსოვრდა კოხტა ტანის შავთმიანი გოგონა, რომელმაც გვერდით ჩამიარა, თავის თავზე მიმითითა და მითხრა: „ოცდასამი“. ვერაფრით ვერ მივხვდი, რას ნიშნავდა ეს. იქნებ უნდოდა ეთქვა, მეოცე კი არა ვარ, არამედ ოცდამესამე, ე.ი. ურიგოდ მივდივარო!

მერე მივუახლოვდი ორმოს და უზარმაზარი საფლავის წინაშე აღმოვჩნდი. ადამიანები ერთმანეთზე ეყარა ისე, რომ მხოლოდ თავები ჩანდა. თავიდან მხრებზე თითქმის ყველას სისხლის ზოლი ჩამოსდიოდა. ზოგი ჯერ კიდევ ინძრეოდა, ზოგიც ხელს წევდა და თავს აბრუნებდა, რათა ეჩვენებინა, ცოცხალი ვარო, და ითხოვდა, კიდევ მესროლეთო.

ცოცხლად დამარხვის ეშინოდათ და იმიტომ.

მე რომ მივედი, ორმოს სამი მეოთხედი უკვე ამოვსებული იყო. ჩემი ანგარიშით, იქ ათასამდე კაცი იქნებოდა ჩაყრილი. მე თვალით დავუწყე ძებნა კაცს, ვინც მათ ხვრეტდა. ეს იყო ესესელი, რომელიც იჯდა ორმოს ნაპირას, ფეხები პირდაპირ თხრილში გადაეყო, მუხლებზე გამზადებული ავტომატი ედო, თვითონ კი სიგარას ეწეოდა. გატიტვლებული ადამიანები ჩადიოდნენ ორმოში ჩაჭრილი საფეხურებით და მიფოფხავდნენ მკვდრებს შორის. ან გადადიოდნენ მათ გვამებზე, რომ იმ ადგილისათვის მიეღწიათ, რომელსაც ესესელი უჩვენებდა.

მერე წვებოდნენ ადრე დახვრეტილი ან დაჭრილი მეზობლების გვერდით და იცდიდნენ. ზოგიერთი მათგანი ეალერსებოდა იმათ, ვინც დაჭრილი, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მერე მე გავიგონე ავტომატის ხმა. ჩავიხედე ორმოში და ვნახე, როგორ იკრუნჩხებოდნენ და ფართხალებდნენ ისინი...

გაოცებული ვიყავი იმით, რომ არავინ დამიყვირა, მოვშორებოდი იქაურობას. ისიც ვნახე, იქვე სამი ფოსტალიონი რომ იდგა ფორმებში. ისინიც უყურებდნენ ამ სურათს.

ამასობაში ახალი ჯგუფი მოახლოვდა და ყველანი მშვიდად ჩავიდნენ ორმოში. მე ვნახე, ჯერ მამა როგორ ჩაუყვა კიბეს, დედამ კი სამი პატარა ბავშვი ჩააწოდა მას და მერე თვითონაც ჩავიდა. ისინი წვებოდნენ იმათ გვერდით ან პირდაპირ მათზე, ვინც ადრე დაეხვრიტათ და... ელოდნენ...

ავტომატის ხანგრძლივმა კაკანმა შეწყვიტა ეს ლოდინი...

მერე ახალი საბარგო მანქანა მოვიდა. ეს მოხუცები იყვნენ. ერთი ისე ბებერი იყო, რომ სხვებმა გახადეს და წაიღეს ორმოსაკენ...

...როცა ეს სიტყვები გაისმოდა დარბაზში, სამარისებური სიჩუმე იდგა. ხანდახან თუ გაიჭრიალებდა კარები კორესპონდენტთა გალერეაზე: სუსტნერვებიანები ნელ-ნელა იპარებოდნენ დარბაზიდან, ბრალდებულები თავჩაქინდრული ისხდნენ... კალტენბრუნერს გაქვავებული სახე ჰქონდა, ზაუკელს წარბები უცახცახებდა, ფრიჩე ტუჩებს იკვნეტდა, გერინგს თავი ხელებში ჩაერგო, შირახი წამწამებს იწიწკნიდა, ფრანკი და როზენბერგი რაღაც დოკუმენტებს ჩასჩერებოდნენ, ვითომ არ ვისმენთო, ჰესი წიგნს კითხულობდა...

ტრიბუნალის თავმჯდომარე ლოურენსს სახეზე ჭაობისფერი დასდებოდა, თავი ძირს დაეხარა და ყბები უცახცახებდა.

შოუკროსმა კი ხელი ბრალდებულებისაკენ გაიშვირა და უდაბნოში მღაღადებლის ხმით წარმოთქვა:

— აი, ნაძირალები, რომლებმაც ეს ჩაიდინეს!..

მერე ის იყო, გოეთეს სიტყვები რომ წაიკითხა: „ერთხელაც იქნება, განგება დასჯის გერმანელ ხალხსო“... და სხვა. იგი გამანადგურებელი პირდაპირობით ამხილებდა ბრალდებულთა გაუგონარ ბოროტმოქმედებას, თანაც, ისეთი რკინის ლოგიკითა და საბუთიანობით, რომ თავისივე ცოდვებით შეძრწუნებულმა „პოლონელთმჟლეტმა“ ფრანკმა ვეღარ მოითმინა, ფეხზე წამოვარდა და იყვირა:

— ო, ეს წყეული ინგლისელები!..

გოლიათმა პოლიციელმა მხრებში ჩაავლო მას ხელი და ძალით დასვა თავის ადგილზე.

შოუკროსმა კი ასე დაამთავრა გამოსვლა:

— გახსოვდეთ სცენა, მამას რომ ხელი ზეცისაკენ ჰქონდა აღმართული და რაღაცას ეჩურჩულებოდა სასიკვდილოდ განწირულ შვილს...

...ხალხს ნერვები ისე დააწყდა, რომ უკვე ვეღარც არჩევდნენ, სინამდვილეს ყვებოდნენ თუ კოშმარულ სიზმრებს. ნეტავი იმათ კი რა ნერვები ჰქონდათ, ვინც ასე მშვიდად ჩადიოდა მთელი ოჯახიანად იმ ორმოში და წვებოდა მოკლულების გვერდით ან პირდაპირ მათზე, როგორც დანტე ალიგიერის მიერ აღწერილი თიეზოლეინი, „თვის მსგავსთა გვამებს სარეცლად რომ იგებდნენ“ და „ქედმოდრეკით ეძლეოდნენ უდრტვინველ ვარამს“..

...სხვა რა შეიძლება აქ კაცმა თქვას, თუ არა ისევ იმ ფლორენციელი ბრძენის სიტყვები:

— თვით შიშის ზარი მათში იღებს სურვილის სახეს!..

გაგრძელება შემდეგ ნომერში





დახაუს საკონცენტრაციო ბანაკის მსხვერპლნი



სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www.asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www.facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

*გასულ კვირას „ტვ პირველის“ კორესპონდენტ რუსუდან დუმბაძეს ცოტა დააკლდა, რომ პირდაპირ ეთერში სიმართლე ეთქვა და საერთაშორისო ლიბერალური მედიისათვის, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში გამეფებული ლიბერალური ავტორიტარიზმის ერთ-ერთ ყველაზე მკაფიო სახე-ხატს წარმოადგენს, ნამდვილი სახელი — ავტორიტარული მედია ეწოდებინა.*



## „ტვ პირველის“ კორესპონდენტს კინაღამ სიმართლე წამოსცდა და ლიბერალურ საერთაშორისო მედიას კინაღამ ავტორიტარული მედია უწოდა!

# „ტვ პირველის“ კორესპონდენტს უნდოდა, რომ სიმართლე ეთქვა!

საქმე ის არის, რომ 2024 წლის 25 სექტემბერს „ტვ პირველის“ საინფორმაციო გამოშვება „პირველებში“ პირდაპირი ჩართვისას **კორესპონდენტ დუმბაძეს** ენა დაება:

> *„გავლენიანი საერთაშორისო გამოცემები, ავტორიტ... ავტორიტულ... ტე... ავტორიტეტული გამოცემები საუბრობენ სწორედ ირაკლი კობახიძის შესახებ და ამბობენ, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი არ მიიწვიეს ბაიდენის სადილზე“.*

ცოტაც და, კორესპონდენტი დუმბაძე იტყოდა — **საერთაშორისო ავტორიტარული გამოცემებიო...**

ცოტაც და, „ტვ პირველის“ ჟურნალისტს სიმართლე წამოსცდებოდა!

**მაინც რას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ „ტვ პირველის“ კორესპონდენტმა კინაღამ სიმართლე თქვა და ლიბერალურ საერთაშორისო მედიას კინაღამ ავტორიტარული მედია უწოდა?**

ეს ფაქტი „ტვ პირველის“ კორესპონდენტის სამეტყველო აპარატის წამიერ ხარვეზად უნდა ჩავთვალოთ, მისი ქვეცნობიერის ამოძახილად მივიჩნიოთ თუ იმას დავაბრალოთ, რომ ნაცლიბერალური ტელეარხების ჟურნალისტები, **ბაიდენის ვახშამზე კობახიძის არდაპატიჟების გამო,** სიხარულისგან არიან აჟიტირებული?

კი, კოლექტიური ნაცმოძრაობის ტელეარხები აშკარად ხარობენ, რომ ამერიკის პრეზიდენტმა საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ვახშამზე ჯერ მიიწვია და მერე აღარ მიიწვია!**

კი, კოლექტიური ნაცმოძრაობის ტელეარხები სულაც არ თვლიან, რომ **ბაიდენის ვახშამზე** საქართველოს მთავრობის მეთაურის მიწვევა და მერე მიწვევის გაუქმება „ქართული ოცნების“ კი არა, ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის დამცირებას ნიშნავს, რადგან **ირაკლი კობახიძე** ქართველი ხალხის გადამწყვეტი უმრავლესობის მიერ ზედიზედ 8 არჩევნებში ნდობაგამოცხადებული ხელისუფლების პრემიერ-მინისტრია და არა — ამერიკაში ტურისტად ჩასული კერძო პირი!

კი, კოლექტიური ნაცმოძრაობის ტელეარხებიც იმავე პრინციპით მოქმედებენ, რომლითაც კოლექტიური ნაცმოძრაობა ხელმძღვანელობს — **„რაც უარესი საქართველოსთვის, მით უკეთესი ჩვენთვის!“**

შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ **„ტვ პირველის“ კორესპონდენტს, რომელსაც პირდაპირ ეთერში კინაღამ „საერთაშორისო ავტორიტარული მედია“ წამოსცდა,** ენა სწორედ იმ სიხარულმა და ეგზალტაციამ დაუბა, რომელმაც მთელი ნაცმედია მოიცვა მას შემდეგ, რაც ბაიდენის ადმინისტრაციამ საქართველოს ხელისუფლება, ქართული სახელმწიფო და ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილი მეტად მდაბიო და ვულგარული ჟესტით — პრემიერ კობახიძის ვახშამზე არმიწვევით შეურაცხყო.

თუმცა, მოდით, ვიყოთ ოპტიმისტები და თეორიულად დავუშვათ, რომ **„ტვ პირველის“ ახალგაზრდა კორესპონდენტი რუსუდან დუმბაძე** მთლად ბოლომდე **ნოდარმელაძირებული** არ არის, ნაცტელევიზიაში მუშაობის მიუხედავად, პატრიოტიზმისა და ეროვნული ღირსების განცდა შერჩენია, აცნობიერებს, რომ ბაიდენის ადმინისტრაცია კობახიძეს კი არა, ქართულ სახელმწიფოს მოექცა უდიერად და **ამის გამო სურდა, პირდაპირ ეთერში სიმართლე ეთქვა,** ანუ საერთაშორისო ლიბერალური მედიისათვის მისი ნამდვილი სახელი — **ავტორიტარული მედია** დაერქმია.

მართალია, „ტვ პირველის“ კორესპონდენტმა ნავსი მაინც ვერ გატეხა, პრეცედენტი ვერ შექმნა და სიმართლე ბოლომდე ვერ თქვა, მაგრამ ეს არანაირად არ ცვლის იმ მოცემულობას, რომ დღევანდელი საერთაშორისო მედიის უდიდესი ნაწილი, რომელიც ნეოლიბერალური კვაზიიდეოლოგიის სამსახურში დგას, სწორედ **ავტორიტარული მედიაა.**

დიახ, საერთაშორისო მედიის უდიდესი ნაწილი — გაზეთი იქნება, ტელევიზია, ინტერნეტგამოცემა თუ სოციალური ქსელი — დღეს უმკაცრესი **ლიბერალური ცენზურის** ქვეშ იმყოფება, პირწმინდად **ავტორიტარულ სარედაქციო პოლიტიკას** აწარმოებს და არ აჭაჭანებს განსხვავებულ აზრს, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირის სივრცეში გაბატონებულ ნეოლიბერალურ დღის წესრიგს ეწინააღმდეგება.

საერთაშორისო მედიაში გამეფებული ლიბერალური ავტორიტარიზმის ქრესტომათიული მაგალითია ის, რაც ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილ პრეზიდენტს **დონალდ ტრამპს** 2020 წელს გაუკეთეს, როცა სამივე მსხვილ სოციალურ ქსელში — **„ფეისბუქში“, „ტვიტერსა“ და „ინსტაგრამზე“** ყველა ანგარიში დაუბლოკეს, ყველა განცხადება წაუშალეს და ყველა ვიდეომიმართვა გაუქრეს, რადგან ბაიდენსა და დემოკრატიულ პარტიას საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბებაში ადანაშაულებდა.

ლიბერალური ავტორიტარიზმის მთავარი შემოქმედი — ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება, სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ ადმინისტრაციაზე ზეწოლას რომ ახდენდა და მილიონობით ადამიანს სიტყვის თავისუფლებას უზღუდავდა, ეს ცოტა ხნის წინათ თავად „ფეისბუქის“ შემქმნელმა, კომპანია „მეტას“ დამფუძნებელმა და აღმასრულებელმა დირექტორმა **მარკ ცუკერბერგმა** აღიარა. მან აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარეს წერილი მისწერა, რომელშიც აღნიშნავს, რომ კოვიდპანდემიის დროს ის და მისი გუნდი პრეზიდენტ ბაიდენის ადმინისტრაციის მხრიდან ზეწოლას განიცდიდნენ.

კერძოდ, **ცუკერბერგი აცხადებს, რომ 2021 წელს მას ბაიდენის ადმინისტრაციის მაღალჩინოსნები დაუკავშირდნენ და მოსთხოვეს, რომ „ფეისბუქზე“ ცენზურა დაეწესებინა კოვიდ 19-თან დაკავშირებული ყველა კონტენტისათვის, იუმორისა და სატირის ელემენტების შემცველი ინფორმაციის ჩათვლით.**

— მჯერა, რომ მთავრობის ზეწოლა არასწორი იყო და ვნანობ, რომ ამაზე უფრო ადრე და გულახდილად არ ვისაუბრე, — წერს **ცუკერბერგი** აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატისათვის გაგზავნილ წერილში და იქვე აღიარებს, რომ „ფეისბუქსა“ და მისი კომპანიის საკუთრებაში არსებულ სხვა პლატფორმებზე დაბლოკა ინფორმაცია, რომელიც **ჯო ბაიდენის შვილს ჰანტერ ბაიდენს** ნარკოტრაფიკსა და პროსტიტუციასთან დაკავშირებულ დანაშაულებში ამხელდა.

საერთაშორისო მედიაში ლიბერალური ავტორიტარიზმის მძვინვარების მკაფიო ნიმუშია ამერიკულ ტელეარხ „ფოქს ნიუსიდან“ ყველაზე რეიტინგული, სუპერპოპულარული და ავტორიტეტიანი ტელეწამყვანის — **ტაკერ კარლსონის** გაგდება იმის გამო, რომ იგი ბაიდენის ადმინისტრაციის პოლიტიკას აკრიტიკებდა და, მათ შორის, უკრაინის ომის შესახებ საუბრობდა და აჩვენებდა იმას, რასაც „სი-ენ-ენი“, „ბი-ბი-სი“ და სხვა მსხვილი ტელევიზიები მსოფლიოს უმალავენ.

**ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირში გამეფებული ლიბერალური ავტორიტარიზმი თავისუფალ სიტყვასა და განსხვავებულ აზრს ზუსტად ისე დევნის, როგორც ამას გასულ საუკუნეში ფაშისტური და ბოლშევიკური რეჟიმები აკეთებდნენ,** უბრალოდ, დღეს, 21-ე საუკუნეში ცენზურის მეთოდები ოდნავ უფრო დახვეწილია.

თანამედროვე ლიბერალური ავტორიტარიზმის ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენსა და ინსტრუმენტს კი საერთაშორისო **ავტორიტარული მედია წარმოადგენს!**

**„ტვ პირველიც“,** რომლის კორესპონდენტსაც პირდაპირ ეთერში კინაღამ სიმართლე წამოსცდა, **ავტორიტარული მედიაა!**

შეიძლება, **„ტვ პირველის“ კორესპონდენტს** სიმართლის თქმა უნდოდა, მაგრამ ბოლო მომენტში დაამუხრუჭა, რადგან თავადაც კარგად იცის, რომ **ავტორიტარულ მედიაში** მუშაობს და ლიბერალური **ავტორიტარიზმი** სიმართლის თქმას არ აპატიებდა!




**ლიბერალური ავტორიტარიზმი,** თავისი **ავტორიტარული მედიით,** ერთ-ერთი ყველაზე მახინჯი და ამაზრზენია მმართველობის იმ ფორმებს შორის, რასაც კაცობრიობა აქამდე მოსწრებია!

ჯაბა ხუბუა

*დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2024 წლის №30-40*



# ლაზარე ჯორბენაძე: გია ხუხაშვილი, როგორც აგენტი, ბიძინა ივანიშვილს ზურაბ ადეიშვილმა შეუგზავნა, მან კი ივანიშვილს გიორგი გახარია მიუყვანა!

***უფლებადამცველი ლაზარე ჯორბენაძე იმ აგენტურას ამხელს, რომელიც ავადსახსენებელი სააკაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის დავალებით, 2011 წლიდან მოყოლებული, ბიძინა ივანიშვილის გარემოცვაში ჩანერგეს:***







— ფაშისტური და ლგბტ პროპაგანდა ეფუძნება ცნობილ პრინციპს — **მიზანი ამართლებს საშუალებას“,** ხოლო მართლმადიდებლური ცხოვრების წესი და მორალი ძალიან მარტივად ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ — **რასაც შენს თავს არ აკადრებ, ის სხვასაც არ უნდა აკადრო!** ამ პრინციპიდან გამომდინარე, მამუკა ხაზარაძე ყოველგვარი მორალისგან დაცლილი პიროვნებაა, რადგან არ არსებობს ბოროტება და სიბინძურე, რომელიც მას, როგორც შევარდნაძისა და სააკაშვილის კარის ბიზნესმენს, არ ჩაუდენია.

**რასაც ახლა ვიტყვი, ამის თქმას ასე საჯაროდ ვერვინ ბედავს, მაგრამ მოგახსენებთ, სინამდვილეში საიდან და როგორ შეიქმნა ხაზარაძე, როგორც მილიარდერი!**

**— მამუკა ხაზარაძე მილიარდერია?**

— რა თქმა უნდა, **მამუკა ხაზარაძე** მილიარდერია, მაგრამ ეს არ ჩანს. დავიწყოთ იმით, რომ მან ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერის — **მერაბ კოსტავას** წინააღმდეგ ძალა გამოიყენა. მართალია, **ხაზარაძე** ამ ფაქტს კატეგორიულად უარყოფს, მაგრამ ამის შესახებ ყველამ კარგად იცის. ის მაშინ არავინ იყო, „გეპეის“ მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი გახლდათ, მაგრამ **მერაბ კოსტავაზე** ძალის გამოყენების ფაქტმა გზა გაუხსნა კარიერული წინსვლისათვის, უფრო სწორად, მისი პერსონით პარტნომენკლატურა დაინტერესდა და ე.წ. სომხური ლობის წევრი გახდა!

**— ვიცოდი, რომ „სომხური ლობი“, ძირითადად, ამერიკაში საქმიანობდა და ეს ორგანიზაცია თბილისშიც მოქმედებს?**

— (იცინის) **სომხური ლობი** თბილისში მოქმედებს თუ მოქმედებს! ე.წ. **თემურ ჭყონია,** ე.წ. **ჭუტა წერეთელი,** ე.წ. **მამუკა ხაზარაძე** და არაერთი „ქართველი“ ბიზნესმენი სწორედ **სომხური ლობის** წევრები არიან, რომელიც თბილისში ვითომდა ქართველი, ძირითადად, ე.წ. **თბილისელი ბიზნესმენების** საფარქვეშ მოქმედებს. ეს არის უმსხვილესი ფინანსური კარტელი, რომელიც საქართველოში უზარმაზარ ფულს ფლობს. **მამუკა ხაზარაძის „თიბისი ბანკი“** სომხურმა ლობმა საქართველოში ფულის გასაკონტროლებლად შექმნა, რათა ფინანსები ეროვნულ, ქართულ საქმეს არ მოხმარდეს! პარალელურად, „თიბისი ბანკი“ კომუნისტების დროს არსებული ე.წ. ლევი ფულის გასაოფიციალურებლად დააფუძნეს. **ხაზარაძემ,** შევარდნაძის ხელდასხმით, სწორედ **„ლევი ფულის“** ტრიალით იშოვა ასეულობით მილიონი და მილიარდი და არა იმ 500 დოლარით, რის შესახებაც ამდენი წელია, ზღაპრებს გვიყვება.

დიდი ოდენობით **„ლევი ფულის“** უკან ყოველთვის იდგა სახელმწიფო. შესაბამისად, **მამუკა ხაზარაძესაც** ყოველთვის იდეალური ურთიერთობა ჰქონდა **ედუარდ შევარდნაძესთან** და, განსაკუთრებით, „რკინის კაცთან“ — **კახა თარგამაძესთან.** ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ბიძინა ივანიშვილის** უზარმაზარი ფინანსური შესაძლებლობები საქართველოში წარმოადგენს **„სომხური ლობის“** კონკურენტს. **სწორედ ეს არის მიზეზი, რომ მამუკა ხაზარაძე და „სომხური ლობის“ დანარჩენი ფიგურანტები — ე.წ. ქართველები თუ მათი უცხოელი მფარველები, ბიძინა ივანიშვილის გასანადგურებლად ასე გამალებით იბრძვიან და მის დასანქცირებას ლამობენ!**

**— მამუკა ხაზარაძეს სააკაშვილთანაც იდეალური ურთიერთობა ჰქონდა!**

— ექნებოდა, რადგან ორივე — **სააკაშვილიც და ხაზარაძეც — „სომხური ლობის“ პირმშოა.** მოკლედ, **„სომხური ლობის“** მიერ შექმნილი **მამუკა ხაზარაძის „თიბისი ბანკი“** შევარდნაძისა და სააკაშვილის მიერ იყო ხელდასხმული, რათა უმაღლესი პროცენტებით ეძარცვათ ქართველი ხალხი. **ხაზარაძეს** ათეულათასობით ქართველი ჰყავს ბინიდან გამოსახლებული და ამ ქონებებს ხუთმაგ ფასში სხვებზე ან ქონების ძველ პატრონებზე ყიდის. სხვისი ქონების მიტაცების აღსრულების სისტემაც ხაზარაძეს სააკაშვილმა მოუწყო, რადგან ამ უზარმაზარი შავი ფულის ბრუნვის უკან სახელმწიფო იდგა და დგას. თუ არა ხელისუფლების პირდაპირი ან ირიბი თანხმობა, ხალხის მასობრივად ძარცვა-გლეჯას მამუკა ხაზარაძესავით ვერავინ შეძლებს. მაგალითად, „ელიტ ელექტრონიქსის“ მეპატრონე, ბიზნესმენი **ანზორ ქოქოლაძე** ჯერ დაიჭირეს, ხოლო შემდეგ **მამუკა ხაზარაძის** „თიბისი ბანკის“ მეშვეობით კაცს წარმატებული ფირმა წაართვეს და იმდენ ვინმეზე გადააფორმეს, ბოლოს მთელ ამ ბიზნესს **ბიბი უზულავა** აკონტროლებდა. მაგალითისთვის გავიხსენებ კიდევ ერთ ფაქტს: **ნიკა გილაურის** პრემიერ-მინისტრობის დროს **სააკაშვილმა და გილაურმა** „საქართველოს ბანკის“ სახელით გამოსცეს 500 მილიონი დოლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდები, რომელიც ლონდონის საფონდო ბირჟაზე განათავსეს. ამის შესახებ ატეხეს დიდი პიარ-კამპანია — აი, რა მაგრები ვართ, ლონდონის საფონდო ბირჟაზე რა დავატრიალეთო! **ის 500 მილიონი დოლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდები სააკაშვილმა და გილაურმა დააზღვიეს სახელმწიფო გარანტიით, რომელიც გაყიდეს და ფული ჯიბეში ჩაიდეს, კერძოდ, უკრაინაში „საქართველოს ბანკის“ ფილიალი დააარსეს, ანუ ამ ფულით სააკაშვილმა საკუთარი თავი დაიზღვია, რათა უკრაინაში ჩასვლის შემდეგ ეგრიალა და ფული ჰქონოდა.**

ამ მაქინაციიდან ექვსი თვის შემდეგ ნიკა გილაური პრემიერ-მინისტრობიდან გადადგა და „საქართველოს ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გახდა, ანუ **სააკაშვილმა და ნიკა გილაურმა** 500 მილიონი დოლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდები ბიუჯეტს დააფინანსებინეს და მოიპარეს. იმ 500 მილიონ დოლარს, როგორც ვალს, საქართველოს სახელმწიფო დღემდე იხდის! ასევე „სდელკის“ გაკეთება სურდათ **მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს** ანაკლიაში, სადაც მილიარდ-ნახევარ დოლარზე ითხოვდნენ სახელმწიფო გარანტიას. **ანაკლიის პორტის მშენებლობა იმიტომ კი არ ჩაიშალა, რომ სახელმწიფომ რამე არ შეასრულა, პირიქით, სახელმწიფომ ყველა პირობა შეასრულა და ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს ექვსჯერ გადაუწია აღებული ვალდებულების შესრულების დრო, მაგრამ ხაზარაძემ და ჯაფარიძემ 400 მილიონი დოლარი კი არ მოიძიეს, არამედ მოითხოვეს — მილიარდნახევრიანი გარანტია მოგვეცით, ჩვენ ამ მილიარდ-ნახევარს ინვესტორებისგან ვისესხებთ და ამით ავაშენებთ პორტსო!** სინამდვილეში ჩანაფიქრი ასეთი იყო: ამ მილიარდ-ნახევარ დოლარს **ხაზარაძე და ჯაფარიძე** ჯიბეში ჩაიდებდნენ, როგორც ეს **სააკაშვილმა და გილაურმა** ქნეს და ვალს სახელმწიფოს აჰკიდებდნენ! ასე რომ, „ანაკლიის კონსორციუმი“ იყო საუკუნის აფერა, რომელსაც **მამუკა ხაზარაძე** საქართველოს უჩალიჩებდა და მილიარდ-ნახევარი დოლარის გახაზირებას გეგმავდა! რამდენი ბიზნესმენისთვის აქვს **მამუკა ხაზარაძეს** სააკაშვილის ხელდასხმით წართმეული ქონება ღამის 3-4 საათზე, ღმერთმა უწყის! თუმცა, **ზურაბ ადეიშვილი** ისეთი სატანა იყო, ყველა ამ შემთხვევაზე ცალ-ცალკე აქვს აღძრული სისხლის სამართლის საქმე!

**— მერედა, დღეს სად არის ეს საქმეები?**

— ყველა ეს საქმე გენერალურ პროკურატურაში თაროზეა დალაგებული, მაგრამ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება არცერთს არ იძიებს!

**— რატომ არ იძიებს?**

— იმიტომ არ იძიებს, რომ ის **მაღალი თანამდებობის პირები, რომლებიც მამუკა ხაზარაძის მიერ ქონებების უკანონოდ წართმევა-წაგლეჯაში მონაწილეობდნენ, როგორც პროკურორები და მოსამართლეები, დღეს სულ მაღალ თანამდებობაზე არიან!** ბრალი წაუყენონ — შენ ეს ქონება უკანონოდ გაქვს მიტაცებულიო! — **ხაზარაძე** მაშინვე მოაღებს პირს და ხელს სასამართლოსა და პროკურატურისკენ გაიშვერს — თქვე ოხრებო, აგერ სასამართლოსა და პროკურატურის დადგენილებით არის ეს ქონება წართმეული და თუ მე მიჭერთ, მაშინ ეს მოსამართლეებიც და პროკურორებიც დაიჭირეთო! ეგრეა, **როცა ერთ დამნაშავეს ურიგდები, დანარჩენ დამნა-**







## „ე.წ. თემურ ჭყონია, ე.წ. ჭუტა წერეთელი, ე.წ. მამუკა ხაზარაძე და არაერთი „ქართველი“ ბიზნესმენი „სომხური ლობის“ წევრები არიან!“

**შავეებთანაც გარიგებული გამოდიხარ!** აი, ამიტომაა დღეს **ხაზარაძე** ხელშეუხებელი...

**— მაგრამ ხაზარაძე მაინც გაასამართლეს და ხანდაზმულ თაღლითად გამოაცხადეს...**

— ისეთი მარტივი და თაღლითური ოპერაცია, რის გამოც **მამუკა ხაზარაძე** გაასამართლეს, მაგას ასჯერ მაინც ექნება ჩატარებული! რაც **მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ** ჩაიდინეს, ეს ფულის გათეთრების კლასიკური ფორმაა. კერძოდ, ბანკიდან ვინმეს აძლევ სესხს და მერე ამ სესხს ოფიციალურად აღარ ითხოვ. სამაგიეროდ, მსესხებელი უკან გიბრუნებს ამ ფულს, რომელიც სესხის დაფარვაში აღარ ტარდება და ბანკში **„ლევი ფული“** შედის. ახლა დაისმის კითხვა — მაინც რატომ გაასამართლეს **ხაზარაძე და ჯაფარიძე?** ისინი, როგორც შევარდნაძისა და სააკაშვილის კარის სხვა ბიზნესმენები, ცდილობდნენ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებასთან გარიგებას, მაგრამ სააკაშვილს არ გაემიჯნენ, რამაც საქმე არია!

**— რატომ?**

— **სააკაშვილსა და მამუკა ხაზარაძეს** ერთად ძალიან ბევრი სიბინძურე აქვთ ჩადენილი! მამუკას სააკაშვილზე ერთი ცუდიც რომ ეთქვა, ნაცები მაშინვე ხურდას დაუბრუნებდნენ. ამის შიშით მამუკა ხაზარაძემ სააკაშვილს ვერაფერი დააბრალა, რამაც „ქართულ ოცნებასთან“ გარიგებაში ხელი შეუშალა. **ანაკლიის პორტის მშენებლობა, რომლის ტენდერშიც, გიორგი კვირიკაშვილის პრემიერ-მინისტრობის დროს, მამუკა ხაზარაძეს გაამარჯვებინეს, სწორედ გარიგების მცდელობა იყო...**

**— მაინც ვინ მფარველობდა მამუკა ხაზარაძეს სააკაშვილის დროს?**

— **მამუკა ხაზარაძის** ფინანსურ მაქინაციებს **ვანო მერაბიშვილი და ზურაბ ადეიშვილი** „კრიშავდნენ“! მაგალითად, **ადეიშვილის** მითითებით, საქართველოს პროკურატურა მიტაცებულ ქონებებს **ხაზარაძის „თიბისი ბანკს“** უფორმებდა, ხოლო **ხაზარაძე** მერე ამ ქონებებს ყიდდა და თანხა ქვეყნიდან სულ სხვა მიმართულებით, **სააკაშვილისა და ადეიშვილის** კომპანიებში გაედინებოდა! მაგალითად, სააკაშვილის რეჟიმმა შექმნა **„სამართლებრივი სისტემის განვითარების ფონდი“,** რომელსაც ანგარიშები სწორედ **„თიბისი ბანკში“** ჰქონდა. სააკაშვილისა და მისი ჯალათების მიერ ნაცემ, ნაგვემ და ქონებაწართმეულ დიდი ფულის პატრონ ბიზნესმენებს ფულს „ლევად“ არიცხვინებდნენ ამ ფონდში და მერე ეს მილიონები სააკაშვილისა და ადეიშვილის ჯიბეში მიედინებოდა! პირადად მე, როცა ადვოკატი ვიყავი, ჩემი კლიენტებისთვის **„სამართლებრივი სისტემის განვითარების ფონდში“** არაერთხელ ჩამირიცხვინებია დიდი თანხები. ცხრა წლის განმავლობაში იმ ფონდში მხოლოდ მე „ლევად“ ჩარიცხული მაქვს დაახლოებით მილიონ ექვსასი ათასი ლარი... იმ უბინძურესი სისტემის ყველაზე პატარა ჭანჭიკი ვიყავი და ხომ წარმოგიდგენიათ, რა თანხები ექნებათ სააკაშვილის ყაჩაღურ ფონდში ჩარიცხული ზურაბ ადეიშვილთან გარიგებული და შეკრული ადვოკატის **ზვიად კორძაძის** ან სხვების კლიენტებს?

**— ადვოკატი ზვიად კორძაძე ავადსახსენებელ ზურაბ ადეიშვილთან იყო შეკრული?**

— სააკაშვილის დროს ყველა ცნობილი ადვოკატი **ადეიშვილის პროკურატურასთან და დათა ახალაიას კუდთან** იყო შეკრული. ვისაც დღეს საადვოკატო საქმიანობით დიდი ფული აქვს ნაშოვნი, ეს ფული ყველას მიღებული აქვს **სააკაშვილის რეჟიმისგან!**

# „მარგველაშვილი, როგორც მაღალი დაშიფვრის აგენტი და ამერიკული ცერეუს ხელისბიჭი, ბიძინა ივანიშვილთან შეგზავნილი იყო!“







**„ამერიკის საელჩოს ხელდასხმით, ბიძინა ივანიშვილთან შეგზავნილი იყო ირაკლი ალასანიაც, რომელიც ინფორმაციას სააკაშვილის „ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს“ აწვდიდა!“**

**— და ამავდროულად კუდის აგენტიც არის?**

— რა თქმა უნდა! ყველა ცნობილი ადვოკატი — **ზვიად კორძაძე, გიორგი ყავლაშვილი** და სხვები, ადეიშვილის „ლიუბიმჩიკები“ და კუდის აგენტები იყვნენ! **აბა, ისე ფულს ვინ გაშოვნინებდა?!**

**— ეკა ბესელიაც?**

— ეს ქალი სამართლებრივ სივრცეში სპეციალური მოვლენაა, რომელიც ყველა ხელისუფლებასთან იყო გარიგებული. **ეკა ჩემი კურსელია და ჩემზე უკეთ ვინ იცნობს?!** საერთოდ, იცოდეთ: ადვოკატების მონაწილეობის გარეშე იმ დახურულ ანგარიშებზე, სადაც სააკაშვილისთვის ხარკი იკრიფებოდა, თანხა ვერ მოხვდებოდა! თქვენ გგონიათ, ადეიშვილი საქმეებს არ იძიებდა? იგი ყველა უკანონობას, მათ შორის, პირველ რიგში, თანაგუნდელთა დანაშაულებს იძიებდა და თაროებზე ალაგებდა, რათა ყველანი დაეშანტაჟებინა, ფული წაერთმია და მორჩილებაში ჰყოლოდა! **ეს საქმეები რომ „ქართულ ოცნებას“ გამოეძიებინა, მაშინვე გამოჩნდებოდა, სააკაშვილის დროს ვის რა ქონებები გადაუფორმეს და საზღვარგარეთ, ოფშორებში, რა თანხები იქნა გადაქაჩული.** მამუკა ხაზარაძე რისთვისაც გაასამართლეს, ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, სინამდვილეში რისთვისაც უნდა გაესამართლებინათ! **მამუკა ხაზარაძემ** იცის იმ ოფშორების მისამართები, სადაც „თიბისი ბანკის“ გამოყენებით, სააკაშვილმა და ადეიშვილმა ნაძარცვი მილიარდები გადარიცხეს! იგი „ქართულ ოცნებას“ ამ ოფშორების მისამართებს დაუსახელებდა და ურთიერთობასაც დაალაგებდა, მაგრამ ამის გამო სააკაშვილი უსათუოდ მოკლავდა და შეეშინდა. **სწორედ ამიტომ არ შედგა ხაზარაძის გარიგება დღევანდელ ხელისუფლებასთან!**

**— ადეიშვილის მიერ გამოძიებული საქმეები დღესაც გენერალური პროკურატურის თაროებზეა შემოდებული?**

— ცხადია! **ზურაბ ადეიშვილი** უბოროტესი ადამიანია, რომელმაც „ქართულ ოცნებას“ დაუტოვა ათასობით გამოძიებული საქმე. სწორედ ამ საქმეებით აშანტაჟებს ის დღემდე ხალხს. როდესაც საქართველოს დატოვება გადაწყვიტა, **ზურაბ ადეიშვილმა** მოხსნა იუსტიციის სამინისტროს სერვერი, უზღვავი ინფორმაცია ამოიჩარა იღლიაში და ყველაფერი გაიტანა საზღვარგარეთ! **ადეიშვილი არის უდიდესი ინფორმაციის მატარებელი როგორც ნაცების, ისე დღევანდელი ხელისუფლების მაღალჩინოსნების შესახებ.** ერთხელ უკვე ვთქვი: როცა ტერორისტივით დამიჭირეს და მაწამებდნენ, თავის გადასარჩენად, იძულებული გავხდი, სააკაშვილის სპეცსამსახურებთან მეთანამშრომლა, მაგრამ კაცი არ ჩამიშვია და არ გამიუბედურებია. ჩემი მოვალეობა იყო, იურიდიული კონსულტაცია გამეწია სპეცსამსახურებისთვის. სწორედ ამიტომ ვიჯექი წელიწადნახევარი **„ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს“** შენობაში.

## როცა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში შემოვიდა, სააკაშვილისა და მისი ბანდის სტრატეგია ასეთი იყო – რაც შეიძლება მეტი აგენტი ჩაენერგათ ივანიშვილის გარემოცვაში!

თუ სიმართლე გაინტერესებთ, **ბიძინა ივანიშვილს** პოლიტიკური გუნდი **ზურაბ ადეიშვილმა** შეგზავნილი აგენტურის საშუალებით შეუქმნა!

**— მაშინ დაასახელეთ ეს აგენტურა!**

— აი, მაგალითად, **გია ხუხაშვილი,** როგორც აგენტი, ბიძინა ივანიშვილს **ზურაბ ადეიშვილმა** შეუგზავნა, მან კი ივანიშვილს **გიორგი გახარია** მიუყვანა! **ზურაბ ადეიშვილთან** ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა და გარიგებული იყო **ეკა ბესელიაც.** ამერიკის საელჩოს ხელდასხმით, ბიძინა ივანიშვილთან შეგზავნილი იყო **ირაკლი ალასანიაც,** რომელიც ინფორმაციას სააკაშვილის **„ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს“** აწვდიდა. ბიძინასთან შეგზავნეს **პოლკოვნიკი ქარქუსაშვილი,** პროკურატურის ცნობილი თანამშრომელი **პაატა ჯახუტაშვილი... გიორგი მარგველაშვილი,** როგორც მაღალი დაშიფვრის აგენტი და ამერიკული ცერეუს ხელისბიჭი, ბიძინა ივანიშვილთან შეგზავნილი იყო! **უსუფაშვილიც და ხიდაშელიც,** როგორც ცერეუს აგენტები, ბიძინას ასევე შეუგზავნეს! მაგალითად, გაგიკვირდებათ, მაგრამ ქალბატონი **მანანა კობახიძე** პირდაპირ შეკრული იყო ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოსთან“, რომელიც საქართველოში ამერიკის აგენტურას წარმოადგენს! **მანანა კობახიძის** ძმა **თედო კობახიძე,** რომელიც „ქართული ოცნების“ ადამიანის უფლებათა დაცვის ჯგუფის ხელმძღვანელი იყო, კუდთან გახლდათ შეკრული, რადგან 2012 წელს, თედოს დაბადების დღეზე, მთელი კუდის ნომენკლატურა იყო მიპატიჟებული. **ეს სია უსასრულოდ შემიძლია გავაგრძელო!**

**— როგორ ფიქრობთ, ამ ყველაფრის შესახებ ბიძინა ივანიშვილმა იცოდა?**

— დარწმუნებული ვარ, ბიძინამ ეს ყველაფერი იცოდა, მაგრამ გაჩუმდა, დაელოდა ხელსაყრელ მომენტს და მოვიდა ხელისუფლებაში, თორემ ბევრჯერ მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებ — **ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლა არ იგეგმებოდა! სინამდვილეში ივანიშვილი ოპოზიციაში უნდა მოსულიყო, მაგრამ ციხის კადრებმა ყველაფერი ამოაყირავა!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



**„ყველა ცნობილი ადვოკატი – ზვიად კორძაძე, გიორგი ყავლაშვილი და სხვები, ადეიშვილის „ლიუბიმჩიკები“ და კუდის აგენტები იყვნენ!“**



**„ცხრა წლის განმავლობაში იმ ფონდში მხოლოდ მე „ლევად“ ჩარიცხული მაქვს დაახლოებით მილიონ ექვსასი ათასი ლარი... იმ უბინძურესი სისტემის ყველაზე პატარა ჭანჭიკი ვიყავი და ხომ წარმოგიდგენიათ, რა თანხები ექნებათ სააკაშვილის ყაჩაღურ ფონდში ჩარიცხული ზურაბ ადეიშვილთან გარიგებული და შეკრული ადვოკატის ზვიად კორძაძის ან სხვების კლიენტებს?“**



# ალი ბაბაევი:

# საქართველოში მცხოვრებმა აზერბაიჯანელებმა ძალიან კარგად იციან, რომ, თუ ნაცები ხელისუფლებაში დაბრუნდნენ, ქვეყანას უსათუოდ ომში გახვევენ!

***მას შემდეგ, რაც ნაცსექტანტი აჰმედ იმამყულიევი ნაცმოძრაობის შეფინია თინა ბოკუჩავამ პარტიულ საარჩევნო სიაში შეიყვანა, სააკაშვილის სამყაყეთში დიდი ბორიაყი ატყდა. იმამყულიევმა ქოში უკუღმა ყარა და თინათინ ხანუმს მოსდგა — როგორ გაბედეთ და დაუკითხავად საარჩევნო სიაში შემიყვანეთ, ახლავე „სპისოკიდან“ ამომშალეთო!***

*იმამყულიევს მომხდარის კომენტირების მიზნით დავურეკეთ და საგაზეთო ინტერვიუს ჩაწერა ვცადეთ, მაგრამ* ***პატივცემულმა აჰმედმა,*** *მიუხედავად იმისა, რომ თავიდან ინტერვიუზე დაგვთანხმდა, საბოლოოდ უარი გვტკიცა —* ***დაკავებული ვარ, შეხვედრები მაქვსო!*** *როგორც ჩანს, თავისმა პარტიულმა ბოსებმა —* ***გიგა-ხან ბოკერიამ და თამარ-ხანუმ ჩერგოლეიშვილმა აჰმედ იმამყულიევს*** *„ასავალ-დასავალთან“ საუბარი აუკრძალეს და ამიტომაც გადგა გვერდზე.*

***„საქართველოში აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის“ თავმჯდომარე ალი ბაბაევი ქვეყანაში წინასაარჩევნო სიტუაციას აფასებს და აცხადებს, რომ საქართველოს მოქალაქე ეთნიკურმა აზერბაიჯანელებმა მშვიდობის ფასი კარგად იციან და 2024 წლის 26 ოქტომბერს არჩევანს სწორედ მშვიდობის სასარგებლოდ გააკეთებენ:***

# „საარჩევნო სიაში ჩასმის გამო ოპოზიციაში ერთმანეთს ხოცავენ!“



**აჰმედ იმამყულიევი**

ჩემი თანხმობის გარეშე, ჩემი სახელი შეუტანია ერთიანობა -ნაციონალურ მოძრაობას საპარლამენტო სიაში. სასწრაფოდ გამოიყვანეთ ჩემი სახელი თქვენი საპარლამენტო სიიდან

— საერთოდ, ოპოზიციაში დიდი არეულობაა. ნაცებმა საარჩევნო სიაში ჩასვეს ბევრი ისეთი სახე, რომელსაც კაციშვილი არ იცნობს. ცხადია, ეს ოპოზიციის სტატუსს ძალიან შეასუსტებს და ბევრ პარტიას მოუსპობს 5-პროცენტიანი ბარიერის გადალახვის შანსს. ხომ ხედავთ, **მამუკა ხაზარაძემ** საარჩევნო სიაში **ალეკო ელისაშვილი** მე-20 ადგილზე ჩასვა... ეს იწვევს დიდ ჩხუბსა და დავიდარაბას პარტიის შიგნით, რაც რეიტინგზეც აისახება. ვიდრე **აჰმედ იმამყულიევის** შესახებ მოგახსენებდით, თუ რა მოხდა სინამდვილეში, მანამდე მოგითხრობთ **ნარგიზ ალიევის** შესახებ, რომელიც ნაცმოძრაობის მომხრე აზერბაიჯანელ ამომრჩეველში დიდი დაპირისპირებისა და განხეთქილების საგანია.

**— მაინც რა მოხდა ნარგიზ ალიევთან დაკავშირებით?**

— **ნარგიზ ალიევი** იყო „ქართული ოცნების“ აქტივისტი, რომელიც თავიდან **ზაურ დარგალის** შტაბში მუშაობდა. მერე რა მოხდა, არ ვიცი, მაგრამ ნარგიზ ალიევი გადაბარგდა ნაცებში. ყველა ფიქრობდა, რომ ისინი ალიევს სიაში ჩასვამდნენ, მაგრამ ამაოდ. რადგან მარნეულში ძალიან ცუდად აქვთ საქმე, ნაცებმა **გიგა ბოკერიას** პარტიის წევრი **აჰმედ იმამყულიევი** ჩაწერეს სიაში, თანაც ისე, რომ მისთვის არაფერი უკითხავთ! ამის გამო **იმამყულიევი** გაბრაზდა და **თინა ბოკუჩავას** კატეგორიულად მოსთხოვა — სიიდან ამომიღეთო! ცხადია, მსგავსი ინციდენტები ოპოზიციის მდგომარეობას ძალიან ამძიმებს... ანალოგიური მდგომარეობაა **მამუკა ხაზარაძესთან, ბახარიასთან, ნიკა გვარამიასთან...** მოკლედ, ადგილებისა და საარჩევნო სიაში ჩასმის გამო ოპოზიციაში ერთმანეთს ხოცავენ!

**— ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, როგორც ვიცი, აპირებთ, მიმართოთ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ აზერბაიჯანელებს!**

— საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ აზერბაიჯანელებს ცოტა მოგვიანებით, უფრო საფუძვლიანად მივმართავ, ახლა კი ყველას მოვუწოდებ, რომ **სააკაშვილისა და მისი ბანდის ის ცხრაწლიანი დიქტატურა არავის დაავიწყდეს!** სააკაშვილმა როგორც ქართველები აწამა, ისე ტანჯა საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელებიც, რომელთათვისაც საქართველო სამშობლოა! დღეს ნაცები გაიშალნენ და სხვადასხვა პარტიაში შეიფუთნენ... ვითომ დემოკრატიაზე ფიქრობენ, მაგრამ სინამდვილეში რა მწამებლები და ყაჩაღებიც იყვნენ, ისეთებად დარჩნენ!

## ვეთანხმები ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რომ ესენი გასამართლდნენ და თითოეულმა ნაცმა პასუხი აგოს ჩადენილი დანაშაულისთვის!

**— ნაცები რომ საარჩევნო კამპანიას, ფაქტობრივად, არ აწარმოებენ და გატრუნულები არიან, ამაზე რას იტყვით?**

— ნაცები გატრუნულები არიან, რადგან უცხოელების იმედი აქვთ და არეულობისთვის ემზადებიან, მაგრამ ისევე, როგორც ქართველებს, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების აბსოლუტურ უმრავლესობას მშვიდობა უნდა. მათ ძალიან კარგად იციან, რომ, თუ ნაცები ხელისუფლებაში დაბრუნდნენ, ქვეყანას უსათუოდ ომში გახვევენ! აზერბაიჯანელები ყოველთვის იყვნენ ქართველი ხალხის გვერდით და ახლაც ასე იქნება. სხვათაშორის, თუ ადრე ქართული ენა საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების მხოლოდ 15 პროცენტმა იცოდა, დღეს ეს რიცხვი, ხელისუფლების სწორი პოლიტიკის შედეგად, 30 პროცენტამდეა გაზრდილი. ეს განპირობებულია იმით, რომ აზერბაიჯანელი ახალგაზრდები თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ და სახელმწიფო ენას ზედმიწევნით ეუფლებიან. **დიდწილად, სწორედ ამ ახალგაზრდების დამსახურებაა ის, რომ აზერბაიჯანული მოსახლეობა პოლიტიკურ პროცესებში კარგად არის გაცნობიერებული.** რა თქმა უნდა, საქართველოს მოღალატეები, რომლებიც ფულის სანაცვლოდ აძლევენ ხმას, ქართველებშიც არიან და აზერბაიჯანელებშიც. აი, მაგალითად, განაცებული **კახა ოქრიაშვილი** და ხანდაზმული თაღლითი **მამუკა ხაზარაძე** დმანისში ფულებს არიგებენ და როგორც ქართველებს, ისე აზერბაიჯანელებს ყიდულობენ, მაგრამ ერთსაც და მეორესაც ვარწმუნებ, რომ არაფერი უშველით!



# „განაცებული კახა ოქრიაშვილი და ხანდაზმული თაღლითი მამუკა ხაზარაძე დმანისში ფულებს არიგებენ და როგორც ქართველებს, ისე აზერბაიჯანელებს ყიდულობენ!“



*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ლევან ხაბეიშვილი**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი*



**„ოცნების“ საქმე დამთავრებულია,** აშშ-ში მათ ხელს არავინ ჩამოართმევს.

„რეზონანსი“

**ნიკა გვარამია**
*პარტია „ახალის“ ერთ-ერთი ლიდერი*



**თუ ვინმეს უნდა ჩვენთან შემოერთება,** შეუძლია, დაგველაპარაკოს, მაგრამ **ჩვენ არავის არ შევუერთდებით.**

„რეზონანსი“

**თინა ბოკუჩავა**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*



26 ოქტომბერი არის დღე, როდესაც **ჩვენ გავათავისუფლებთ პრეზიდენტ სააკაშვილს.**

„რეზონანსი“

**ლელა ჯეჯელავა**
*ანალიტიკოსი*



ეს არჩევნები დაამტკიცებს, **რა უნდა ქართველ ხალხს** — სახელმწიფოში ცხოვრება თუ ოლიგარქის ფერმაში?!

„ახალი თაობა“

**გიგა ბოკერია**
*„ფედერალისტების“ ლიდერი*



**2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას არ ვიღებთ.**

„ახალი თაობა“

**გიორგი მარგველაშვილი**
*„ძლიერი საქართველოს“ წევრი*



მე ჩემს თავს **კანონშემოქმედებითად არ მივიჩნევ.** თუ მკითხავთ, მე კანონებთან მიმართებით **უფრო ვეტოები მეხერხება.**

„ახალი თაობა“

*ქართველი მწერალი*
*მერაბ შათირიშვილი*
***ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს ეხმიანება და 2024 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს მოსახლეობას სრული მობილიზაციისკენ მოუწოდებს:***



# მერაბ შათირიშვილი:
# მიმიფურთხებია ასეთი ამერიკისა და ევროკავშირისთვის!

## „დარწმუნებული ვარ, უკრაინელი ხალხი მალე მოვა გონს და კუდით ქვას ასროლინებს ზელენსკის ხელისუფლებას!“

— ამერიკის შეერთებული შტატები ძველებურად ცდილობს, დიქტატი განახორციელოს სხვა ქვეყნებზე და დამოუკიდებელ ერებს თავს მოახვიოს თავისი წესები. სწორედ ამის შედეგია, რომ მან დაასანქცირა ქართველი მოსამართლეები და სამოცამდე თანამდებობის პირი, მათ შორის, პარლამენტის წევრები და პოლიციის მაღალჩინოსნები. **ამერიკა პირდაპირ გვეუბნება, რომ არ შეგვიშვებს ევროკავშირში, არ აღიარებს 26 ოქტომბრის არჩევნების შედეგებს...** ხომ წარმოგიდგენიათ? — **ბაიდენთან** შეხვედრაზე მიიპატიჟეს ჩვენი პრემიერი და მერე ეს მიპატიჟება გააუქმეს! როგორ ფიქრობთ, ვინ მისცა შეერთებულ შტატებს ამის უფლება? ამერიკამ ეს უფლება ზნეობით, კულტურითა და დემოკრატიის მაღალი ხარისხით კი არა, ძალმომრეობით, დიქტატურით, ძარცვით, სისხლით, ომითა და უბედურებით მოიპოვა! **რომი კულტურული იმპერია მაინც იყო და უდიდესი ცივილიზაცია შექმნა, ამერიკამ რა შექმნა? ლგბტ მოძრაობა და კაცის ქალად გადაკეთების ტექნოლოგია!**

**— შეაფასეთ 2024 წლის 25 სექტემბერს ნიუ-იორკში მომხდარი სამარცხვინო ინციდენტი, როცა საქართველოს პრემიერ-მინისტრი პრეზიდენტ ბაიდენთან შეხვედრაზე მიიპატიჟეს და მერე მიპატიჟება გაუუქმეს.**

— რაც ამერიკის ადმინისტრაციამ საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და ჩვენს ქვეყანას აკადრა, იმას ნიშნავს, რომ შეერთებული შტატების მმართველ გუნდს ელემენტარული ზრდილობა არა აქვს! საქართველოში დაუპატიჟებელ სტუმარს გადავყვებით-ხოლმე და, მითუმეტეს, დაპატიჟებულ სტუმარს როგორი პატივისცემით ვეპყრობით! აქედან გამომდინარე, რა უნდა გითხრათ იმ ქვეყანაზე, რომელიც სტუმარს პატივს არ სცემს, ქვეყანას შეურაცხყოფას აყენებს და ასე უზნეოდ იქცევა? ასეთმა ქვეყანამ საქართველოს რა უნდა ასწავლოს? ცნობილი ფაქტია, რომ არჩევნებს იგებენ და აგებენ არჩევნების დღემდე. საქართველოში სურათი ნათელია —

## „ქართული ოცნება“ ამ არჩევნებს უსათუოდ დიდი უპირატესობით მოიგებს, ხოლო

## გაფარჩაკებული ოპოზიცია კიდევ უფრო გაფარჩაკდება!

ცხადია, ოპოზიციას სურს არჩევნების შემდეგ არეულობა, მაგრამ ამის რესურსი არ გააჩნია. ამიტომაც უყურებენ, რას იზამს ამერიკის შეერთებული შტატები, რადგან სწორედ ის გახლავთ არეულობისა და უბედურების სათავე!

**— მაკკეინის ინსტიტუტის დირექტორმა ლორა თორნტონმა უკვე გაახმაურა ყველაფერი— ქართველი „ენჯეოშნიკები“ ეკა გიგაურის თამადობით, თურმე, ამერიკაში დაეთრევიან და საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის შეჩერებას ითხოვენ, ხოლო პარალელურად ამერიკის ადმინისტრაცია მხარს უჭერს საქართველოში არეულობასა და გადატრიალებას!**

— უბრალოდ, მტკივნეული და არასასურველია, თორემ საქართველოს ყველაფერთან ერთად შიდა მტრები, ანუ **კოლექტიური ზიგაურებიც** აცოცხლებენ! მათ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს, არადა, ეს მოღალატეები და მტრები ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებენ, რა დღე შეიძლება დაადგეთ!

## შესაძლოა, შენს ხელისუფლებას დაუპირისპირდე, მაგრამ, როცა უცხო ქვეყანაში გიწვევენ და შენი ქვეყნის ხელისუფლებას გალანძღვინებენ, ე.ი. აგენტი ხარ და გიყენებენ.

აი, ეს არის უბედურება, რის შესახებაც ცხონებული ზვიად გამსახურდია ჯერ კიდევ როდის საუბრობდა. არ დამავიწყდება ამერიკის სახელმწიფო მდივნის **ჯეიმს ბეიკერის** ჩამოსვლა საქართველოში 1992 წლის 26 მაისს. ქვეყნის კანონიერი ხელისუფლება და პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია** სულ ახალი დამხობილი იყო, მაგრამ ბეიკერს ამის შესახებ კრინტიც არ დაუძრავს, ანუ ამერიკა იქცეოდა და იქცევა ისე, როგორც აწყობდა და აწყობს. მისთვის **დემოკრატია და ადამიანის უფლებები** არის მხოლოდ სიტყვის მასალა. **სიმართლე გითხრათ, ისეთი ვითარება შექმნეს და ისე სამარცხვინოდ გვექცევიან, ევროკავშირისა და ამერიკის გაგონება არ მინდა!** თუ რუსთაველი, გურამიშვილი და ქართული ტრადიციები გიყვარს, თუ ლგბტ სიბილწეს ეწინააღმდეგები, რუსად გაცხადებენ! მიმიფურთხებია ასეთი ამერიკისა და ევროკავშირისთვის! მიმიფურთხებია იმ ხელისუფლებისთვისაც, რომელიც ამ სიბინძურისა და უბედურებისგან საქართველოს მოსახლეობას არ დაიცავს! ახლა ამერიკელებს უნდათ, ზუსტად ის დაგვმართონ, რაც უკრაინას დამართეს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, უკრაინელი ხალხი მალე მოვა გონს და კუდით ქვას ასროლინებს ზელენსკის ხელისუფლებას!

**— ერთი ამბავია ატეხილი საარჩევნო ბანერების გარშემო, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ ქუჩებში გამოაკრა... მოგეხსენებათ, ამ ბანერებზე დატანილია უკრაინაში გადამწვარი და გადაბუგული ქალაქები და ეკლესიები და მათ გვერდით — საქართველოს ქალაქებისა და სამების ტაძრის ფოტოები. ე.წ. ოპოზიციამ ამაზე ქოში უკუღმა ყარა — საბჭოური, კომუნისტური პროპაგანდა არისო!**

— არავითარი საბჭოთა პროპაგანდა ეს არ გახლავთ! ნაცებს იცით, რა გაუხარდებათ? ბანერებზე გადაბუგულ უკრაინულ ქალაქებთან ერთად გადამწვარი თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ზუგდიდისა და თელავის სურათები რომ გამოიკრას! ნაცებს იმედი ჰქონდათ, რომ დღევანდელი ხელისუფლება მაინც გახდებოდა ლიბერალიზმის ტყვე, მაგრამ ნურას უკაცრავად! მას შემდეგ, რაც **ირაკლი ღარიბაშვილი** უკვე მეორეჯერ გახდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ჩვენი პოლიტიკა და რიტორიკა შეიცვალა! რაც შეეხება ამ სამარცხვინო ოპოზიციას, ისიც კი იკადრეს, რომ თავიანთი ტელევიზიებიდან ყურები გამოგვიჭედეს — ევროპიდან 14 მილიარდ დოლარს შემოვიტანთ და პენსიები 1000 ლარი გახდება, თუ მხარს დაგვიჭერთო. ჯერ ერთი, ვინ გვაძლევს ამ 14 მილიარდს?! მეორე და ყველაზე მთავარი — **საქართველოს 14 მილიარდად ყიდით, თქვე შობელძაღლებო?** სწორედ დიდი ფულია, რისი იმედიც აქვთ და 2024 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს ასარევად ემზადებიან!

**— მერედა, რამეს მიაღწევენ?**

— ვერაფერს ესენი ვერ იზამენ! ნაცებმა ილოცონ, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება მყარად იდგეს, თორემ, თუ ხალხის გადასაწყვეტი გახდა ამ აგენტების პრობლემა, ჩვენ მაგათ რამდენიმე საათში დავასრულებთ! 26 ოქტომბერს ამ ხელისუფლებას თუნდაც მხოლოდ იმისთვის უნდა მივცეთ ხმა, რომ გარეწარმა ნაცებმა და მათმა პატრონებმა ჩვენი შვილების გარყვნა ვეღარ შეძლონ! სკოლებში ლგბტ პროპაგანდის სამუდამოდ აკრძალვა ის საკითხია, რისთვისაც სისხლს დავღვრით... 26 ოქტომბერი ნამდვილად არის რეფერენდუმი და ჩვენ უნდა ვიყოთ ძალიან, ძალიან ბევრი!




## „ნაცებს იცით, რა გაუხარდებათ? ბანერებზე გადაბუგულ უკრაინულ ქალაქებთან ერთად გადამწვარი თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ზუგდიდისა და თელავის სურათები რომ გამოიკრას!“

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები



**გიული ალასანია**
*მიხეილ სააკაშვილის დედა*

2003 წელს **მოვიდა ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში და გაანათა ქვეყანა,** მჯერა, ისინი ისევ შემოიტანენ სინათლეს.

„პირველი არხი“



**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*

ყოველდღე ახალ უბედურებას იგონებენ და **სრულიად ღიად დასცინიან ხალხს.** თითქოს გვეხვეწებიან — **მოდით 26 ოქტომბერს და დაგვასრულეთო!**

„რეზონანსი“



**პაატა მანჯგალაძე**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ წევრი*

არჩევნებში დამარცხების შემდგომ **ივანიშვილი თვითმფრინავით წაიყვანს ზებრას, ჟირაფს,** მაგრამ არა **კობახიძესა** და სხვა თანაგუნდელებს.

„ინტერპრესნიუსი“



**მამუკა ხაზარაძე**
*„ძლიერი საქართველოს“ ლიდერი*

ნომერ პირველი ამოცანაა, **ლუსტრაციის კანონის მიღება,** რათა ადამიანები, რომლებიც **რუსებს ემსახურებიან,** ვერასდროს მოვიდნენ ხელისუფლებაში.

„ინტერპრესნიუსი“



**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*

**ივანიშვილი** ჭკვიანი კაცია, ის მშვენივრად ხვდებოდა, რომ **მის მოქმედებებს აუცილებლად მოჰყვებოდა სანქციები.** როგორც ჩანს, ის რაღაცის მძევალია!

„კვირის პალიტრა“



**დავით ზურაბიშვილი**
*ანალიტიკოსი*

ბევრს ურჩევნია, **საერთოდ ვერ გადალახონ ბარიერი,** მაგრამ სიაში წინ ეწერონ... **ოპოზიციის კამპანია გამარჯვების შთაბეჭდილებას არ ტოვებს.**

„კვირის პალიტრა“

# რა უნდა იცოდეს ქართველმა

*დასაწყისი იხ. „ა–დ“, 2024 წლის №29–40*

***ევროპაში საქართველოს გადასარჩენად და ირანელთა ტყვეობიდან ვახტანგ მეექვსის გამოსახსნელად წასული სულხან-საბა ორბელიანი 1714 წლის 15 ოქტომბერს კუნძულ მალტაზე ქართველებს შეხვდა, სადაც ჟამთა სიავისა და ბედის სიმუხთლის გამო მყოფი ჩვენი თვისტომნი საქართველოში სულგაყიდულმა ქართველებმა მოიტაცეს და თურქებს მიჰყიდეს.***

ამ ამბავს თავის „მოგზაურობა ევროპაში“ **სულხან-საბა** ასე იგონებს: *„მალტაზე ქართველნიც ვნახე: ზოგი აფხაზი, ზოგი იმერელი, გურული, მეგრელი, რომ თათრისთვის წაერთმიათ. ენა ისევ კარგი იცოდნენ. აფხაზმა რატომ იცოდა, ის გამიკვირდა, ქართული...“*

საქართველოს უბედობით გულდამწვარი **სულხან-საბა ორბელიანი,** რომელიც 300 წლის წინათ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, როგორც ვხედავთ, აფხაზს, იმერელს, გურულსა და მეგრელს ქართველად მიიჩნევს, მაგრამ მაინც გაკვირვებულია — **აფხაზმა ქართული რატომ იცოდაო?!**

მაინც რით უნდა აიხსნას ეს ფაქტი?

**თუ აფხაზი ქართველია, ქართული რატომ არ უნდა სცოდნოდა?**

მიგვაჩნია, რომ ამ ფაქტის ასახსნელად ისევ და ისევ იმ ბედუკუღმართ მოვლენებს უნდა მივმართოთ, რომლებიც დიდი საქართველოს დაშლის შემდეგ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე და უფრო ჩრდილოეთით, იმ მიწა-წყალზე განვითარდა, რომელსაც ოდესღაც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება მართავდა და **ჯიქეთი** ერქვა.

ცნობილია, რომ 1713 წელს ფრანგ მისიონერ **რიშარსა** და **სულხან-საბა ორბელიანს,** რომლებიც ევროპაში სამეგრელოს გავლით გაემგზავრნენ, **აფხაზეთის კათალიკოსმა გრიგოლ მეორე ლორთქიფანიძემ** (1696-1742 წ.წ.) იმერეთში მისიონერების ჩაყვანა სთხოვა, რათა ისინი აფხაზეთსა და ჩერქეზეთში ქრისტიანობის საქადაგებლად გაეგზავნა. **გრიგოლ კათალიკოსმა** მდინარეებს — ენგურსა და კოდორს შორის მოსახლე საეკლესიო ყმები, რომლებიც თურქ და აფსუა მეკობრეებს სასწაულებრივად გადაურჩნენ, სამეგრელოსა და იმერეთში გადმოასახლა, რითაც მათი მშვიდობიანი ცხოვრება შედარებით უზრუნველყო, მაგრამ ამ გადმოსახლების შედეგად ეს ტერიტორია გაუკაცრიელდა.

ამით იმის თქმა გვსურს, რომ მე-18 საუკუნის დასაწყისში, როცა **სულხან-საბა** წერდა — **გამიკვირდა, აფხაზმა ქართული რომ იცოდაო!** — ერთიანი ქართული კულტურული სივრციდან არათუ ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული აფსუების, არამედ საკუთრივ აფხაზების გაუცხოების პროცესიც კი იყო დაწყებული. თურქთა გამუდმებული შემოსევების შედეგად აფხაზეთში არამარტო ქართულ ენას, არამედ ქრისტიანობასაც ძალიან უჭირდა. მე-18 საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, აფხაზეთის მთავრები — **შერვაშიძეები** თურქეთის ვასალებად იქცნენ და გათურქდნენ. სხვათაშორის, შერვაშიძეები, თუ თურქეთის მიერ ოკუპირებული სამცხე-საათაბაგოს მბრძანებლებს — **ჯაყელებს** სათვალავში არ ჩავთვლით, ქართველ მთავრებს შორის ერთადერთი იყვნენ, რომლებმაც რჯული შეიცვალეს. აქ ძირითადად საუბარია **იმ შერვაშიძეებზე, რომლებიც სინამდვილეში არა აფხაზები, არამედ აფსუები იყვნენ.** ამ ფაქტთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია სავსებით სამართლიანი შეფასება და მიჩნეულია, რომ **აფსუები,** რომლებიც **გაშერვაშიძევდნენ,** ადვილად შეელიენ სარწმუნოებას და პოლიტიკური ძალაუფლების სანაცვლოდ უყოყმანოდ დათმეს ქრისტიანობა, რადგან ისინი ქართველები არასოდეს ყოფილან და საქართველო და ქრისტიანობა მათთვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდა.

მართალია, **შერვაშიძეებმა** თურქთა მონობის უღელი მალე გადაიგდეს, მაგრამ თურქული გავლენა აფხაზეთში ყოველთვის იგრძნობოდა და დღესაც იგრძნობა. თურქები შედარებით ადვილად ახერხებდნენ წარმართი აფსუების გამაჰმადიანებას. ცნობილია, რომ **სოხუმის ციხეს, რომელსაც თურქები აკონტროლებდნენ, ძირითადად, სწორედ გამაჰმადიანებული აფსუები იცავდნენ.** იდენტური სურათი იყო ბათუმის ციხეშიც, სადაც არკებუზებით შეიარაღებული გამაჰმადიანებული ქართველები — **აჭარლები** იდგნენ!

ადრეც ვთქვით და კიდევ ერთხელ ვიმეორებთ: **გამაჰმადიანებული აფსუა მეკობრეები, რომლებსაც თურქ ოკუპანტებთან სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ, თურქული გრძელი ნავებით მთელ შავიზღვისპირეთში დასრიალებდნენ და სამეგრელოს, იმერეთისა და გურიის მოსახლეობას მუსრს ავლებდნენ.** მოტაცებულ ქართველ ბავშვებს აფსუა მეკობრეები აფხაზეთში მიერეკებოდნენ და რჯულსა და ეროვნებას უცვლიდნენ. აქედან გამომდინარე, ყველაფერს იმას ნუ დავაბრალებთ, რომ რომელიღაც სისხლგაყიდულმა მეგრელმა ან იმერელმა — კვარაცხელიამ, ფარფალიამ, გარგანჯიამ, წერეთელმა, ლორთქიფანიძემ თუ გიორგაძემ ქართველობა მხოლოდ იმიტომ დათმეს და „აფხაზებად“ ჩაეწერნენ, რათა აფხაზეთში თანამდებობა მიეღოთ და სალაფავი არ მოჰკლებოდათ!

**არამც და არამც!**

საფიქრებელია, რომ **უბედურების სათავე ამ 400 წლის წინათ დაწყებულ ტრაგედიაში უნდა ვეძებოთ, როცა ქართველ დედას შვილის გაჩენა არ უხაროდა, რადგან მას ან გაპირუტყვებული ქართველი მოსტაცებდა, ან — აფსუა მეკობრე, ან — თურქი, ან — კიდევ ლეკი...**

სწორედ ასე გათურქდა, „გააფხაზდა“ და გალეკდა მოტაცებული ქართველი!

შორს რომ აღარ წავიდეთ, ცნობილი ფაქტია, რომ **პავლე ინგოროყვას** ჩრდილოეთ კავკასიაში მოგზაურობის დროს თავისი მოგვარეები — **ინგოროყვები** შეხვდნენ, რითიც სტუმარმა და მასპინძლებმა დიდად გაიხარეს.

აფსუა მეკობრეები შავიზღვისპირეთში ისე იყვნენ თავს გასული, რომ **ვახუშტი ბატონიშვილის** ცნობით, ისინი **„დაუხვდებიან ოსმალთა ნავთა და ლაზ-ჭანთა და უფროსად ოდიშ-გურიასა“.** მოტაცებულ ქართველებს აფსუები აფხაზეთში ყმებად ასახლებდნენ, მაგრამ გვარს უნარჩუნებდნენ. ასე იქცნენ **კვარაცხელიები, ჯინჯოლიები, აფაქიძეები, წერეთლები, ლორთქიფანიძეები, დგებუაძეები, კირთაძეები და გიორგაძეები „აფხაზებად“,** ანუ სინამდვილეში **აფსუებად.** მაგალითად, ცნობილი ფაქტია, რომ 1715 წლის მაისში, როცა ევროპიდან უკან, საქართველოში ბრუნდებოდა, ჭანმა მეზღვაურმა **რაისმა** სულხან-საბა ორბელიანი ქობულეთში ზღვით ვერ წამოიყვანა — **„გურიას ხომალდს ვერ წამოვიღებო, აფხაზი აშლილია, მეშინიანო!“**

აფხაზეთის სამთავროში ეთნიკური სურათი კიდევ უფრო აჭრა და არია მე-17-მე-18 საუკუნის მიჯნაზე აფხაზეთის მთავრის **ზეგნაყ შერვაშიძის** შვილებს შორის სამთავროს მიწების გადანაწილებამ. **ზეგნაყს** სამი ვაჟი ჰყავდა — **როსტომი, ჯიქეშია და ყვაპუ. როსტომს** მდინარე ბზიფსა და კოდორს შორის მიწა ერგო; ჯიქეშიას — შუა სოფელი, ანუ მდინარე კოდორსა და ღალიძგას შორის გადაჭიმული მიწები, ხოლო ყვაპუს — ღალიძგასა და ენგურს შორის სამფლობელო. როგორც ცნობილია, **ყვაპუ შერვაშიძემ** ბზიფის ხეობიდან ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული აფსუები თავის საბრძანებელში ჩამოასახლა.

ეს ისტორია, რომელიც მხედრული ასოებით ხელნაწერ ერთ ძველ სიგელში ყოფილა დაცული, 1897 წელს სოფელ ბედიაში, ერთ-ერთი თავადის ოჯახში სტუმრობისას ცნობილ ქართველ პედაგოგს **თეიმურაზ ჭიჭინაძეს** წაუკითხავს და იმავე წელს **გაზეთ „კვალის“** მე-20 ნომერში ამის შესახებ წერილიც დაუწერია.

საფიქრებელია, რომ ეკონომიკური ფაქტორის გარდა, რაც გაუკაცრიელებული ტერიტორიის ათვისებას და ხალხით დასახლებას გულისხმობს, **ყვაპუმ** ეს ნაბიჯი პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარეც გადადგა და სამეგრელოს საზღვრის სიახლოვეს მიზანმიმართულად ჩანერგა ისეთი ხალხი, რომლისთვისაც ქართული კულტურული სივრცე უცხო და მიუღებელი იყო! ამით **ყვაპუ** თავისი სამფლობელოს ხელშეუხებლობას ცდილობდა, თუმცა, ჩვენ შემდეგ დავინახავთ, რომ აფხაზეთის „დამოუკიდებლობას“ ვერც ამან უშველა!

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ალბათ, გასაკვი-

**მონად გაყიდული ბავშვებით სავსე გემი. იტალიელი მისიონერის დონ კრისტეფორე დე კასტელის ჩანახატი სამეგრელოში მოგზაურობის დროს. 1631–1652**



## ვინც მე-17 საუკუნეში მიცვალებულებს ხევზე ჰკიდებდა, ისინი მე-6 საუკუნეში არავის გაუქრისტიანებია, რადგან აფხაზეთში ასეთი ხალხი არც ცხოვრობდა!

**მოტაცებულ ქართველებს აფსუები აფხაზეთში ყმებად ასახლებდნენ, მაგრამ გვარს უნარჩუნებდნენ. ასე იქცნენ კვარაცხელიები, ჯინჯოლიები, აფაქიძეები, წერეთლები, ლორთქიფანიძეები, დგებუაძეები, კირთაძეები და გიორგაძეები „აფხაზებად“, ანუ სინამდვილეში აფსუებად!**

## კვირგვინოსნები

**ზურაბ ბენდიანიშვილი**
*კავშირის „დევნილთა უფლებებისთვის“ თავმჯდომარე*



რაღაც ეტაპზე, **ბოდიშის მოხდა შეიძლება, ისედაც დაგვჭირდეს** არამარტო ერთ მხარეს, არამედ ორივეს.

„კვირის პალიტრა“

**მანანა კოზაკოვა**
*მსახიობი*



ჩვენ, ოსებსა და აფხაზებს **ერთმანეთისთვის ბევრი ბოდიში გვაქვს მოსახდელი.** ჩვენ, ხალხმა, ერთმანეთს ბევრი რამ დავუშავეთ და, რა თქმა უნდა, **ეს ბოდიში შეიძლება ძალიან სწორად იყოს ნათქვამი** სწორ მომენტში.

„კვირის პალიტრა“

**ჯანო იზორია**
*მსახიობი*



**თუ რაკეტები და ტანკები გვინდა, მაშინ არასდროს არაფერი გამოგვივა.** ჩვენ ყოველთვის მაშინ დავმარცხდით, როცა ერთმანეთს დავუწყეთ ჭამა, ხოცვა და ეს გამოიყენა მტერმა, წაგვართვა ყველაფერი და დაგვექცა თავზე ქვეყანა. **ოს, აფხაზ, ქართველ ახალგაზრდებს ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ. ერთმანეთს თუ არ ვაპატიეთ, ვერ განვვითარდებით.** მგონი, ვიღაცის ჭკვიანი გონებით, ბოლოს და ბოლოს, რაღაც გადაწყდება ამ ქვეყანაში.

„კვირის პალიტრა“

**ლევან მგალობლიშვილი**
*აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე*



ჩვენს მთავარ ამოცანად რჩება **აფხაზ დებთან და ძმებთან ერთად ევროკავშირში შესვლა** ჩვენი ღირსებით, ადათ-წესებით და ტრადიციებით.

„ინტერპრესნიუსი“

# აფხაზეთის, აფხაზებისა და აფსუების შესახებ?



ბავშვების გასაყიდი ბაზარი ქობულეთში.
იტალიელი მისიონერის დონ კრისტოფორე დე კასტელის ჩანახატი. 1631-1652

რი არ უნდა იყოს, თუ რატომ გაუკვირდა მალტაზე მყოფ **სულხან-საბას** ქართულად მოლაპარაკე აფხაზის, ანუ სინამდვილეში **„აფსუას“** შეხვედრა...

ცნობისათვის, ძალთაპირი **ყვაპუ შერვაშიძე** ქართველებს იტაცებდა და თურქებზე ჰყიდდა.. ამ უღირსი მთავრის ანტიქართული პოლიტიკა რადიკალურად შეცვალა მისმა ვაჟმა **მურზაყან შერვაშიძემ,** რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა დიდად ემადლიერებოდა. სწორედ მის სახელს ატარებს ენგურსა და ღალიძგას შორის მოქცეული სამფლობელო — **სამურზაყანო!**

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ **ყვაპუ შერვაშიძეს** მდინარე ბზიფის ხეობიდან მხოლოდ რიგითი აფსუები არ ჩამოუსახლებია. ღალიძგასა და ენგურს შორის ასევე ჩამოასახლეს კეთილშობილი გვარებიც — **ანჩაბაძე, ემუხვარი, ინალიშვილი, მარღანია, ზვამბაია, აკირტავა, ლაკერბაია... მურზაყან შერვაშიძის** ვაჟი გახლდათ საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი **ხუტუნია შერვაშიძე** — ხრესილის ომის გმირი, რომელმაც 1757 წლის 14 დეკემბერს იმერეთში, ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხრესილის ველზე, პირისპირ შეტაკებაში 16 თურქი გამოასალმა სიცოცხლეს!

**ხუტუნია შერვაშიძე** ხრესილის ველზე დაიღუპა... იმერეთის გმირთაგმირი მეფის **სოლომონ პირველის** ბრძანებით, მისი ცხედარი დიდი პატივით წაასვენეს აფხაზეთში და სოფელ ბედიაში დაკრძალეს, რომელიც სამურზაყანოს მფლობელ **შერვაშიძეთა რეზიდენცია** იყო.

საქართველოს ისტორიაში **ხუტუნია შერვაშიძის** გმირობას პრეცედენტი არ მოეპოვება. არსად, არცერთ წყაროში არავისზე არ დაუწერიათ და უთქვამთ, რომ ერთ ბრძოლაში ერთმა კაცმა, პირისპირ შეტაკების დროს, მტერზე თექვსმეტჯერ გაიმარჯვა და თექვსმეტი გადამთიელი დაამიწა...

## მოტაცებულ ქართველ ბავშვებს აფსუა მეკობრეები აფხაზეთში მიერეკებოდნენ და რჯულსა და ეროვნებას უცვლიდნენ!

**აფსუების თქმულებებსა და ზღაპრებში არსად ფიგურირებს ის სალოცავები და წმინდა ადგილები, სადაც ისინი მე-16 საუკუნიდან მოყოლებული სახლობენ. სამაგიეროდ, ისინი ეთაყვანებიან იმ სიწმინდეებსა და ადგილებს, რომლებიც მდინარე ბზიფის ჩრდილოეთით, ჩრდილოეთ კავკასიაში, ყუბანისპირეთშია გავრცელებული.**

ცნობლი ქართველი ენათმეცნიერისა და კავკასიოლოგის, პროფესორ **თეიმურაზ გვანცელაძის** განმარტებით, „თუკი *ახლანდელ აფსუათა წინაპრები მუდამ ცხოვრობდნენ ახლანდელი აფხაზეთის მიწაზე და საუკუნეთა მანძილზე ინარჩუნებდნენ ქრისტეს რწმენას, მაშინ აფსუურ ენაში უეჭველად უნდა ჩანდეს, ერთი მხრივ, ბერძნულ ენასთან უშუალო, მჭიდრო ურთიერთობის კვალი და, მეორე მხრივ, წარმოდგენილი უნდა იყოს საკუთრივ აფსუური წარმოშობის ქრისტიანული სიტყვები, მესამე მხრივ კი ბიბლეიზმები (ბიბლიიდან მომდინარე გამონათქვამები და ეპითეტ-მეტაფორები).* ***ჩვენ მიერ საგანგებოდ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ბერძნულ ენასთან ხანგრძლივი და უშუალო ურთიერთობის კვალი საერთოდ არ შეინიშნება აფსუურ ენაში. მეტიც, თვით ბერძენის აღმნიშვნელი „აბერზენ“ სიტყვა აფსუურს შეუთვისებია მეგრულისაგან*** *(შდრ. მეგრ. „ბერზენი“);* ***არ არსებობს თვითმყოფადი აფსუური, ან ბერძნულიდან აღებული ქრისტიანული სიტყვები.*** *საკუთრივ აფსუურ ქრისტიანულ სიტყვათა მცირე ჯგუფს სიძველის კვალი არ ემჩნევა, ისინი აშკარად გვიან შუა საუკუნეებშია შექმნილი; აფსუურში არ დასტურდება ბიბლეიზმები:* ***„მამა აბრამის ბატკანი“, „ურწმუნო თომა“, „სოდომის ცოდვა“...*** *ამ მონაცემთა საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ აფსუათა წინაპრებს არ ჰქონიათ უშუალო, ხანგრძლივი და მუდმივი შეხება ძველ ბერძნულ ქრისტიანულ სამყაროსთან. ამ კუთხით ფრიად საყურადღებოა ის, რომ აფსუურ ენაში ძირითად ქრისტიანულ ცნებათა გამოსახატად საკმაოდ ხშირად გამოიყენება მაჰმადიანური სიტყვები, რომლებიც ამ ენაში გვიან შუა საუკუნეებამდე ვერ მოხვდებოდნენ. ეს სიტყვები ძირითადად თურქულიდან ან ამ ენის შუამავლობითაა ნასესხები. თურქებს კი ამჟამინდელ აფხაზეთთან შეხება მე-16 საუკუნემდე არ ჰქონიათ.. ეს სიტყვებია:* ***ჯანათ*** *— სამოთხე,* ***ჯაჰანუმ*** *— ჯოჯოხეთი,* ***ამაალიქ*** *— ანგელოზი,* ***აფააიმბარ*** *— წინასწარმეტყველი,* ***აკაამეთ*** *— მეორედ მოსვლა, საშინელება,* ***აჯალ*** *— სიკვდილის ჟამი და სხვ.*

ეს კიდევ ერთი უტყუარი მტკიცებულებაა იმისა, რომ **ეს ხალხი საქართველოს თავის სამშობლოდ არ მიიჩნევს, ჩამოსახლებულია ჩვენთვის უცხო მხრიდან და გამოირჩევა ბევრი ისეთი უცნაურობით, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ მათი გაქრისტიანება მხოლოდ ფიქცია და ფორმალობა იყო.**

ქართველებს რომ ვინმემ მიკერძოება არ დაგვწამოს, მოგაწვდით ფრიად განსაცვიფრებელ ცნობას, რომელსაც თურქი მოგზაური და მწერალი **ევლია ჩელები** (1611-1683 წ.წ.) ერთგან აფსუების შესახებ წერს: *„აფხაზები მეტად განსხვავებულად მარხავენ თავიანთ ბეგებს. მიცვალებულებს სდებენ ხის ყუთში და მიამაგრებენ მაღალ ხის ტოტებზე. ყუთის თავსახურს მიცვალებულის თავის სწორა აქვს ნახვრეტი, რომ ბეგს შეეძლოს ცის დანახვა, როგორც ამას აფხაზები ამბობენ.* ***ფუტკრები შედიან ყუთში და თაფლს აკეთებენ. დანიშნულ დროს ყუთს ხსნიან, თაფლს იღებენ და ყიდიან. ამიტომ ფრთხილად უნდა იყოთ აფხაზეთში თაფლის ყიდვის დროს!“***

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ **ევლია ჩელები** საქართველოში ნამყოფია და რასაც წერს, ყველაფერი საკუთარი თვალით აქვს ნანახი.

აფსუების შესახებ თითქმის იმავეს იმეორებს ცნობილი ქართველი ისტორიკოსი **ვახუშტი ბაგრატიონი,** რომელიც წერს: *„არა დაჰფვლენ მკვდართა თვისთა, არამედ მისითავე სამკაულ-იარაღითა და შესამოსელითა შთადებენ კუბოთა შინა და შესდგამენ ხეთა ზედა.“*

ცნობილი ქართველი მეცნიერი, **ერეკლე მეფის შვილიშვილი იოანე ბატონიშვილი,** რომელმაც გმირთაგმირი პაპა კრწანისის ბრძოლაში დატყვევებისგან იხსნა და საკუთარი სასიცოცხლო რისკის ფასად მოხუცი გვირგვინოსანი ალყიდან გამოიყვანა, თავის „კალმასობაში“ **„აფხაზების“, ანუ სინამდვილეში აფსუების შესახებ წერს:** *„რომელიმე ამათ შორის წარმართნი მკვდარსა დაამარილებდნენ და მაღალს ხეზედ დასდებდნენ და მუნ სიცხისგან გახმებოდნენ მკვდარნი იგი, ვითარცა აწცა არს ჩვეულება აფხაზეთსა შინა!“*

ისტორიულად ცნობილია და ძველ ბერძნულ წყაროებშიც საგანგებოდ არის მითითებული იმის შესახებ, რომ კოლხები მიცვალებულებს ხეზე ჰკიდებდნენ ანდა მარხავდნენ. კერძოდ, მარხავდნენ მხოლოდ ქალებს, ხოლო გარდაცვლილ მამაკაცებს დაუმუშავებელ, გამოუქნელ ხარის ტყავში გახვევდნენ და ხეზე ჩამოჰკიდებდნენ! აი, რას წერს ამის შესახებ ძველი წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნის ბერძენი ავტორი **აპოლონიოს როდოსელი** თავის „არგონავტიკაში“: *„უხვად იხილეს ძეწნა, ტარიფი — გაშლილ ველზე და მდინარის პირას. მაღლა ტოტებზე თოკით მიკრული იყო გვამები მიცვალებულთა. კოლხებს დღესაც კი თავზარსა სცემთ და ცოდვად მიუჩანთ გვამების დაწვა, არც შავ მიწაში მარხავენ კაცსა, რომ ზედ ყორღანი აღმართონ მერე —* ***ჯერ გაახვევენ ახლად დაკლული ხარის მოუქნელ ტყავში გვამსა და მერე ჰკიდებენ მაღლა ხეებზე, მყუდრო ჭალებში, ქალაქგარეთა.*** *მაგრამ ჰაერის კიდეგან მიწაც იღებს თანაბრად იქ თავის წილსა, რადგანაც ქალებს, რომ მოკვდებიან, მიწის წიაღში აძლევენ ბინას. ასეთი არის იმ ქვეყანაში მიცვალებულთა დაკრძალვის წესი!“*

მთელ ამ ისტორიაში ყველაზე საინტერესო ის არის, რომ, თურმე, აფსუები მიცვალებულებს ხეებზე მე-17 საუკუნეშიც და უფრო აქეთაც კი ჰკიდებდნენ. თუ გავისიგრძეგანებთ იმ ფაქტს, რომ ბიზანტიელების მიერ **„აბაზგიად“** წოდებული აფხაზეთი ბიზანტიის იმპერატორ **იუსტინიანე დიდის** (527-565 წ.წ.) დროს, მე-6 საუკუნეში გაქრისტიანდა, მაშინ გამოდის, რომ ქრისტიანობის მიღებიდან ათასი ან ათას ასი წლის შემდეგაც კი აფსუები იქცეოდნენ, როგორც ველურები და მიცვალებულებს ხეებზე ჰკიდებდნენ...

ეს უკვე სრული სიგიჟეა და მხოლოდ ერთ რამეზე მეტყველებს — **ვინც მე-17 საუკუნეში მიცვალებულებს ხეებზე ჰკიდებდა, ისინი მე-6 საუკუნეში არავის გაუქრისტიანებია, რადგან აფხაზეთში ასეთი ხალხი არც ცხოვრობდა.** ეს ხალხი აქ ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლდა გვიან, კერძოდ, მე-16 საუკუნიდან და არავითარი საერთო მათ ქრისტიანობასთან და, მითუმეტეს, ქართულ კულტურასთან არა აქვთ!

**დიტო ჩუბინიძე**

## სწორედ ასე გათურქდა, „გააფხაზდა“ და გალეკდა მოტაცებული ქართველი!

## კვირგვინოსნები

**გიორგი ცუცქირიძე**
*ეკონომისტი*



არავინ არაა დაინტერესებული იმით, რომ საქართველოში ვითარება მეტად გართულდეს. **ბანკების სააქციო კაპიტალის 90 პროცენტზე მეტი უცხოური კაპიტალია.** ისინი პირობითად არიან ქართული ბანკები, თორემ, რეალურად, მათი მესაკუთრეები არიან უცხოელი იურიდიული პირები. ამის გარდა, **ყველა მსხვილი ბიზნესსტრუქტურის, რომელიც ჩვენს ქვეყანაშია, დამფუძნებლების დიდი ნაწილი უცხოელები არიან.** ძალიან მეეჭვება, მაგრამ ეს ორგანიზაციები თუ დასანქცირდებიან, **გამოდის, რომ უცხოელები ისევ თავიანთ თავს დაუწესებენ სანქციებს.**

„რეზონანსი“

**თენგიზ ფხალაძე**
*საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი*



ვინმეს უნდა თუ არა, **სანქციები იმოქმედებს,** მით უმეტეს, ქართული საბანკო სექტორის ფლაგმანების — **„საქართველოს ბანკისა“** და **„თიბისის“** ავტორიტეტი მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, რომ **სრულად არიან ინტეგრირებული საერთაშორისო ფინანსურ და საბანკო სისტემაში.** შესაბამისად, ისინი **ან სრულად ემორჩილებიან სანქციებს, ან, თუ არ დაემორჩილებიან, შეექმნებათ ძალიან სერიოზული პრობლემა,** რაც მძიმედ აისახება ქართულ ფინანსურ ბაზარზე.

„კვირის პალიტრა“

**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*



ამ ქვეყანას ვერავინ ვერასდროს დაამონებს, **ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანად აღდგენა რომ ახლოსაა,** მაგიტომაც გაგიჟდნენ არარაობები.

„საქართველოს რესპუბლიკა“

# ნუ გამოვჩელეყურუავდებით!

ამასწინებზე ერთი ახლობელი მეუბნება — თუ მოგატყუო, მე ვიყო **ბორის ჩელე ყურუაო.**

ეგ რა, ახალი ტერმინია-მეთქი?

როგორ, **ბორის ჩელე ყურუა** არ იციო?

არ ვიცი, ადამიანო, არა... რა, უნდა ვიცოდე-მეთქი?

შენგან მიკვირს, **ბორის ჩელე ყურუა** რომ არ იციო.

კარგა ხნის ხვეწნის შემდეგ დამთანხმდა, აეხსნა, რა არის **ბორის ჩელე ყურუა.**

მოკლედ, **ბორისიც, ჩელეც და ყურუაც** ყოფილა აეს ადამიანი, რომელსაც სურათზე ხედავთ.

ჩემ ახლობელს იქით დავაყარე კითხვები: შე კაი კაცო, თუ ხარ **ბორისი,** კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ამავე დროს რატომღა უნდა იყო **ჩელე** და მით უფრო **ყურუა?**

არ დაიჯერებთ, **ბორის ჩელე ყურუა** ყოფილა **ჩაჯვის, გოგიჟვიჩისა** და შარვალჩახდილ **გირჩ ზურაბას** „პადელნიკი“, რომელსაც აქციებზე ისე უაქტიურნია, 500 ლარითაც კი დაუჯარიმებიათ. მეტიც, ეს ჯარიმა არ გადაუხდია და ამ დღეებში ყველა საბანკო ანგარიში დაუყადაღებიათ. **ბორის ჩელე ყურუა** ამტკიცებს, ეგ ჯარიმა როდის გამომიწერეს, არ ვიცი, სასამართლოს ფურცელი არ ჩამბარებიაო.

გუშინ ჩემი ახლობელი მეუბნება — **რაღაც ვერ ვარ, ამ ბოლო დროს გამოვჩელეყურუავდიო.**

ეგ რას ნიშნავს-მეთქი?

სადაც არ უნდა ვიყო, მივდივარ, მოვდივარ თუ ვდგავარ, სულ **ბორის ჩელე ყურუა** მაქვს აკვიატებულიო... ვატყობ, გონებაში მალე სიმღერაც ჩამომიყალიბდებაო.

☺

ბიჭოოოოოოო!

მე კიდე გაოგნებული სხვა რამეზე ვარ... ესე იგი, **სამი სათაური და თანაც ეგეთი „მჟღერი“ რა საჭიროა?**

აბა, წარმოიდგინეთ, ეს რომ გახდეს დიდი თანამდებობის პირი, გამოვიდეს გაეროში ან სხვა მაღალ ტრიბუნაზე და გამოაცხადონ: მისი უდიდებულესობა **ბორის ჩელე ყურუააააა!**

თქვენი არ ვიცი და მე ნამდვილად დავიწვები სირცხვილით. თუმცა, უცხოელებს და მით უფრო, აშშ-ელებს მოეწონებათ, იტყვიან — ჩვენიანიაო.

ვიცი, მეტყვით — ეგ არ მოხდებაო, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი ის გახლავთ, რომე... **ბორის ჩელე ყურუა** დაჟინებით ითხოვს ცვლილებებს, ანუ ბიძინა ივანიშვილის გაშვებას და თავისი თავის მოშვებას.

ხოდა, იმედია, არც ამომრჩეველი **გამოჩელეყურუავდება!**




# მოგელანდებით!

## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად



# მაისვამს?

ნორმალური ადამიანი იკითხავს — **ნეტავ ამას რიღას იმედი აქვსო?**

**ჭუჭუ ვაშაძის** იმედი აქვს, დარწმუნებულია, რომ **ჭუჭუ ვაშაძე** უმრავლესობას მოიპოვებს და ამასაც გვერდით **მაისვამს.**

☺

ესე იგი, **ბიძინა ივანიშვილი** საქართველოდან უნდა წავიდეს და **ეს** კიდე დარჩეს?

კი მაგრამ, ჩვენ ხომ ისეთი არაფერი ჩაგვიდენია, რომ ღმერთმა ამნაირად დაგვსაჯოს?

**ლელიკო ჯაფარიძეს** უყვარდა თქმა **— სააკაშვილთან ერთად მინდორში მოსაშარდადაც არ გავალო!**




# ფარისევლური როჟა

35 წელია, პროფესიიდან გამომდინარე, ადამიანებს ვაკვირდები და ეგეთი **ფარისევლური „როჟა“** ჯერ არ მინახავს!

განა იმას ვამბობ, ამა და ამ ადგილზე მისასამძიმრებლად რათ მივიდა-მეთქი? რავი, როცა ვისკს გადაყლურწავს, სადაც უნდა, იქ მივიდეს — უნდა კესოსთან, უნდა — ზესოსთან, უნდა — ტარტარენ ტარასკონელთან, რა ჩემი საქმეა?

მე იმაზე მეცინება, მეტად ტრაგიკული გამომეტყველება რომ მიუღია, გეგონება, მართლა აწუხებს ვინმეს სიკვდილი!

შვილმკვდარი მშობლები მიუვიდნენ — **მკვლელებს ნუ იწყალებო,** ეგ კი ორბელიანების სასახლის აივანზე გადმოდგა, კიკინები გაიშალა და — **რა გინდათ, აქ რას მომივარდითო?**

ახლა კიდე ძალზედ დამწუხრებული სახე აქვს!

**დავით ოთხმეზურის** მკვლელობაში მსჯავრდებული შეიწყალა, მამამისი — **გიორგი ოთხმეზური** ამ ამბავს გადააყოლა და თავხედურად განაცხადა — არ გეტყვით, რატომ შევიწყალეო.

**ახლა კიდე ძალზედ დამწუხრებული სახე აქვს!**

პოლიციელ **თარაშ მუკბანიანის** მკვლელი შეიწყალა და ესეც ისე გაატარა — **არ ვარ ვალდებული, რამე აგიხსნათო.**

**ახლა კიდე ძალზედ დამწუხრებული სახე აქვს!**

რომელი ერთი ჩამოვთვალო? ბობოლა მკვლელები რომ შეიწყალა, მაგაზეც ვთქვა? შეწყალებებში კაი მაყუთი რომ აკეთა, მაგაზეც ვთქვა? ან კი რაღა უნდა ვთქვა, ეგ ამბავი ჩემზე უკეთესად არ იცით?

**გუშინ თუ გუშინწინ ის ცხოველიც შეუწყალებია, პარლამენტის შენობაზე სათვალთვალო კამერებს რომ გლეჯდა და ანადგურებდა!**

ახლა კიდე მიუღია ტრაგიკული გამომეტყველება, დაუჭერნია ხელში „ბუკეტი“, **გეგონება, ტრასგენდერის სიკვდილი ძალიან აწუხებს.**

☺

მაგას საქართველოს დასამარებაც ფეხზე ჰკიდია, მთავარია, **გორგიჯანები** კარგად ჰყავდეს!



# ქაქ-ის სუნი მაინც არ შეგაწუხებდათ?

აეგრე დაისჯებით, ოთხი კვირის განმავლობაში ჩაგკეტამთ **სალომე ბაბო** კარცერ-ლუქსში და დილიდან საღამომდე გაკითხინებთ **ქაქ**-ს, ანუ **ქართულ ქარტიას.**

დიახაც, არავის მოგცემთ უფლებას, არ ილაპარაკოთ **ქაქ**-ზე დღე და ღამ. **წაიკითხამთ — მოყვებით, წაიკითხამთ — მოყვებით, წაიკითხამთ — მოყვებით** და ასე იქნება, სანამ სიტყვასიტყვით არ გაიზუთხამთ. როცა კარგად გაიზუთხამთ, მერე წახვალთ და ოჯახის წევრებს მოუყვებით, მერე — მეგობრებს, მერე — მეზობლებს, ნათესავებს, ცოცხლებსა და მკვდრებს!

**მაიცადეთ... თქვენ გეგონათ, ქაქ-ზე ხელს მოაწერდით და ყველაფერი ამით დაგიმთავრდებოდათ? სუნი მაინც არ შეგაწუხებდათ?**

**„ქართულ ქარტიაზე“ ცოტას ლაპარაკობენ – ამ ოთხი კვირის მანძილზე არავის მივცემ უფლებას, არ ილაპარაკოს ქარტიაზე დღე და ღამე**

სალომე ზურაბიშვილი

*რეზო ჩხეიძის „ღიმილის ბიჭების“ გადაღებიდან 55 წელია გასული, თუმცა, კინოს მოყვარულები დღესაც სიამოვნებით უყურებენ ამ ფილმში ომამდელი პერიოდის თბილისს და მისი გმირების: თემურის, ბოლოკას, ლევანის, ბაადურის, ჭკუისკოლოფას, მალხაზისა და ბეთხოვენას დაუვიწყარ ისტორიას. ჩვენი სტუმარია ამ ფილმში თანატოლ გოგონაზე — ნათელაზე (ლეილა ყიფიანი) უიმედოდ შეყვარებული, მუსიკალური სასწავლებლის მოწაფე ბეთხოვენა — იგივე **ბიძინა ჩხეიძე,** რომელსაც 55 წლის შემდეგ სოფელ მუხრანში შევხვდით და შევეცადეთ, გაგვეცოცხლებინა სცენა, როდესაც მას, ფრონტზე დაჭრილს, ნათელას მეგობარი ბიჭები ხვდებიან და ამხნევებენ:*



კადრი ფილმიდან „ღიმილის ბიჭები“ – ბეთხოვენა



# ბიძინა ჩხეიძე:

# რადგან „ღიმილის ბიჭებს“ დღესაც ცრემლის გარეშე ვერ უყურებენ, იმას ნიშნავს, რომ ძველსა და ახალ თაობას შორის კავშირი არ გაწყდარა!



კახა ქორიძე, ლეილა ყიფიანი, ირინე თურქია, ბიძინა ჩხეიძე

— „ღიმილის ბიჭებს“ მამაჩემი 1967-1968 წლებში იღებდა. როცა ამ ფილმზე მუშაობა დაიწყო, სცენარის ავტორი **სულიკო ჟღენტი** ჩვენს სახლში ხშირად მოდიოდა, ვისმენდი მათ საუბრებს და ფილმზე ჩემი წარმოდგენა მექმნებოდა. ბეთხოვენას როლზე სწორედ ბატონმა სულიკომ შემარჩია, მამაც დაეთანხმა, რადგან ჩემი შესაძლებლობების შესახებ იცოდა. მსახიობის ხელოვნება ჩემთვის უცხო არ იყო, გარდა იმისა, რომ რეჟისორი მამა მყავდა, დედაჩემიც არტისტი გახლდათ, მარჯანიშვილის თეატრში თამაშობდა და ბავშვობა ამ თეატრის კულისებში მქონდა გატარებული. ამას გარდა, მაშინდელ პიონერთა სასახლეში ფილმებიც მქონდა გადაღებული და მამას ძალიან მოსწონდა ჩემი ნამუშევრები.

**— სხვა გმირების — თემურის, ბოლოკას, ლევანის, ბაადურის, ჭკუისკოლოფასა და მალხაზის შერჩევა ამ ფილმში როგორ მოხდა?**

— როცა თეატრალურ ინსტიტუტში ვსწავლობდი, იმ პერიოდში **მალხაზი — იგივე თემურ ბაბლუანი** უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. ვინაიდან მას ვიცნობდი და თან კინო აინტერესებდა, ჩემთან ინსტიტუტში ხშირად მოდიოდა, მერე თვითონაც ჩვენთან ჩააბარა. ამ ფილმში ის და სხვა ბიჭები ჩემგან დამოუკიდებლად შეარჩიეს. თემური — **კახა ქორიძე** თვისებებით ზუსტად ისეთი იყო, როგორიც ფილმშია, თავის ასაკთან შედარებით, უფროსივით იცოდა ლაპარაკი, ხმაც ასეთივე ჰქონდა.

ბიჭები 2-3 წლით ჩემზე უფროსები იყვნენ, თუმცა, ვმეგობრობდით და დღემდე შევინარჩუნეთ ეს ურთიერთობა. **კახას და თემურ ბაბლუანს** ვხვდები ხოლმე, **ნუგზარ ბაგრატიონი** კი — ჭკუისკოლოფა, დიდი ხანია, არ მინახავს, როგორც მითხრეს, ცოტა ავადმყოფობს. ბოლოკა — **გოჩა ლომია** გარდაიცვალა, გარდაცვლილია ლევანიც — **თაზო თოლორაია.** ამასწინათ ერთმა ნაცნობმა მითხრა — იქნებ ბიჭები შეკრიბო, ბუნებაში საქეიფოდ გეპატიჟებითო. გადავეცი ჩემს ბიჭებს, თუმცა, მერე ამ ნაცნობმა სიტყვა უკან წაიღო და მითხრა — ახლა არ შემიძლიაო. რას ვიზამთ, ყველას პრობლემები აქვს.

**— ფილმის ეპიზოდი, როცა ფრონტზე დაჭრილი დიდი მანქანის საბარგულში ზიხართ და მოულოდნელად თქვენთან თბილისელი ბიჭები ჩნდებიან, სად არის გადაღებული?**

— ყარაიაზში, აზერბაიჯანში, აღსტაფის რაიონში, რუსთავთან არის ახლოს. იქ ითხრებოდა სანგრებიც, ჯარი გვეხმარებოდა. გადაღებები მიმდინარეობდა რეპეტიციების გარეშე, ყველამ იცოდა თავისი საქმე. ჩემი გმირი — ბეთხოვენა დიდი სამხედრო მანქანის საბარგულში ზის, დაინახავენ თუ არა მას თბილისელი ბიჭები, ამ მანქანას აედევნებიან და ამხნევებენ, ერთი ვაშლსაც აძლევს...

**— ეპიზოდები ნათელასთან — ლეილა ყიფიანთან ერთად სად გადაიღეთ? მუსიკალური სკოლიდან ბრუნდებით, გოგონა აკაციის ყვავილის მოწყვეტას გთხოვთ...**

— საჯარო ბიბლიოთეკასთან ახლოს, პატარა სამებასთან, ადის ეს ქუჩა. რამდენიმე დუბლი გადავიღეთ. ხალხი მოგროვდა, ყველა დაინტერესდა, მოეწონათ. ეს იყო კარგის ნიშანი, მეც სხვანაირად განვეწყვე ამ ფილმის მიმართ, მართლა დავიჯერე ის, რასაც ვთამაშობდი. რაც შეეხება აკაციის ხეს — იმ ადგილას ხე კი იდგა, მაგრამ აკაცია იყო თუ არა, აღარ მახსოვს — სცენარში ეწერა აკაცია. სხვათაშორის, „ღიმილის ბიჭების“ გადაღება ამ ეპიზოდიდან დაიწყო.

ამავე უბანში არის გადაღებული ის ეპიზოდი, სადაც ბოლოკა და თემური მომდევენ, მივრბივარ და ქუჩის მოსახვევში ვეცემი, ვყვირი: ვაიმე, ფეხიიი... ხალხის მერიდებოდა და წაქცევა არ გამომდიოდა, არც ყვირილი. მერე მამაჩემი წამოდგა და ეს სცენა თავიდან ბოლომდე თვითონ ითამაშა. ბოლოს მეც გავიმეორე და გადავიღეთ. ძალიან მოეწონა მამას ჩემი თამაში.

**— ბოლო სცენა, როცა ბოლოკა კედელზე წერს ღიმილის ბიჭების სახელებს, სად გადაიღეთ?**

— ეს კედელი გერმანიის ერთ-ერთ ქალაქშია გადაღებული, ნამდვილია და არა ბუტაფორია, როგორც მუზეუმში, ისე იყო შენარჩუნებული წარწერები.

**— ჯარში იმსახურეთ?**

— მოსკოვში ვსწავლობდი, როცა ავღანეთში უნდა გავეწვიეთ, სადაც მაშინ ომი იყო. რომ წარმოვიდგინე, რომ ადამიანები უნდა მომეკლა, ისე ვინერვიულე, თვალისჩინი დავკარგე. არ წამიყვანეს, მაგრამ თქვეს, სარეჟისოროზე როგორ სწავლობს, თვალებიდან ვერ იხედებაო? კომისია მოიწვიეს, კინაღამ გამრიცხეს. როცა დავმშვიდდი, თვალში სინათლეც დამიბრუნდა.

**— გახსოვთ „ღიმილის ბიჭების“ პრემიერა?**



— დიახ, პრემიერა გაიმართა 1969 წელს მიღწევათა საგამოფენო ცენტრში არსებულ კინოთეატრში. იქვე იყო ბანკეტიც, რომელიც **მიხეილ ჭიაურელმა** გახსნა. მაყურებელმა ფილმი კარგად მიიღო და როცა ბიჭები გარეთ გამოვედით, ოვაციებით შეგვხვდნენ.

**— ომის პერიოდის ღიმილის ბიჭებს დღევანდელ ახალგაზრდობასთან რა საერთო აქვთ?**

— ძალიან ბევრი რამ. ამ ფილმში ბიჭები იღუპებიან ფრონტიდან საკომუნიკაციო კაბელის გაჭიმვის დროს. ეს უბრალო კაბელი კი არა, სიმბოლურად, ის ჯაჭვია, რითიც ისინი მომავალს უნდა დაკავშირებოდნენ და რაც შემდეგ უწყვეტ ჯაჭვად უნდა გადასცემოდა თაობიდან თაობას. **რადგან დღეს ამ ეპიზოდებს ცრემლისა და ემოციის გარეშე ვერ უყურებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ მიზანი მიღწეულია და ძველსა და ახალ თაობას შორის კავშირი არ გამწყდარა!**

**— ბეთხოვენა ყველას ვიოლინოთი დაამახსოვრდა. თქვენი გმირივით, ბეთჰოვენის შემოქმედების შესწავლა არ გიცდიათ?**

— არც ვიოლინოზე ვუკრავ, არც სხვა მუსიკალურ ინსტრუმენტზე, თუმცა, ფილმში ვიოლინოს ჩასადები მეჭირა და სიფრთხილით ვეკიდებოდი, რათა არ დამეზიანებინა. მეგონა, შიგ მართლა ინსტრუმენტი იდო და ძალიან მეწყინა, როცა გახსნეს და ქვები დავინახე. სკოლაში ცუდი მოსწავლე ვიყავი, არ მიყვარდა არც მათემატიკა და არც ფიზიკა, არასაჭირო საგნებად ვთვლიდი და დღეს ძალიან ვნანობ. მიყვარდა ისტორია და ლიტერატურა, მინდოდა, მოქანდაკე ვყოფილიყავი, ვძერწავდი ფიგურებს.

ფილმებიც გადავიღე, თუმცა, როცა რეჟისურაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი უნდა გადამედგა, საბჭოთა კავშირი დაიშალა და კინოსტუდიაში ბზარები გაჩნდა. ყველა გაგვათავისუფლეს, 30 წელი დროებით უმუშევრად ვითვლებოდით, ამასობაში დავბერდით, ზოგიც გარდაიცვალა... ახლა კინოცენტრი მაშინ გაფინანსებს, თუ ფილმის გადასაღებად ნახევარ თანხას თვითონ მოიპოვებ სპონსორებისგან ან უცხოეთიდან. სამჯერ მივიღე კონკურსში მონაწილეობა, წარვადგინე სცენარი, კომისიას უნდა წაეკითხა და ქულები დაეწერა.

**— ვერ გაიმარჯვეთ?**

— კომისიასთან სცენარი ისე მიდის, ავტორის სახელი და გვარი არ წერია. არადა, სცენარში სწორედ ავტორია მთავარი, რა ხედვა აქვს, როგორ შეუძლია ამის ხორცშესხმა. მოკლედ, გამომაგდეს, თუმცა, ჯერ არდაფინანსებულ სცენარზე შემომითვალეს, მსახიობები წარმოადგინოს, ვინ უნდა ათამაშოსო. მოვითხოვე — დამიბრუნეთ ჩემი სცენარი-მეთქი. ერთმანეთზე დაწებებული ფურცლები მომცეს, სცენარი არც წაუკითხავთ. მერე გავიგე, **გიორგი შენგელაიასთვისაც** უარი უთქვამთ. გამიხარდა — მე და ჩვენი საამაყო რეჟისორი ერთ დონეზე განგვიხილეს (იღიმის). რას ვიზამთ, თავის დროზე ამ ახლებმა ვერც **ლეილა აბაშიძე** იცნეს, უთხრეს — ვინა ხარ და რა გინდაო?! იმათზე ვლაპარაკობ, მამაჩემის კაბინეტში რომ ისხდნენ.

მამის ხსოვნის პატივსაცემად, გაკეთებული მაქვს მისი ბიუსტი, მინდა, ფართო საზოგადოებას წარვუდგინო. **რეზო ჩხეიძის ბიუსტით ვინმე თუ დაინტერესდება, დარეკოს ნომერზე 579 21 09 80.**

დაწერილი მაქვს წიგნიც მამაჩემზე — „აფრენა აფრენამდე“, სახალისო ამბებია, ჩემი ბავშვობის მოგონებები, დაბეჭდილი 300 გვერდი მაინც გამოვა. ვინმე გვერდში თუ ამომიდგება, იქნებ გამოცემაც მოვახერხო.

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

***ადამიანის ორგანოებს გამართული ფუნქციონირებისთვის სხვადასხვა ტემპერატურა სჭირდება. ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი ახალგაზრდებს იმ საშიშროების შესახებ აფრთხილებს, რაც შესაძლოა, სეზონისთვის შეუფერებელმა ჩაცმა-დახურვამ გამოიწვიოს:***



# კახა საბახტარიშვილი:

# მამაკაცს სათესლე ჯირკვლები ყოველთვის გრილად უნდა ჰქონდეს!



**„გენერალისიმუსი ალექსანდრე სუვოროვი თავის ჯარისკაცებს ასე მიმართავდა: „ფეხები შეინახეთ თბილად, კუჭი – მშივრად, ხოლო თავი – გრილად!“**

— მსოფლიოში აღიარებული რუსი მხედართმთავარი, გენერალისიმუსი **ალექსანდრე სუვოროვი** თავის ჯარისკაცებს ასე მიმართავდა — **„ფეხები შეინახეთ თბილად, კუჭი — მშივრად, ხოლო თავი — გრილად!“** კუჭის შესახებ **სუვოროვის** მოწოდება გასაგებია, რადგან ადამიანი როცა მაძღარია, ის მოდუნებულია, მისი მოძრაობა შენელებულია და ბრძოლაში საჭირო სისხარტეს ვერ იჩენს. რაც შეეხება ფეხების თბილად შენახვას, ჩვენი ჯანმრთელობისთვის მართლაც აუცილებელია, ზამთარში ტერფები და ქვედა კიდურები თბილად გვქონდეს. ტერფის სითბოს ორი მიზეზის გამო აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. პირველი — ტერფი გულიდან ყველაზე უფრო დაცილებულია. შესაბამისად, სიცივის დროს იქ არსებული სისხლძარღვები ვიწროვდება, სპაზმს განიცდის და გულს მისთვის სისხლის მიწოდება უჭირს, რამაც შესაძლოა, უამრავი პათოლოგია გამოიწვიოს. ამიტომ თუ ადამიანი ყინვაში სათანადოდ ჩაცმული არ არის, პირველ რიგში, სწორედ ტერფები ეყინება. თუ ეს პროცესი დიდხანს გაგრძელდა, გამორიცხული არ არის, განგრენითაც დასრულდეს.

არის მეორე მიზეზი, რის გამოც ტერფის დასველება და სიცივე ადამიანის ორგანიზმზე ძალიან ცუდად მოქმედებს. სწორედ ტერფზეა განლაგებული უამრავი რეცეპტორი და წერტილი, რომლებსაც სხვადასხვა ორგანოებთან აქვთ კავშირი, მათ შორის, ცხვირთან. **როცა ადამიანს ფეხი დაუსველდება, დიდი ალბათობით, გაცივდება კიდეც, რადგან ტერფზე არსებული წერტილები, რომლებიც ცხვირის ღრუს უკავშირდება, სიცივის გავლენით გადასცემენ იმპულსს, რასაც იმუნიტეტის დაქვეითება და ავადმყოფობა მოსდევს.** ასევე, როცა ადამიანს ტერფი დაუსველდება, შესაძლოა, თირკმლების ანთებაც განვითარდეს. აქაც იგივე მექანიზმი მუშაობს. არაფერს ვიტყვით იმის შესახებ, რომ ვისაც ართრიტი, ართროზი ან რევმატიზმი აწუხებს, ტერფის გაციება ან დასველება ამ დაავადებას გაუმწვავებს.

**— ზამთარში მხოლოდ ტერფს უნდა გავუფრთხილდეთ თუ მთლიანად ფეხი დავიცვათ სიცივისგან?**

— ზამთარში არამარტო ტერფი, არამედ ყველა კიდური თბილად უნდა გვქონდეს. ამ პერიოდში სისხლძარღვები ისედაც შევიწროებულია და თუ ფეხი თბილად არ გვაქვს, კუნთების, სახსრებისა და ნერვული უჯრედების სისხლით მომარაგება გართულდება, რის გამოც ადამიანი ადვილად დაიღლება, ხოლო კუნთები და სახსრები ატკივდება. ამიტომ ახალგაზრდებს ვურჩევ, უარი თქვან ჯანმრთელობისთვის საშიშ ტრენდზე და მოეშვან ზამთარში მაღალყელიანი წინდების გარეშე, მოშიშვლებული წვივებით სიარულს!

**— ამბობენ, რომ ბავშვებისთვის ძალიან სასარგებლოა ფეხშიშველა სიარული!**

— ეს მართლაც ასეა! **თუ ბავშვი ფეხშიშველა სიარულს ადრეული ასაკიდან მიეჩვევა, მაშინ მისი იმუნიტეტი სერიოზულად გამყარდება.** მოზრდილ ასაკში ასეთი ბავშვისთვის ფეხის დასველება საშიში აღარ იქნება!

**— ქეი-ქაუსის „ყაბუსნამეში“ პირდაპირ წერია, რომ სიცხე და ჩახუთვა მამაკაცის სათესლე ჯირკვლებისათვის მავნებელია! რას იტყვით?**

— ეს შეფასება უზუსტესია და მას თავისი მეცნიერული ახსნა აქვს! საქმე ის გახლავთ, რომ ბიჭის სათესლე ჯირკვალი თავდაპირველად მუცლის ღრუშია. შემდეგ ის თანდათანობით ჩამოდის დაბლა და საბოლოოდ სათესლე პარკში იდებს ბინას. სათესლე ჯირკვალი შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებს შორის ერთადერთია, რომელიც გარეთ არის გამოტანილი და თხელ სათესლე პარკშია გახვეული. ეს შემთხვევითი არ გახლავთ, რადგან სათესლე ჯირკვლებში სპერმატოზოიდები და ტესტოსტერონი წარმოიქმნება.

**თუ სათესლე ჯირკვლის ტემპერატურა ადამიანის სხეულის ტემპერატურაზე 2–3 გრადუსით დაბალი არ არის, სპერმატოზოიდებისა და ტესტოსტერონის ფორმირება ფერხდება.**

ამიტომ მამაკაცს სათესლე ჯირკვლები ყოველთვის გრილად უნდა ჰქონდეს! აქედან გამომდინარე, უნდა მოვერიდოთ ისეთი საცვლის ჩაცმას, რომელიც ძალიან მოტკეცილია და მამაკაცის სასქესო ორგანოების ჩახუთვას იწვევს. **სათესლე ჯირკვლის ტემპერატურა 32-34 გრადუს ცელსიუსს შორის უნდა მერყეობდეს!** უკანასკნელი 20-30 წლის განმავლობაში ძალზე გაიზარდა მამაკაცთა უშვილობის შემთხვევები. დაახლოებით 7 პროცენტს ამ თვალსაზრისით სერიოზული პრობლემები აქვს, რისი ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ახალგაზრდების ლამის აბსოლუტური უმრავლესობა ჯინსის შარვალს ატარებს.

**— ჯინსი რა შუაშია?**

— ჯინსის ქსოვილი მკვრივია და ჰაერს ცუდად ატარებს. შესაბამისად, მისი ყოველდღიური ტარება მამაკაცის სათესლე ჯირკვლების ჩახურებას იწვევს. გარდა ამისა, ახალგაზრდები ძალიან დიდ დროს ატარებენ კომპიუტერთან, სადაც ფეხები ერთმანეთთან აქვთ მიტყუპებული. ესეც სათესლე ჯირკვლების ჩახურებას იწვევს. აქედან გამომდინარე, **ახალგაზრდა ბიჭებს ვურჩევ, მოტკეცილ, მოდურ საცვლებზე უარი თქვან და უფრო თავისუფალი და ჰაერის გამტარი, ნატურალური ქსოვილისგან დამზადებული საცვლები და შარვლები ატარონ!** კომპიუტერთან მუშაობის დროს ბარძაყები მიტყუპებული კი არა, გაშლილ მდგომარეობაში უნდა იყოს!

**— ქალის ორგანიზმიც ამ წესებს ექვემდებარება?**

— პირიქით, **ქალის ორგანიზმი ისეა მოწყობილი, რომ მისი საკვერცხეები თბილად უნდა იყოს!** აქედან გამომდინარე, მივმართავ გოგონებს: წელმოშიშვლებული და ჭიპგამოჩენილი სიარული საკვერცხეების ანთების რისკს ზრდის და უშვილობას იწვევს! იგივე ითქმის შემოტკეცილ შარვლებზეც, რომლებიც მცირე მენჯის ღრუში სისხლის მიმოქცევას არღვევენ და ქალის რეპროდუქციულ ორგანოებზე დამღუპველად მოქმედებენ. **ახალგაზრდა გოგონებში ასე მომრავლებული საკვერცხის კისტები, მიომები, სხვადასხვა ანთებები ხშირად სწორედ ზემოხსენებულ ფაქტორებს უკავშირდება!**

**— რაც შეეხება თავს, ის რაღად უნდა იყოს გრილად?**

— თავს არც მაღალი ტემპერატურა უყვარს და არც ყინვა. მასში უამრავი ბიოქიმიური პროცესი მიმდინარეობს და ტემპერატურის მატებას იწვევს. ეს რომ არ მოხდეს, ცხვირ-ხახა და ჰაიმორის წიაღები ძალზე ახლოს არის ტვინის ფუძესთან და **რომელსაც ჰაერს ჩავისუნთქავთ, სწორედ ამ ჰაერის ნაკადით გრილდება ტვინი.** ასე რომ, გენერალისიმუსი **სუვოროვი** არ ცდებოდა — თავი ნამდვილად გრილად უნდა იყოს! ზოგიერთი საწოლში ქუდით იძინებს, რაც დაუშვებელია. საერთოდ, გვახსოვდეს, **ადამიანმა რომ კარგად იძინოს, ოთახის ტემპერატურა 21 გრადუს ცელსიუსს არ უნდა აღემატებოდეს!**

**— საჭიროა თუ არა ზამთარში კაშნე?**

— ზამთარში კაშნე აუცილებელია, რადგან ფარისებრ ჯირკვალს იფარავს და თბილად უნდა იყოს. ბოლო დროს კაშნეს ხმარება მოდიდან გადავიდა, რაც დაუშვებელია. **ზამთარში სწორედ კაშნეზე უარის თქმას ვუკავშირებ ასე გავრცელებულ იმუნიტეტის დაქვეითებასა და ჩიყვის კვანძოვანი ფორმის გავრცელებას!**




*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***


თქვენი ჯანმრთელობისათვის!

# „იმუნო ჰერბი ფორტემ“ ათასობით ადამიანი ინფარქტისა და ინსულტისაგან დაიცვა

კოვიდპანდემიის შემდეგ მთელ მსოფლიოში **მკვეთრად გაიზარდა** სხვადასხვა ქრონიკული დაავადებებით გარდაცვლილთა რიცხვი. **კოვიდის შემდგომი თრომბოზები, ინსულტები და ინფარქტები** იმდენად ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, არავის უკვირს. სენსაციური იყო ექიმ **ჯონ კემპბელის** გამოსვლა. სადაზღვევო კომპანიების მონაცემებზე დაყრდნობით მეცნიერმა განაცხადა: **სიკვდილიანობა გაზრდილია 25%-ით, ძირითადად ინსულტისა და ინფარქტის ხარჯზე.** სიცოცხლის ხანგრძლივობა შემცირდა 2 წლით! ეს კატასტროფული მონაცემებია. ზოგიერთი მეცნიერი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ **კოვიდის ვირუსი** გამოჯანმრთელების შემდეგაც კი ლატენტურ მდგომარეობაში **რჩება ორგანიზმში,** ინიღბება და ახერხებს ორგანიზმთან ერთად თანაცხოვრებას. საკმარისია, ორგანიზმის იმუნიტეტი დაქვეითდეს, ვირუსი აქტიურდება, იწვევს ანთებას და აზიანებს სხვადასხვა ორგანოს.

რა არის გამოსავალი? — **იმუნიტეტის გამაძლიერებელი და ანთების საწინააღმდეგო** ისეთი ეფექტური **ანტივირუსული** საშუალების მიღება, რომელიც სხვადასხვა სახის ვირუსს **არ მისცემს** გააქტიურების საშუალებას. რაც მთავარია, ეს წამალი **უნდა იყოს სრულიად უსაფრთხო,** ყოველგვარი გვერდითი მოვლენების გარეშე.

საბედნიეროდ, ასეთი უნიკალური, ბუნებრივი, ნატურალური სამკურნალო საშუალება **ყველასთვის ხელმისაწვდომია.** ვინც ექიმ **კახა საბახტარიშვილის** ხელმძღვანელობით შექმნილი **„იმუნო ჰერბი“** მიიღო, **70-80%-ს კოვიდი საერთოდ არ დაემართა** ან გადაიტანა ყოველგვარი გართულების გარეშე. არ არის საერთოდ საუბარი **გრიპზე, რინოვირუსებსა და რესპირატორულ ინფექციებზე,** სადაც **„იმუნო ჰერბი“**, რომელიც დღეს მისი **გაუმჯობესებული ფორმულის „იმუნო ჰერბი ფორტეს“** სახით შეუდარებელია. **ამ პრეპარატს ჯერ კიდევ 2019 წელს შვეიცარიის სარეიტინგო ასოციაციამ წლის სამკურნალო საშუალების ნომინაცია მიანიჭა.**

**„იმუნო ჰერბი ფორტე“**, ფაქტობრივად, **ბუნებრივი ვაქცინაა კოვიდის, გრიპის** და სხვადასხვა **რინოვირუსების** წინააღმდეგ. იმდენად **უსაფრთხოა,** რომ დასაშვებია მისი მიღება **ჩვილი ბავშვებისა და ორსული თუ მეძუძური დედებისთვისაც.** საუკეთესოა **„იმუნო ჰერბი ფორტეს“** და **„ტონზილინის“** ერთობლივი გამოყენება იმ ბავშვებისთვის, ვისაც **პრობლემური „გლანდების“** გამო ოპერაციული **ტონზილოქტემია** ემუქრებათ და ნუშურა ჯირკვლების, იმუნიტეტის მთავარი ორგანოს დაკარგვის საფრთხის წინაშე დგანან. **„ტონზილინმა“ ასობით ბავშვი ოპერაციას გადაარჩინა!**



**„იმუნო ჰერბი ფორტე“, „ტონზილინი“, „გულის ელექსირი ფორტე“** ყველა სააფთიაქო ქსელშია!

**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი)**

**593 31 70 34**

***„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გაიარე — რაა მამული?!“ — მაღალოსტატურად ბრძანა გალაკტიონმა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა სიარული ოდენ პატრიოტობასთან კი არა, ჯანმრთელობასთანაც ყოფილა მჭიდროდ დაკავშირებული, რაც საუკეთესოდ იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა, — გვითხრა ხალხური მედიცინის წარმომადგენელმა და ცნობილმა ვისცერალურმა თერაპევტმა გელა მალუძემ:***

— ვისცერალური თერაპია მასაჟის გზით შინაგანი ორგანოების გაჯანსაღებას გულისხმობს. ფეხშიშველა სიარულიც ერთგვარი მასაჟია და შინაგან ორგანოებზე დადებითი ზემოქმედება, ვინაიდან ფეხისგულზე განლაგებულია ნერვული დაბოლოებები და ბიოლოგიურად აქტიური წერტილები, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული სხეულის სხვადასხვა ორგანოსთან. შესაბამისად, ფეხშიშველა სიარულის დროს ხდება ამ წერტილებზე ზემოქმედება, რაც, თავის მხრივ, შინაგან ორგანოებზე კურნებით ზემოქმედებას ახდენს.

ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა გავლის სიკეთე ქართველებთან ერთად ძველ ბერძნებსაც სცოდნიათ. სხვადასხვა წყარო მოწმობს, რომ ანტიკურ საბერძნეთში ფეხშიშველა სიარული გაკაჟების მეთოდი ყოფილა და ერთგვარი საკულტო მნიშვნელობაც ჰქონია. მედიცინაში გაკაჟების ეს ფორმა მე-19 საუკუნეში გახდა აქტუალური. მას მხურვალე რეკომენდაციას უწევდა ცნობილი ჰიგიენისტი **სებასტიან კნეიპი,** რომლის აზრით, წყლის პროცედურებთან ერთად სველ ქვებზე, ცვრიან ბალახსა და თოვლზე სიარული ბევრი დაავადების საწინააღმდეგო ეფექტურ პროფილაქტიკურ საშუალებას წარმოადგენდა. ფეხისგულებზე წერტილოვანი მასაჟით ან ჩხვლეტით სხვადასხვა ორგანოს განკურნება ფართოდ ყოფილა გავრცელებული აღმოსავლეთში, კერძოდ, ჩინეთში.

**— რამდენი ნერვული დაბოლოებაა ფეხისგულზე?**

— მათი რიცხვი 20 ათასს (!) აღემატება. თითოეული დაკავშირებულია თავის ტვინთან და ერთ ან რამდენიმე სხვადასხვა შინაგან ორგანოსთან, აგრეთვე ხერხემალთან, კუნთოვან და ძვლოვან სისტემებთან. **შეიძლება ითქვას, რომ ფეხისგულზე, ფაქტობრივად, არ არის აქტიური წერტილებისგან თავისუფალი ადგილი.** ასე რომ, ვინც სისტემატურად დაიარება ფეხშიშველა, ძალაუნებურად იტარებს ფეხზე არსებულ ბიოლოგიურად აქტიური წერტილების მასაჟს, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს ჯანმრთელობაზე.

**— რა ასაკიდან შეიძლება ფეხშიშველა სიარულის დაწყება?**

— ადრეული ბავშვობიდან, როდესაც მშობლები ცდილობენ, ბავშვს რაც შეიძლება ადრიანად მოარგონ ნაირ-ნაირი და ფერად-ფერადი ფეხსაცმელი. თუ გვინდა, ბავშვი იმთავითვე ნორმალურად განვითარდეს, უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება დიდი ხნის მანძილზე დაყოს ფეხშიშველამ, თუნდაც იმისათვის, რომ არ განვითარდეს ბრტყელტერფიანობა, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული ფეხსაცმლის არასწორ ფორმასთან. თუ სეზონიც ხელს გვიწყობს, სჯობს, ბავშვმა ფეხის ადგმიდან მოყოლებული, რაც შეიძლება დიდხანს იმოძრაოს ოთახში ფეხშიშველამ!

რაც შეეხება უფროს ასაკს, ფეხსაცმელი ამ კატეგორიაშიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჯანმრთელობაზე. თავის მხრივ, არასწორად შერჩეული ფეხსაცმელი ბუნებრივ მასაჟს აფერხებს. თანამედროვე ახალგაზრდების საკმაოდ დიდი ნაწილი იტანჯება ბრტყელტერფიანობით, რასაც პირადად მე არასწორად მორგებულ ფეხსაცმელს ვუკავშირებ. ყველაზე გავრცელებული პათოლოგია — **ხერხემლის გამრუდება** აქედანაც შეიძლება იღებდეს სათავეს.

**— სტატისტიკა რას გვეუბნება — ვინც ხშირად დადის ფეხშიშველა, უფრო ჯანმრთელია?**

— ფეხშიშველა სიარულის სიკეთე აქტიურად არის ასახული ხალხურ მედიცინაში. დაკვირვებების და ზეპირი გადმოცემების თანახმად, თაობებმა კარგად იცოდნენ, რომ უკვე ადრეული ასაკიდან ფეხის ტერფის მოფრთხილება და სწორად ჩამოყალიბება შინაგანი ორგანოების არაერთ დაავადებას აგვაცილებს. ჩინეთის ისტორიაში მოიპოვება ცნობები, რომლის მიხედვით იმპერატორებს სპეციალურად დაქირავებული ჰყავდათ მოსამსახურე კონტინგენტი, რომელსაც ბატონისთვის დროდადრო შიშველ ქუსლებზე ჯოხის მსუბუქი დარტყმით მასაჟის გაკეთება ევალებოდა. ამგვარად ხდებოდა დაღლილობის მოხსნა და სექსუალური სტიმულაციაც.



# გელა მალუძე:

# გადაყარეთ ოთახის ყოველგვარი ფეხსაცმელი და ჩუსტები! სახლში იმოძრავეთ სქელი წინდების ან ფაჩუჩების ამარა და ესეც მასაჟში ჩაგეთვლებათ!



**— თანამედროვე მედიცინა როგორ აფასებს ფეხისგულებზე მასაჟის მნიშვნელობას?**

— სოფლის პირობებში მოსახლეობის უფრო მყარი ჯანმრთელობა არამხოლოდ სუფთა ჰაერით და ნატურალური საკვებით აიხსნება, არამედ იმითაც, რომ ადამიანებს უფრო ხშირად უწევთ ფეხშიშველა სიარული და შრომა. ვინც ბუნებრივად მოკლებულია ფეხშიშველა სიარულს, მათთვის სპეციალურად შემუშავებული უმარტივესი ვარჯიშები არსებობს, რის შედეგადაც ფეხისგულებზე განლაგებული წერტილების მასაჟი ხდება: *დავდგეთ ფეხსაცმლების გარეშე იატაკზე, 50-ჯერ ავიწიოთ ფეხის თითების ქვეშ არსებული ბალიშით და ტანის სიმძიმით, თავისუფალი ვარდნით „დავეცეთ“ ქუსლებზე.* ასეთი მოქმედება დღეში ორჯერ გავიმეოროთ. ამას დაახლოებით 3 წუთი დასჭირდება, სამაგიეროდ, ფეხისგულებს ელემენტარული მასაჟით უზრუნველვყოფთ და გარწმუნებთ — ორგანიზმში ძალიან ბევრ მავნე პროცესს შევაჩერებთ!

**— უფრო სრულყოფილი მასაჟი როგორ ხდება?**

— არსებობს წერტილოვანი მასაჟის აღმოსავლური მეთოდიც, რომელსაც აკუპუნქტურას უწოდებენ. ამ მეთოდით ხდება ფეხისგულზე არსებული ბიოლოგიურად აქტიური წერტილების გაცილებით ზუსტი სტიმულირება, რაც „სამიზნე“ ორგანოზე გაცილებით ეფექტურ ზემოქმედებას ახდენს. ამ გზით ისეთი დაავადებების პრევენცია და ზოგჯერ განკურნებაც კი ხდება, როგორიც გახლავთ **შაქრიანი დიაბეტი, ასევე ხერხემლის, ღვიძლის, კუჭ-ნაწლავის, ნაღვლის, გულ-სისხლძარღვთა, რეპროდუქციულ ორგანოთა სისტემების სნეულებანი.** და მაინც, ფეხისგულის მასაჟის საუკეთესო, ყველაზე ბუნებრივ მეთოდად ფეხშიშველა სიარული რჩება.

**— ფეხშიშველა სიარული სეზონის მიუხედავად?**

— ნაწრთობი და გაკაჟებული ადამიანები თოვლშიც კი ფეხშიშვლები ვარჯიშობენ. როგორც ექიმი, რეკომენდაციას ვიძლევი, რომ ზაფხულში ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა სიარული ჯანმრთელობაზე დადებითად აისახება! მიწასთან პირდაპირი კონტაქტით სხეულში შემოდის დედამიწის ენერგია. თავის მხრივ, ცვარსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, მასში ხომ ბუნების ენერგიაა აკუმულირებული! ეს გახლავთ სულ სხვა სტრუქტურის წყალი, რომელსაც სამკურნალო ეფექტი აქვს და ადამიანები კურნების მიზნით სვამენ კიდეც.

აღსანიშნავია, რომ მიწაზე ფეხშიშველა სიარულის დროს გვხვდება სხვადასხვაგვარი გრუნტი — როგორც სწორი, ასევე კენჭიანი და, **რაც უფრო კენჭიანია მოძრაობის არეალი, მით უფრო ხარისხიანია ბუნებრივი მასაჟი.** საკმაოდ აქტიური და ხარისხიანი მასაჟი ხდება ზღვის კენჭოვან სანაპიროზე. ადრე სპეციალურად ასეთ სანაპიროზე ფეხშიშველა სიარულის მიზნით მიდიოდნენ ადამიანები ზღვაზე. მართალია, ასეთ პირობებში სიარული ერთგვარ დისკომფორტთან არის დაკავშირებული, რის გამოც ადამიანები სპეციალურ რეზინის ფეხსაცმელებს ირგებენ და ზღვაშიც ასე შედიან, მაგრამ, ჯობს, ეს მცირე უხერხულობა ავიტანოთ სხეულის გაკაჟების მიზნით.

მოკლედ, გადაყარეთ ოთახის ყოველგვარი ფეხსაცმელი და ჩუსტები! სახლში იმოძრავეთ სქელი წინდების ან ფაჩუჩების ამარა და ესეც მასაჟში ჩაგეთვლებათ! ამას გარდა, არსებობს ფეხისგულების მასაჟის ასეთი მეთოდიც — სპეციალურ ვარცლებში ყრიან სხვადასხვა გრუნტს: ზოგში — სილას, ზოგში — წვრილ კენჭებს და სახლის პირობებში გარკვეული ხნის განმავლობაში, მონაცვლეობით დგანან ან ადგილზე დადიან ხოლმე.

**— სპორტთან რამდენად არის კავშირში ფეხშიშველა მდგომარეობა?**

— სპორტის რამდენიმე სახეობაში, როგორიც არის კარატე და ძიუდო, სპორტსმენები ფეხშიშვლები ვარჯიშობენ და ასპარეზობენ. 1960 წელს რომში გამართულ ოლიმპიადაზე ეთიოპიელი **აბებე ბიკილა** გახდა ოლიმპიური ჩემპიონი მარათონში და მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 2:15:16. მაგრამ ყველაზე უცნაური ის იყო, რომ მან ეს ფეხშიშველმა გააკეთა, ანუ მთელი დისტანცია ფეხსაცმელების გარეშე გაირბინა! თურმე, **აბებე ბიკილა** ეთიოპიის ნაკრების შემადგენლობაშიც კი ბოლო დღეებში შეიყვანეს ტრავმირებული სპორტსმენის ნაცვლად, ხოლო ასპარეზობისას სულაც არ გეგმავდა, ფეხშიშველს ერბინა, უბრალოდ, გუნდის ეკიპირებაში არ აღმოჩნდა ფეხსაცმელი, რომელიც მოხერხებული იქნებოდა მისთვის და სტარტამდე რამდენიმე საათით ადრე მან მიიღო გადაწყვეტილება, უარი ეთქვა ფეხსაცმელზე. ფეხშიშველა სირბილი შესაძლოა, სპორტის სახეობადაც ქცეულიყო, რომ არა ცნობილი სპორტული ფირმების გავლენა, რომელთა წარმოებული სპორტული ფეხსაცმელი რეკლამის წყარო იყო და სულაც არ ეპრიანებოდათ, თუ სპორტსმენები ფეხშიშვლები იასპარეზებდნენ. **აბებე ბიკილას** მაგალითი მოწმობს, რომ ადამიანის ფეხის ტერფი, შემოქმედის ნებით, იმდენად მორგებულია დედამიწას, რომ „ადიდასის“ და „ნაიკის“ ბოტასებთან უპირატესობაც კი გააჩნია!

**— სად შეიძლება, ფეხისგულის პროფესიონალური მასაჟი გავიკეთოთ?**



**„1960 წელს რომში გამართულ ოლიმპიადაზე ეთიოპიელი აბებე ბიკილა გახდა ოლიმპიური ჩემპიონი მარათონში და მსოფლიო რეკორდი დაამყარა – 2:15:16. მაგრამ ყველაზე უცნაური ის იყო, რომ მან ეს ფეხშიშველმა გააკეთა!“**

— მობრძანდით ჩემთან, **გელა მალუძის სამკურნალო-დიაგნოსტიკურ ცენტრში,** მისამართზე: ნავთლუღის ქ. 6/2 („ისნის“ მეტროს მოპირდაპირედ). მოქალაქეებს შეუძლიათ, კონსულტაციისთვის დამიკავშირდნენ ნომერზე: **591 32 88 32.**

*ესაუბრა* ***ზაზა დავითაია***



# მიხეილ ცაგარელი: 23 ოქტომბრამდე ხელი შეეწყობა პარტნიორული, მეგობრული და რომანტიკული კავშირების გაფართოებას

*— ოქტომბერში როდის იქნება შესაძლებელი ბიზნესსა და კარიერაში პოზიციის გაუმჯობესება და საქმიანი კავშირების გამყარება? როდის გართულდება სიტუაცია და რა იქნება ამის მიზეზი? რა გამოჩნდება მკაფიოდ და პერიოდი 17 რიცხვამდე რისთვის იქნება სასიკეთო? როდის დადგება ოქტომბერში საუკეთესო დრო ქორწილებისთვის, კორპორატიული საღამოებისთვის თუ კარიერული აღმასვლისა და ავტორიტეტის გამყარებისთვის ანდა როდის გვმართებს სიფრთხილის გამოვლენა პარტნიორისა და თანამოაზრის შერჩევისას? რა და რა თვისებებს გაამახვილებს თვის მესამე დეკადის დასაწყისში მზის გადანაცვლება ღრიანკალის ზოდიაქოში? რა რჩევები უნდა გავითვალისწინოთ და რა იქნება სასურველი 23 ოქტომბრის შემდეგ? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი* ***მიხეილ ცაგარელი*** *გვესაუბრება.*

## 30 სექტემბერი - 6 ოქტომბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
**ახალი პერსპექტივების წარმოსაჩენად და ოცნებების ხორცშესასხმელად აუცილებელი იქნება გადაწყვეტილების სწრაფად მიღება. შესაძლოა, გამოსავალი იპოვოთ ძველი ჩახლართული საქმეებიდან და არაერთგვაროვანი სიტუაციებიდან. მოგიწევთ ოჯახის მატერიალური საკითხების მართვა ან დახმარების გაწევა. ოჯახის წევრებთან გატარებული საღამოები და საუბრები დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ. ძალების აღდგენას და დასვენებას კი ადვილად შეძლებთ ქალაქგარეთ ბუნებაში.**

**კურო** (21.04-20.05)
**იდეების სიუხვე დაგეხმარებათ ახალი საქმეების გააზრებასა და ცხოვრებისეული ცვლილებების განხორციელებაში. სახლისა და ნათესავების პრობლემები უამრავ დროს წაგართმევთ. ეცადეთ, ზუსტად განსაზღვროთ მიზნები, რათა პირადი პრობლემები სხვისი განხილვის საგანი არ გახადოთ. მოერიდეთ შორეულ მოგზაურობებსა და უცხოელებთან საქმიან მოლაპარაკებებს. მეტად მომგებიანი იქნება საშუამავლო საქმიანობა. ხშირად დაისვენეთ და ეცადეთ, აღიდგინოთ დახარჯული ენერგია.**

**ტყუპი** (21.05-22.06)
**გაიზრდება თქვენი ენერგიულობა და აქტიურობა, რაც მეტად მობილურსა და კომუნიკაბელურს გაგხდით. ახალი იდების განხორციელებისას ნუ იყოყმანებთ. ფინანსური სტაბილურობის მიღწევაში შეხვედრები და საქმიანი მოლაპარაკებები დაგეხმარებათ. გაიზრდება თქვენი მგრძნობელობა სხვათა პრობლემების მიმართ და ხშირად დაეხმარებით გარშემო მყოფებს. შესაძლოა, მოგიწიოთ ავადმყოფი ნათესავის მოვლაც. პირად ცხოვრებაში საიხლეები მოგზაურობას დაუკავშირდება.**

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
**გარშემო მყოფებთან უთანხმოება ჯობს, კომპრომისისა და დიპლომატიის გზით მოაგვაროთ. მოერიდეთ დიდ ხარჯებს. ახალი იმიჯის შესაქმნელად ეცადეთ, ნაკლებად კრიტიკული იყოთ საკუთარი თავის მიმართ და რჩევა ჰკითხეთ საყვარელ ადამიანს. კარიერისა და საქმის წინსვლისთვის რთული დროა. შესაძლოა, შეგაწუხოთ ჯანმრთელობის პრობლემებმაც. მოგზაურობისა და დასვენებისთვის კი ბევრი დრო არ გექნებათ, ამიტომ ეცადეთ, მაქსიმალურად გამოიყენოთ თავისუფალი საათები.**

**ლომი** (23.07-23.08)
**ადვილად დაამყარებთ ურთიერთობებს და შეძლებთ თქვენი საქმიანობის სწორად რეკლამირებას. მომავალში ახალი სიმაღლეების დასაპყრობად აუცილებელი იქნება კვალიფიკაციის ამაღლება და ცოდნის გაღრმავება. შესაძლოა, მოგიწიოთ ბინის გამოცვლა ან გარემონტება. ოჯახის წევრებთან ურთიერთობაში შეიტანეთ ხალისი, რადგან ჰარმონიულ გარემოზე იქნება დამოკიდებული თქვენი სიმშვიდე და ჯანმრთელობა. შესაძლოა, ოჯახის რომელიმე წევრს თქვენი დახმარება ან მოვლა დასჭირდეს.**

**ქალწული** (24.08-23.09)
**დაქვეითდება თქვენი ენერგეტიკა და ხშირად დაგჭირდებათ შესვენება და ძალების აღდგენა. ეცადეთ, გაითვალისწინოთ გარშემო მყოფთა აზრი და შეინარჩუნოთ არსებული საქმიანი კავშირები. ნაკლები ყურადღება მიაქციეთ მატერიალურ პრობლემებს და თავი შეიკავეთ ახალი ნივთების შეძენისგან. საყვარელ ადამიანთან კი შესაძლოა, ყველაფრის თავიდან დაწყება გახდეს საჭირო. მოგზაურობისას მოერიდეთ ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღებასა და ეჭვიანობას.**

**— ღვინობისთვე როგორ ჩაივლის? რას გვაუწყებენ ვარსკვლავები?**

— **მზე 23 ოქტომბრამდე მშვიდობიან, დიპლომატიურობისკენ მიმართულ სასწორის ზოდიაქოს ნიშანში იმოძრავებს, რაც ხელს შეუწყობს მეგობრული, პარტნიორული და რომანტიკული კავშირების გაფართოებას.** თვის დასაწყისში, **12 ოქტომბერს, მზის დაბნელებით დასრულდება მიმდინარე დაბნელებათა დერეფანი. 3-8 ოქტომბრის შუალედი უფრო ოპტიმისტური აღმოჩნდება. ამ დროს შესაძლებელი იქნება ბიზნესსა და კარიერაში პოზიციის გაუმჯობესება და საქმიანი კავშირების გამყარება.** თუმცა, ძველი დამამძიმებელი კავშირის გაწყვეტა რთული იქნება. თვის ამ მონაკვეთში წარმატებას დააჩქარებს გამოცდილების, ინტუიციის, წინდახედულობის გამოვლენა. **9 ოქტომბრიდან ვითარება გართულდება, რადგან სილამაზისა და ჰარმონიის მმართველი პლანეტა ვენერა ვეღარ მოახდენს დადებით ზეგავლენას ადამიანთა გრძნობა-ემოციებზე და მათ პოზიტიურ გამოვლენაზე.** გარდა ამისა, **13 რიცხვიდან იკლებს ადამიანების მოთმინების უნარი.** განსაკუთრებით გარშემო მყოფთა უარყოფითი თვისებებისა და შეცდომების მიმართ. შესაბამისად, გაიზრდება დაძაბულობა, უნდობლობა და სიფრთხილე პირადი თუ საქმიანი პარტნიორის მიმართ და გულჩაკეტილობა და განმარტოების სურვილიც მოიმატებს. თუმცა, ამავდროულად, **2-17 ოქტომბრის შუალედში, მკაფიოდ გამოჩნდება ახალი პროფესიული მიმდინარეობები და თვის ეს პერიოდი სასიკეთო იქნება შინაგანი დაძაბულობისა და შესაძლო ცხოვრებისეული ცვლილებების მიმართ შიშის მოსახსნელად და ასევე პარტნიორთა მიმართ უნდობლობის გასაქარწყლებლად.**

**— როგორი იქნება თვის ამ პერიოდში ვითარება ცის კაბადონზე?**

— **ოქტომბრის შუა რიცხვებში ენერგიისა და ქმედითუნარიანობის მმართველი პლანეტა მარსი ადამიანებს დაეხმარება სასიყვარულო, მეგობრული და პროფესიული კავშირების განვითარებაში.** ნიშანდობლივია, რომ **11-19 ოქტომბრის შუალედში** ნეგატიური ტენდენციების დაძლევა შესაძლებელი იქნება დაგროვილი გამოცდილების, ნიჭისა და გარშემო მყოფების რჩევების დახმარებით. თვის შემდგომი პერიოდი **19-23 ოქტომბრამდე სასიკეთო იქნება ავტორიტეტის გასამყარებლად, კარიერული აღმასვლისთვის, თვითგანათლებისა და ახალი პროფესიის ასათვისებლად.** ეს დრო ასევე კარგი იქნება კორპორატიული საღამოების ჩასატარებლად და ქორწინებისთვის, მაგრამ მეტი სიფრთხილის გამოვლენა იქნება საჭირო ახალი პარტნიორისა და თანამოაზრის შერჩევისას. ასევე არ ღირს ნაკლებ პერსპექტიული მოლაპარაკებების ჩატარებაც. ამ პერიოდში მეტი დრო სასურველია, დაეთმოს ჯანმრთელობისა და კვების საკითხებს. ასევე არასასურველი იქნება სექსუალური ენერგიის ერთჯერად კავშირებზე ხარჯვა.



## 30 სექტემბერი - 6 ოქტომბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
**გაუმჯობესდება თქვენი განწყობა და სოციალური მდგომარეობა. თქვენს მომხიბვლელობას ამ პერიოდში მშვიდად გვერდს ვერავინ აუვლის, განსაკუთრებით კი საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლები, ამიტომ გამოიყენეთ ეს დრო პირადი ურთიერთობების დასამყარებლად და ცხოვრების გასაუმჯობესებლად. სახლის საქმეები ძალზედ ბევრ დროს წაგართმევთ. ჯანმრთელობის გასაკაჟებლად მიზანშეწონილია ფიზიკური ვარჯიში. მოგზაურობა ბევრ სიახლესა და სიამოვნებას გპირდებათ.**

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
**ეს პერიოდი დაუკავშირდება საქმიან კონტაქტებსა და ფინანსურ საკითხებს. გამოიყენეთ ცოდნა და მიიღეთ ორიგინალური გადაწყვეტილებები. თქვენი სამუშაო ხშირად სხვათა ყურადღების მიღმა დარჩება, რაც მოგცემთ ფარულად მუშაობისა და მოქმედების საშუალებას. შესაძლოა, იმუშავოთ სახლის პირობებშიც. მიუხედავად ამისა, ფარულმა ცხოვრებამ შეიძლება შიში გაგიჩინოთ. გაიზრდება თავისუფლების მოთხოვნილება, რაც ხარვეზებს გააჩენს საქორწინო და სასიყვარულო ურთიერთობებში.**

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
**თავს ენერგიულად და ჰარმონიულად იგრძნობთ. მიუხედავად ამისა, ეცადეთ, არ გადაიღალოთ და არ მოგაკლდეთ სრულფასოვანი ძილი. ერთობლივ პროექტებში აუცილებელი გახდება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება. რაიმე საქმე შეიძლება გახდეს პარტნიორებთან დავის საკითხი. გაიზრდება გართობისა და ფულის ხარჯვის მოთხოვნილება. მეგობრებთან ხშირი შეხვედრები და მოგზაურობა დაგიბრუნებთ ხალისს.**

**თხის რქა** (22.12-19.01)
**არაერთგვაროვანი პერიოდია, ამიტომ ეცადეთ, არ გაღიზიანდეთ, რათა კონფლიქტებმა არ აგირიოთ ურთიერთობები და არ დაგიქვეითოთ ავტორიტეტი. პატნიორების გამო შეიძლება დამუხრუჭდეს გეგმები. მიზნის მისაღწევად მხოლოდ აქტიურობა საკმარისი არ იქნება და შესაძლოა, მოგიწიოთ დამატებითი ცოდნის მიღება. პირად ურთიერთობაში ხშირი იქნება შეხვედრები, სასიამოვნო საუბრები და მიმოწერა. შორეული მოგზაურობა ან უცხოელებთან ურთიერთობა თქვენს პერსპექტივებს ერთიორად გაზრდის.**

**მერწყული** (20.01-18.02)
**კარგი დროა ახალ სამსახურში გადასვლისთვის ან ახალი ინოვაციური პროექტების დასაწყებად. შესაძლოა, გამოიცვალოთ საცხოვრებელი ადგილი ან აქტიური მონაწილეობა მიიღოთ საოჯახო საქმეებსა და ღონისძიებებში. ახლობლებთან საუბრები დიდ სიამოვნებას მოგგვრით და თავდაჯერებულობას გაგიზრდით. მოგზაურობები და მივლინებები სასიკეთოდ ჩაივლის, ხოლო იქ დამყარებული საქმიანი ურთიერთობები შემდგომში მოგებას მოგიტანთ.**

**თევზები** (19.02-20.03)
**ზოგიერთი წამოწყება დროებით შეიძლება დამუხრუჭდეს, რაც დამატებით ძალისხმევას მოითხოვს. საქმეების სიუხვის მიუხედავად, მეტ დროს დაუთმობთ სახლსა და ოჯახის წევრებს. მიუხედავად იმისა, რომ ეცდებით უკონფლიქტოდ ურთიერთობას, ზოგჯერ მაინც შეიძლება გიმტყუნოთ ნერვებმა. ძალზედ მგრძნობიარე იქნებით და პირადი ურთიერთობები შეიძლება გაგიფუჭდეთ ეჭვიანობისა და ტყუილების გამო. დანგრევის საშიშროება ემუქრება არასიცოცხლისუნარიან ოჯახებს.**

**— რა და რა თვისებებს გაამახვილებს ადამიანებსა და მოვლენებში ოქტომბრის მესამე დეკადაში მზის გადანაცვლება სასწორის ზოდიაქოდან ღრიანკალის ზოდიაქოს ნიშანში?**

— **მზე 23 ოქტომბერს (02.16) გადაინაცვლებს რა ღრიანკალის ზოდიაქოს ნიშანში,** უახლოესი ერთი თვის მანძილზე ადამიანებში გაამახვილებს ინტუიციას, ორგანიზებულობას, დისციპლინას, შეუპოვრობას, ნებისყოფას, ბრძოლისუნარიანობას, ლიდერობას, კოსმოსური საიდუმლოებებით დაინტერესებას და ასევე ეჭვიანობას, სიჯიუტეს, სარკაზმს, წყენას, სამაგიეროს გადახდის სურვილს და თვითგვემასაც. უნდა აღინიშნოს, რომ **23 ოქტომბრიდან** ნაკლებეფექტური აღმოჩნდება დამოუკიდებლად მოქმედება და მუშაობა. არ იქნება სასურველი ხელმძღვანელობის, მაღალი თანამდებობის პირებისა და მოკავშირეების კრიტიკა თუ ლანძღვა და მხოლოდ პოზიტიური, პროდუქტიული, საქმიანი გარემო და პასუხისმგებლობის გამოვლენა მოიტანს დადებით შედეგს. სწორედ ამ შემთხვევაში წარმატებული იქნება ახალი იდეებისა და შემოქმედებითი ჩანაფიქრების განხორციელება, აგრეთვე ფინანსურ მდგომარეობასაც გაამყარებს.

**— როგორი იქნება ვითარება თვის ბოლოს?**

— **25 ოქტომბრიდან გაიზრდება ავადმყოფობის, ინფექციური დაავადებების, ანთებითი პროცესის გამწვავების, დეპრესიულობის ალბათობა,** ამიტომ მეტად სასურველი იქნება, გვერდი აუაროთ და თავი შევიკავოთ გონებრივ-ემოციური გადატვირთვისგან, მძიმე ფიზიკური შრომისაგან და ნებისმიერი კონფლიქტისგან.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია
## 1, 2, 3, 4 და 5 ოქტომბერი

**2 ოქტომბერი - ახალმთვარეობა, პიკი - 22.51 საათზე;**
**მზის დაბნელება, პიკი - 22.45 საათზე;**
**17 ოქტომბერი - სავსემთვარეობა, პიკი - 16.48 საათზე.**



# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 30 სექტემბერი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 05.57 საათზე, ჩადის 17.44 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 03.24 საათზე, ჩადის 16.55 საათზე (მთვარის 28-ე დღე იწყება 04.32 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს ურთიერთობისას მეტი ტაქტიანობა და პატივისცემა გამოავლინეთ. სასიკეთოა არომათერაპია, მასაჟი და გარეგნობის მოწესრიგება. თვალებს გაუფრთხილდით. ხელი შეეწყობა თვითგანათლებას, კვალიფიკაციის ამაღლებას. კარგი დღეა საბანკო-საფინანსო ოპერაციებისთვის, აუდიტისთვის, სწავლისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის, ვაჭრობისთვის. არ არის სასურველი სარისკო ქმედება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, გამოცდის ჩაბარება, ქორწინება, ახალი ნაცნობობა, სხვის საქმეში მოთხოვნის გარეშე ჩარევა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი. **ქვები:** მწვანე და ყვითელი იასპი, მალაქიტი, აქატი, ონიქსი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 1 ოქტომბერი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 05.58 საათზე, ჩადის 17.42 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 04.26 საათზე, ჩადის 17.13 საათზე (მთვარის 29-ე დღე იწყება 05.48 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ხვალინდელი **მზის დაბნელების** წინა პროვოკაციული დღეა. მომატებულია დაბეზღების, მოტყუების, მცდარი ინფორმაციის გავრცელების ალბათობა. ხელი შეეწყობა ძველი, გამოუსადეგარი ნივთებისგან გათავისუფლებას. კარგი დღეა საქმიანი მიმოწერისთვის, საბანკო-საფინანსო ოპერაციებისთვის, სწავლისთვის, აუდიტისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, სარისკო ქმედება, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, მომატებულ სექსუალურ ენერგიას ნუ გამოავლენთ კონფლიქტურობით. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი. **ქვები:** მწვანე და ყვითელი იასპი, გიშერი, აქატი, მალაქიტი, ონიქსი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, მერწყულისთვის.

## 2 ოქტომბერი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 05.59 საათზე, ჩადის 17.41 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (02.25) სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 05.26 საათზე, ჩადის 17.31 საათზე (**ახალმთვარეობა,** პიკი — 22.51 საათზე. ამ დროს იწყება **მთვარის** I ფაზა და I დღე. **მზის დაბნელება,** პიკი — 22.45 საათზე). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.40 საათიდან 02.21 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს **მზისა და მთვარის ენერგიათა შეერთება შავ მთვარესთან, დაღმავალ კვანძთან და პლანეტა მერკურთან** განაპირობებს მანიაკალურ აზრებსა და ქმედებას, ღალატს, უსამართლობას, ინტერესთა დაპირისპირებას, ინტრიგას, დასმენას, სიცრუეს, ავარიებს, კონფლიქტებს, ცდუნებებს, აგრესია-დეპრესიას და სხვა ნეგატიურ მოვლენებს. **ილოცეთ და ყველა დალოცეთ!** დღე მშვიდად გაატარეთ. ყურადღება და სიფრთხილე გამოიჩინეთ. **არ არის სასურველი** მნიშვნელოვანი ან ახალი საქმის დაწყება, ყიდვა-გაყიდვა, ალკოჰოლის მიღება, კერვა, მჭრელი საგნების გამოყენება, საკვების ღია ცის ქვეშ დატოვება, ძილი დღის განმავლობაში. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, კანი, თირკმლები. **ქვები:** ნეფრიტი, ჟადეიტი, გიშერი, ფირუზი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის.

## 3 ოქტომბერი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.00 საათზე, ჩადის 17.39 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 06.27 საათზე, ჩადის 17.49 საათზე (მთვარის მე-2 დღე იწყება 08.18 საათზე. I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ნუ ეცდებით თქვენს სიმართლეში ყველას დარწმუნებას. სასიკეთოა განმარტოება, მიმდინარე მოვლენების გააზრება. ურთიერთობა, შესაძლოა, დამღლელი იყოს და გაგაღიზიანოთ. მაღალია ინტრიგების, ჭორების, სიცრუის ალბათობა. არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, ვაჭრობა, ყიდვა-გაყიდვა, ბევრი სითხისა და ალერგიული პროდუქტების მიღება, მჭრელ საგნებთან და ცეცხლთან ურთიერთობა. შედეგიანი იქნება კბილების, სისხლძარღვების, გრძნობათა ორგანოების, ტერფების მკურნალობა. კარგი დღეა მკურნალობის დასაწყებად, დიპლომატიურობის გამოსავლენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ციტრინი, ტოპაზი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის, მერწყულისთვის, **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თევზებისთვის.

## 4 ოქტომბერი, პარასკევი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.01 საათზე, ჩადის 17.37 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (15.18) ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 07.28 საათზე, ჩადის 18.01 საათზე (მთვარის მე-3 დღე იწყება 09.35 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 14.41 საათიდან 15.23 საათამდე. **გეომაგნიტურია დღის მეორე ნახევარი. ტენდენციები:** ურთიერთობისას იმატებს უნდობლობა, ეჭვი, სარკაზმი, პირდაპირობა. შეეცადეთ, პრობლემები გადაწყვიტოთ მშვიდობიანად, დიპლომატიურად. კარგი დღეა სწავლისთვის, თვითშემეცნებისთვის, კომპენტენტურობის გამოსავლენად, მასაჟისა და კოსმეტიკური პროცედურებისთვის, შემოქმედებისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, მუსიკალური აპარატურისა და პარფიუმერია-კოსმეტიკის შესაძენად. არ არის სასურველი ალკოჰოლური სასმელის მიღება, ინტიმური კონტაქტები, სხივური თერაპია. ეფექტური იქნება ყელის, კბილების, ენდოკრინული სისტემის, კანის მკურნალობა. მოერიდეთ სესხის აღება-გაცემას. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** ნეფრიტი, ჟადეიტი, ლაზურიტი, ოპალი, ტოპაზი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, სასწორისთვის.

## 5 ოქტომბერი, შაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.02 საათზე, ჩადის 17.36 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 08.31 საათზე, ჩადის 18.32 საათზე (მთვარის მე-4 დღე იწყება 10.55 საათზე, I ფაზა). **გეომაგნიტურია დღის პირველი ნახევარი. ტენდენციები:** მავნე ჩვევებისგან გათავისუფლების დღეა. სულიერ ძალთა კონცენტრაცია კარგ შედეგს მოიტანს. ეფექტური იქნება ყელ-ყურ-ცხვირის, ენდოკრინული სისტემის მკურნალობა. გამონათქვამები აკონტროლეთ. იუმორის გრძნობა შეინარჩუნეთ. კარგი დღეა ახლობლებისთვის საჩუქრის მიძღვნისთვის, კომპენტენტურობის გამოსავლენად, აუდიტისთვის, რეცხვისთვის, რემონტისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, ცხოველების შესაძენად, მასაჟისა და კოსმეტიკური პროცედურებისთვის, ავტომობილის ყიდვა-გაყიდვისთვის. არ არის სასურველი მგზავრობა, ბინის შეცვლა, სესხის აღება, ახალი საქმის დაწყება, სხივური თერაპია, ნოტარიუსთან საბუთების გაფორმება, ინტიმური კონტაქტები. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ნეფრიტი, ჟადეიტი, ობსიდიანი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის.

## 6 ოქტომბერი , კვირა

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.03 საათზე, ჩადის 17.34 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 09.35 საათზე, ჩადის 18.59 საათზე (მთვარის მე-5 დღე იწყება 12.18 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** დღეს საბრძოლო სულისკვეთების გამოვლენა მხოლოდ სპორტშია დასაშვები. ხელი შეეწყობა სწავლას, სულიერ განვითარებას, მიმდინარე მოვლენების სიღრმისეულ გაგებას. ეფექტური იქნება ზედა სასუნთქი გზების, ყელ-ყურ-ცხვირის, ენდოკრინული სისტემის მკურნალობა. კარგი დღეა დაკარგული ნივთების მოსაძებნად, ცხოველების შესაძენად, მასაჟისა და კოსმეტიკური პროცედურებისთვის, გეგმების დასახვისთვის, რეცხვისა და რემონტისთვის, თვითშემეცნებისა და კომპენტენტურობის გამოსავლენად. არ არის სასურველი მგზავრობა, ქორწინება, სასიყვარულო კონტაქტები, ინტიმური შეხვედრები, სესხის აღება-გაცემა, ალკოჰოლისა და ცხარე საკვების მიღება, ახალი საქმის დაწყება, ბინის შეცვლა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა, ცხვირი, სწორი ნაწლავი. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, იასპი, ქრიზოპრაზი, ობსიდიანი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

# საეკლესიო კალენდარი

**30 სექტემბერი. ორშაბათი.** მოწამეთა: **პისტისა, ელპიდისა, აღაპისა და დედისა მათისა სოფიოსი;** მოწამეთა თეოდოტიასი და აღათოკლიასი; 156-თა მოწამეთა: პელიასი და ნილოსისა, მეგვიპტელ ეპისკოპოსთა, ზენონ ხუცისა, პატერმუთისი, ელიასი და სხვათა.

✝ **1 ოქტომბერი. სამშაბათი. წმიდისა დიდმოწამისა ბიძინა ჩოლოყაშვილისა და წმიდათა ორთა ძმათა მოწამეთა შალვასი და ელიზბარისა, ქსნის ერისთავთა;** ღირსისა ევმენი სასწაულმოქმედისა, პორტინელი ეპისკოპოსისა; მოწამისა არიადნასი; მოწამეთა სოფიოსი და ირინესი; მოწამისა კასტორისა.

✝ **2 ოქტომბერი. ოთხშაბათი.** მოწამეთა: ტროფიმესი, საბატიოსისა და დორიმედონტისა; მოწამისა ზოსიმე მეუდაბნოისა.

✝ **3 ოქტომბერი. ხუთშაბათი.** დიდმოწამისა ევსტათი პლაკიდასი, ცოლისა მისისა თეოპისტიასი და შვილთა მათთა აღაპისა და თეოპისტესი; **ერთაწმიდობა.**



5 ოქტომბერი – ხსენება წინასწარმეტყველისა იონასი

✝ **4 ოქტომბერი. პარასკევი.** წარგზავნა ჯვართამაღლების დღესასწაულისა. მოციქულისა კოდრატესი, 70-თაგანისა, რომელი იყო მაღნეზიას; მღვდელმოწამეთა იპატი ეპისკოპოსისა და ანდრია ხუცისა; მღვდელმთავართა ისააკისა და მელეტისა, კვიპრელ ეპისკოპოსთა; მოწამეთა ევსევისა და პრისკესი; პოვნა წმიდათა ნაწილთა დიმიტრისა, როსტოველი მიტროპოლიტისა.

✝ **5 ოქტომბერი. შაბათი. წინასწარმეტყველისა იონასი;** მღვდელმოწამისა ფოკასი, სინოპიელი ეპისკოპოსისა; ღირსისა იონა ხუცისა, წმიდათა მამათა თეოფანე კანონთგამომთქმელისა და თეოდორე გამომეტყველთა მამისა; მოწამისა ფოკა მემტილესი.

✝ **6 ოქტომბერი. კვირა. მუცლადღება პატიოსნისა, დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესი;** ღირსთა დედათა ქსანთიპასი და პოლიქსენიასი; მოწამისა ირაიდა ქალწულისა; მოწამეთა: ანდრიასი, იოანესი და ძეთა იოანესთა პეტრესი და ანტონინესი.




**მაღაზია «ბუკვიცა»**

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

**100-პროცენტიანი გარანტიით კურნავს!**

თოდუების საგვარეულო მალამოებითა და წამლებით ქალბატონმა ლამარამ ათასობით ადამიანი გამოაჯანმრთელა. ის კურნავს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, დარჩენილ ნაწიბურებს, ნაწოლებს, გამაგრებულ ნანემსრებს, თმის ბუდობრივ ცვენას, ბუასილს, დისბაქტერიოზს (შეკრულობას, აშლილობას). მისი მალამოები სწრაფად შეგიხორცებთ დაჩირქებულ ჭრილობებს (დიაბეტიანებს), მოგირჩენთ ჰაიმორიტს (ქრონიკულს), მოგაშორებთ ქერტლს, ტილებს (ერთი პროცედურით). სწრაფად და წარმატებით კურნავს სოკოვან დაავადებებს, ფრჩხილების გასქელებას, დახეთქილ ქუსლებს, ჩირქოვან გამონაყარს კანზე, მწერების ნაკბენს, „ტატუებს“ აცილებს უმტკივნეულოდ (პირველივე წასმაზე ქრება ქავილიც და სიწითლეც).

**ტელეფონები: 599-16-10-82, 593-99-62-52, 230-62-52**



ლეგენდარული **დიმიტრი ალავიძე**
ლეგენდარული **ვასილ მჟავანაძის**
პირველი სტუმრობიდან **58-ე წელია,**

**მცხეთის სალობიეში გეპატიჟებათ!**





**32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 1. პანტომიმა; 8. ჯამბაზი; 12. ლაითური; 13. ნარკომანი; 14. რელიეფი; 15. ზვიგენი; 16. ბარიტონი; 20. თირსოსი; 21. შარიფი; 24. მირიკინი; 25. ლაქია; 28. კალა; 31. ინდი; 32. გოტიკა; 33. იდენი; 34. ზარალი; 35. ნო; 36. არი; 37. აქტი; 38. ვილისი; 41. ომი; 43. სკუნსი; 45. იპრიტი; 47. ლამინარია; 48. რა; 49. ნიუ; 52. შაქარი; 53. ანილინი; 57. პი; 58. ოპერეტა; 61. რვალი; 63. სტიუარდესა; 64. რარიტეტი; 65. ქოლგა; 66. ავლაბარი; 67. ივრითი.

შვეულად: 1. პონი; 2. ნერპა; 3. ობოლი; 4. იმაგო; 5. ალიზი; 6. ლირიკა; 7. ლუმენი; 8. ჯირითი; 9. მალარია; 10. აცეტონი; 11. იდილია; 16. ბაირონი; 17. როინიში; 18. ტაივანი; 19. ნაიკი; 21. შილერი; 22. რუ; 23. ფენიქსი; 25. ლიზისი; 26. ქარბუქი; 27. ატლასი; 29. ადამია; 30. ანი; 38. ვალუა; 39. ლამბი; 40. სანტი; 42. სპექტაკლი; 44. ორბი; 45. ირა; 46. ტრიო; 49. ნოე; 50. უკეთესი; 51. გრაფიკი; 52. შირაქი; 54. ნეტავ; 55. ლაურა; 56. ნორმა; 59. პორტი; 60. მენი; 62. ირაო.

ვერაგიტარანიანგიომარიგაბანაკიმონოკლირინგი
მარტინიკაპიურემიმინოსიგარაჟიგოლონებიერატო

| მზაკვარი, მუხანათი | კობრისებრთა ოჯახის თევზი | ერთგვარი სიმსივნე | ლატვიის დედა-ქალაქი | ჯარის დროებითი სადგომი ღია ცის ქვეშ | უმარტივესი ფოტოობიექტივი | კრივის მოედანი |
|---|---|---|---|---|---|---|

| თბილისის უბანი | სიმებიანი საკრავი | დიდი ქვეწარმავალი | ზღვის დიდი კიბო | დიზაინერი დოლჩე და ... | იაპონური სამოსი | უნაღდო ანგარიშსწორება სახელმწ. შორის |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 1. უსიტყვო თეატრალური წარმოდგენა; 8. ცირკის მსახიობი — კლოუნი; 12. სოფელი ოზურგეთის რაიონში; 13. ნარკოტიკების მომხმარებელი; 14. დედამიწის ზედაპირის სხვადასხვა უსწორმასწორობანი; 15. ზღვის დიდი ცხოველი; 16. კაცის სასიმღერო ხმა; 20. დიონისეს კვერთხი ბერძნულ მითოლოგიაში; 21. მსახიობი ომარ ...; 24. ფართოცხვირიანი მაიმუნი, ბინადრობს სამხრეთ ამერიკის მთიან ტყეებში; 25. ხელზე მოსამსახურე მამაკაცი; 28. ერთგვარი თეთრი ყვავილი; 31. მდინარე ინდოეთში; 32. ხუროთმოძღვრული სტილი; 33. ჯეკ ლონდონი „მარტინ ...“; 34. ქონებრივი დანაკლისი; 35. იაპონური თეატრი; 36. მიწის ფართობის საზომი ერთეული მეტრულ სისტემაში; 37. რაიმე ფაქტის დამადასტურებელი საბუთი; 38. ავტომობილის სახეობა; 41. შეიარაღებული ბრძოლა; 43. ჩრდილოეთ ამერიკული პატარა მტაცებელი ცხოველი; 45. მომწამვლელი ნივთიერება, ე.წ. „მდოგვის გაზი“; 47. წყალმცენარე, რომლის ერთ-ერთი სახეობაა „ზღვის კომბოსტო“; 48. მეორე ნოტი; 49. შიშველი სხეულის გამოსახულება ხელოვნებაში; 52. ტკბილი საკვები კრისტალური ნივთიერება; 53. ზეთოვანი სითხე, იყენებენ საღებავების დასამზადებლად; 57. მათემატიკური მუდმივა; 58. მიუზიკლი; 61. ბრინჯაო; 63. თვითმფრინავში ბორტგამყოლი ქალი; 64. ძალიან იშვიათი ნივთი; 65. მზისგან და წვიმისგან დასაცავი საგანი; 66. თბილისის უბანი; 67. ისრაელის სახელმწიფო ენა.

შვეულად: 1. ჯუჯა ცხენი; 2. სელაპის სახეობა; 3. უდედმამო; 4. ფრთოსანი მწერის განვითარების ბოლო სტადია; 5. გამოუწვავი აგური; 6. ლიტერატურის სახეობა; 7. სინათლის ნაკადის საზომი ერთეული; 8. ცხენის ჭენება; 9. ციებ-ცხელება; 10. ორგანული ნაერთი, უფერო სითხე, გამოიყენება ტექნიკაში; 11. უშფოთველი ცხოვრება; 16. ბრიტანელი პოეტი; 17. პიანინოს გერმანული ბრენდი; 18. ჩინეთის კუნძული; 19. ამერიკული სპორტული ნაწარმის ფირმა; 21. გერმანელი დრამატურგი („ყაჩაღები“); 22. პატარა სარწყავი არხი; 23. ამერიკელი მსახიობი ხოაკინ ...; 25. სხეულის ტემპერატურის თანდათანობით დაწევა ციებ-ცხელების დროს; 26. თოვლიანი ქარი; 27. გეოგრაფიული რუკების კრებული; 29. ქართველი მწერალი; 30. ქართული „ა“-ს სახელი; 38. ფრანგ მეფეთა დინასტია; 39. იგივეა, რაც ბლანდი; 40. იტალიელი ფერმწერი რაფაელ ...; 42. თეატრალური წარმოდგენა; 44. მტაცებელი ფრინველი; 45. ირლანდიის არმია; 46. სამი შემსრულებლის ანსამბლი; 49. ბიბლიური პერსონაჟი; 50. უფრო კარგი; 51. სამუშაო გეგმა; 52. ველი კახეთში; 54. ნატვრის სიტყვა; 55. მსახიობ რეხვიაშვილის სახელი; 56. რაიმეს დაწესებული რაოდენობა; 59. ნავსადგური; 60. აშშ-ის შტატი; 62. ნარნარი ფრენა.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| კუნძული მცირე ანტილიის არქიპელაგში, კარიბის ზღვაში | აზელილი კარტოფილის კერძი | მტაცებელი ფრინველი | თამბაქოს ნაწარმი | დაქირავებული კავალერი | შორენას შვილის ნუკრი (ლიტ.) | ბიჭო, ჟარ-გონი |
|---|---|---|---|---|---|---|

| გაზაფხულის თვე | სახის ნაწილი | ძველებური ორთვლიანი საზიდარი | კუნძულ კრეტას მეფე (ბერძნ. მით.) | ავტოფარეხი | ფრანგი და-ძმა – მწერლები სერჟ და ანა ... | ლირიკული პოეზიის მუზა |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ასავალ დასავალი

2024 წლის 30 სექტემბერი – 6 ოქტომბერი №41 (1559)

გამოდის ორშაბათობით

მეღიაჰოიჰოიაცია "ასავაღ-ღასავაღი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**

**mail@asavali.com**

„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**

გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**

